

მერს თვითონ კარი ქმნის და ახა მერი კარს

# ახალი გვერდი


№7 ოქტომბერი 2024

ზურაბ გურული  
გერმანიაზე დაინიშნა,  
ანუ თუ სიპათა იყენებას

ქათი ქურდოვანიძე  
სამზითო ჩამოდანი

ზაზა ბიბილაშვილი  
სამი გაკვეთილი

აიდან იუსიფი, ნათია მიხელიძე  
როგორ მონაცილეობს  
საშართველო რუსეთის სამხედრო  
მომარაბების ჰაჟვში



ახალი ივერია  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

№7, ოქტომბერი, 2024  
ISSN 2720-8729

ააიპ „ჭავჭავაძის ცენტრი“  
გიორგი ახვლედიანის ქუჩა № 20  
0108, თბილისი, საქართველო

ცოდნის მუშაობები:  
ზაზა გიგილაშვილი  
შავილ შუგავავი  
კოკა თოფურია  
ლაშა გაგალია  
ქათი ქურდოვანიძე  
გიორგი სარებავა  
გიგა ჯონაძე

# სარჩევი



4

მორიგე რედაქტორის მიმართვა  
ზალიკო სამაღაშვილი  
მიმართვა

5

არჩევნები  
ზურაბ გურული  
ვერბააზრების ფასი, ანუ  
თუ სიკეთე იღარიშებს

9

საზოგადოება  
ქეთი ქურდოვანიძე  
სამზითვო ჩემოდანი

14

ისტორიული პარალელები  
გიორგი ასტამაძე  
ბრძოლა უცხოურ დიპლომატიურ  
მისიებთან და 1921-1922 წლების  
ბოლშევიკური საქართველოს  
დეზავიუ

19

GenZ-ის აზრით  
GenZ-ის აზრით

25

Quo Vadis?  
თამუნა შენგელია  
სანსარა



27

მეხსიერება  
ზაზა ბიბილაშილი  
სამი გაკვეთილი  
კოელიოს გარნირით




32

ურნალისტური გამოძიება  
აიდან იუსიფი, ნათია მიხელიძე  
სანქციებისგან თავის არიდება:  
როგორ მონაწილეობს საქართველო რუსეთის  
სამხედრო მომარაგების ჯაჭვში



54

სტუდენტური სვეტი  
ელენე ებანოიძე  
ეპროპის როლი და არჩევნები



56

მხატვრული ისტორია  
მიხეილ ანთაძე  
ანდროფაგები



63

მეხსიერება  
ლევან გურიელიძე  
90-იანი წლების თბილისშირი  
შრომიპები



აფხაზეთი  
გიგი გიგინეიშვილი  
გუმისტის ბრძოლა

უკრაინა  
ამირან ფაჩუაშვილი  
პედლებზე ნანახი ნიშნები

მოგზაურის ჩანაწერები  
გიორგი ანთაძე  
ჩილე-რუსეთის ფარითორიული  
კონფლიქტი

ნინა ალავიძის ფოტოსელფოვნება





## ზალიკო სამადაშვილი

ჩვენს ცხოვრებაში დგეპა ხოლმე ისეთი დღე, რომლის ჩავლის შემდეგ მომდევნო პერიოდი-კვირები, თვეები, წლებიც კი, სხვა ელფერს იძენს, სხვა განწყობილებებით ივსება, სხვა მიზნებით იმუხტება.

ასეთი დღის მოლოდინში ვართ, ოლონდ ამჯერად უფრო ხანგრძლივად, ათეული წლების განმავლობაში რომ შეცვლის ჩვენს ცხოვრებას - ისეთი დღის.

ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ ჩაივლის ეს დღე, როგორ დაგვამახსოვრდება ის.

ჩვენი გადასაწყვეტია, სად ვიცხოვრებთ - სახელმწიფოში, რომელიც სამართლიანობასა და თანასწორობაზეა დაფუძნებული, თუ დამპყრობელ რუსეთში აღზევებული მდიდარი ბატონის მამულში, სადაც კეთილდღეობა მხოლოდ მისი ლაქიებისთვის არის განკუთვნილი და ხელმისაწვდომი.

ოცდაექვს ოქტომბერზე მოგახსენებთ...

დღეზე, რომელსაც მხნდა, წელში გამართულები უნდა შევხვდეთ. ფიქრი და ძალ-ძონება არ უნდა დავიშუროთ იმისათვის, რომ ის წარმატებით დავასრულოთ. სწორი არჩევანი გავაკეთოთ და დავიცვათ კიდეც ეს არჩევანი. ვინ ოცდაოთხიდან თვრამეტი საათი გადავდოთ ამისათვის, ვინ თორმეტი და ვინ კიდევ, თუნდაც ერთი.

გვამხნევებს იმის განცდა, რომ თითოეული ჩვენგანი იმ დიდი საქმის მონაწილე ხდება, რომლის განხორციელებასაც მთელი ცხოვრება მიუძღვნეს სახელოვანმა წინაპრებმა - საერო და სასულიერო პირებმა, დიდმა განმანათლებლებმა და სწორუპოვარმა მეომრებმა.

ამ საქმეს საქართველოს თავისუფალი სამყაროს წევრობისა და მის მშობლიურ, ევროპულ წიაღში დაბრუნებისთვის ბრძოლა ჰქვია. ■





## ზურაბ გურული

# ვერმააზრების ფასი, ანუ თუ სიპათა იღარიშებს

„ომს ერთი უსამართლობა ახასიათებს:  
გამარჯვებას ყველა იჩემებს, ხოლო დამარცხებაზე  
პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთს ეკისრება.“

პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი

26 ოქტომბრის არჩევნებამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა. კარგა ხანს ვფიქრობდი, ღირდა თუ არა არჩევნების შესაძლო შედეგების წინასწარი ანალიზი. რას შეცვლის ეს მსჯელობა ან რა აზრი აქვს ათასჯერ გადაღეჭილის კიდევ ერთხელ გამეორებას? თანაც, წილი უკვე ნაყარია. საქართველომ არჩევნებით უნდა გადაწყვიტოს საკუთარი ბედი. ქვეყნისათვის, რომელსაც ახსოვს პოლიტიკურ ნიადაგზე არაერთი მწვავე შიდა დაპირისპირება, ნერგვა და სისხლისლერა, არჩევნები ლოგიკურად წარმოადგენს პოლიტიკური კამათის შედეგის გადაწყვეტის ერთადერთ გზას. პოლიტიკური „ბრძოლის ველი“ შერჩეულია და ელემენტარული სამოქალაქო-პატრიოტული დისციპლინა ავალდებულებს ყველა შეგნებულ ადამიანს, რომ მიუხედავად თავიანთი ეჭვებისა, სკეპტიკიზმისა და ნიჰილიზმისა, „ბრძოლის ველზე“ გავიდეს თავის თანამებრძოლებთან ერთად და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთოს გამარჯვებისათვის. დაახლოებით შემ-

იძლია წარმოვიდგინო, რას განიცდიდა გიორგი სააკაძე, როდესაც ქართველებმა მისი გონივრული გეგმა უგულებელყვეს და მარაბდის გავარვარებულ ველზე ჩაუხტნენ საბრძოლველად აზიურ სიცხეში გამობრძმედილ ყიზილბაშებს. ძნელია საკუთარი გონების წინააღმდეგ წასვლა, მაგრამ არის მომენტები, როდესაც ეს გარდაუვალია და შესაბამისად - საჭიროც. ამრიგად, ეს საკითხიც გარკვეულია.

მაგრამ გამარჯვებასაც აქვს თავისი აქსიომატური კანონზომიერებები და წესები. „ომის ხელოვნების“ შემქმნელი ფილოსოფიოსი სუნ ცზი ამბობს: გამარჯვებული მეომრები ჯერ იგებენ ომს და მერე შედიან ბრძოლაში; დამარცხებულები კი ჯერ ბრძოლას ინყებენ და შემდეგ ცდილობენ გამარჯვების მიღწევას.

შეკითხვა, რომელიც ქართულმა ოპოზიციურმა სპექტრმა დღეს საკუთარ თავს უნდა დაუსცას, ასე უნდა უდერდეს:

**გამარჯვებული  
მეომრები ჯერ  
იგებენ ომს და მერე  
შედიან ბრძოლაში;  
დამარცხებულები კი  
ჯერ ბრძოლას იწყებენ  
და შემდეგ ცდილობენ  
გამარჯვების მიღწევას.**

„მოგებულები შევდივართ ბრძოლაში?“.

„აირჩიე მშვიდობა“ - გონივრული სლო-განია. თუ დაუპირისპირდები, ესე იგი ომი გსურს. ომი და მშვიდობა ეგზისტენციალური ხარისხის, კონკრეტული მოცემულობებია; ღირსება, სინდისი, თავ-მოყვარეობა, სირცხვილი და ა.შ. კი - აბ-სტრაქტული, სიმბოლური კატეგორიები,



### ომი უკრაინაში

შესაბამისად, პრიმიტიულ პრაგმატიზმთან გამარჯვების ნულოვანი შანსი აქვთ.

გავიხსენოთ ოპოზიციის სლოგანი: „ჩვენ ევროპა გვინდა!“. ამ სლოგანს „ქართული ოცნება“ არ დაპირისპირებია; პირიქით, თავადაც აიტაცა. შესაბამისად, ოპოზიცია უსლოგანოდ დარჩა, ახალი, ეგზისტენციალური კატეგორიის კი ვერაფერი მოიფიქრა. „ოცნებაშ“ ზემოაღნიშნული მოწოდება დალეჭა, მოინელა და ბოლოს ლოგიკურად და ბუნებრივად ექსკრემენტად აქცია. სწორედ ამ მნიშვნელოვან დეტალებშია სოციუმის ფსიქოლოგიური მარკეტინგის მართვის მთავარი მექანიზმიც. არცერთ აბსტრაქტულ კატეგორიას შანსი არა აქვს

**უკრაინა პლანეტარული მასშტაბის იდეოლოგიურ-პოლიტიკურ კათარზის ახორციელებს მსოფლიოში. პრაქტიკულად ანგრევს დასავლური, კომფორტული კონფორმიზმის ჩაბეჭონებულ იდეოლოგიას. არაადამიანური ფსიქოლოგიური ზეწოლა მიმდინარეობს უკრაინაზე დღეს, რომ როგორმე აღდგეს მსოფლიოს კონფორმისტული ბალანსი. უკრაინა, ცხადია, ამას ნაწილობრივ ინსტინქტების დონეზეც აკეთებს; საკუთარი თავის ხსნას ცდილობს, უპირველეს ყოვლისა. საკმარისია, ზელენსკის ნერვებმა უმტყუნოს და კომპრომისზე ნავიდეს, უკრაინას მომავალი არ ექნება. თუ ახლა ისინი სრულად არ განიწმინდნენ რუსული საცეცებისაგან, შემდგომი ეტაპი სამოქალაქო ომი თუ არა, სრული დეგრადაცია იქნება.**

**არაადამიანური ფსიქოლოგიური ზეწოლა მიმდინარეობს უკრაინაზე დღეს, რომ როგორმე აღდგეს მსოფლიოს კონფორმისტული ბალანსი.**

კონკრეტულ კატეგორიებთან. ამ რეალობის გააზრება შეურაცხმყოფელი არ

უნდა იყოს არცერთი მოაზროვნე ქართველისათვის. ეს არ ნიშნავს, რომ ქართველი ერია რამით სხვაზე ნაკლები. არანაირად. ღირებულებათა ანალოგიური კრიზისი აღინიშნება მთელ მსოფლიოში.

„უკრაინელები არასოდეს, არასოდეს დაეთანხმებიან ბრძოლის შეწყვეტაზე. რატომ უნდა სურდეს ვინმეს დღევანდელ მსოფლიოში, რომ სასტიკი კოლონიალური წარსულის რეალობა მოგვახვიოს თავს, ნაცვლად ნორმალური, მშვიდობიანი ცხოვრებისა?“ - პრეზიდენტ ზელენსკის ეს მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე ზუსტად ისეთივე მასშტაბის დატვირთვას ატარებდა, როგორსაც ეთიოპის იმპერატორის, ჰაილე სელასიეს, მოხსენება 1936 წელს ერთა ლიგის სხდომაზე: „დღეს ჩვენი ჯერია, ხვალ - თქვენი დადგება!“.

ალბათ რამდენიმე დეკადა მაინც დასჭირდება იმის გააზრებას, რომ უკრაინა პლანეტარული მასშტაბის იდეოლოგიურ-პოლიტიკურ კათარზის ახორციელებს მსოფლიოში. პრაქტიკულად ანგრევს დასავლური, კომფორტული კონფორმიზმის ჩაბეჭონებულ იდეოლოგიას. არაადამიანური ფსიქოლოგიური ზეწოლა მიმდინარეობს უკრაინაზე დღეს, რომ როგორმე აღდგეს მსოფლიოს კონფორმისტული ბალანსი. უკრაინა, ცხადია, ამას ნაწილობრივ ინსტინქტების დონეზეც აკეთებს; საკუთარი თავის ხსნას ცდილობს, უპირველეს ყოვლისა. საკმარისია, ზელენსკის ნერვებმა უმტყუნოს და კომპრომისზე ნავიდეს, უკრაინას მომავალი არ ექნება. თუ ახლა ისინი სრულად არ განიწმინდნენ რუსული საცეცებისაგან, შემდგომი ეტაპი სამოქალაქო ომი თუ არა, სრული დეგრადაცია იქნება.

ძალიან პრეტენზიული განცხადება? არანაირად. მომავლის წინასწარმეტყველება წარსულის გონივრული ანალიზითაა შესაძლებელი. სწორედ ამიტომ ვსწავლობთ ისტორიას. ახლო წარსულის მაგალითებიც არაერთი გვაქვს.

ვენესუელის ოპოზიციის ლიდერი ხუ-



## ნიკოლას მაღურო

ან გუერიდო ახსოვს ვინმეს? მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა აღიარეს მისი პრეზიდენტობა. ამერიკამ და დიდმა ბრიტანეთმა პატივით მიიღეს. მადურომ, ცხადია, არ დათმო; იბრძოლა. გვერდით დაიყენა თავისი მომხრები, ჯარი, პოლიცია და მოიგო. გაიმარჯვა კაცმა, რომელმაც პოტენციურად მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა მშეირმათოვრად აქცია და საკუთარ ხალხს მომავალი მოუსპო. სწორედ იმ მომავალ-მომსპარმა ხალხმა აირჩია მადურო; ძალით თუ ნებით, მარტინ აირჩია.

როგორ უპასუხა ამ ყველაფერს  
მსოფლიომ? ჯერ იყოყმანა და მერე შეე-  
გუა. ესპანეთმა, ბრაზილიამ და კოლუმ-  
ბიამ მალევე აღადგინეს ოფიციალური  
პოლიტიკური და ეკონომიკური ურთ-  
იერთობები მადუროს მთავრობასთან.

ავღანეთი გავიხსენოთ. საუკეთე-  
სო მაგალითი ლოგიკური სპეციალაცი-  
ისა, რომ ყველა საზოგადოებას ყოვ-  
ელთვის არა აქვს თანაბრად განვითარე-  
ბის პოტენციალი. მსოფლიოს წამყვანი  
დემოკრატიული ქვეყნები 20 წლის გან-  
მავლობაში ეცადნენ ავღანეთის ტრანს-  
ფორმაციას, მაგრამ ბოლოს დანებდ-  
ნენ. “20-წლიანი ომის შემდეგ, მე უარს  
ვაცხადებ, გავგზავნო ავღანეთში ამერ-  
იკის შვილების ახალი თაობა” - განაცხა-  
და პრეზიდენტმა ბაიდენმა და პრო-  
გრესულმა სამყარომ გადაწყვიტა, რომ

ავლანელი ერის ლოგიკური არსი თალი-ბანია.

სიღარიბე, უპერსპექტივობა, გაუნათლებლობა, პრიმიტივიზმი იწვევს რელიგიის აგრესიულ პროფანაციას და ეს დამახინჯებული ფსევდორელიგია ხდება სასოწარკვეთილი ადამიანების თვითგამოხატვის ერთადერთი საშუალება. ვინმეზე ნაკლებად მამაცი ხალხია ავლანელები? ეს ხომ მეომარი ერია. თუ სიმამაცის ნაკლებობა არა, მაშინ რა არის იმის მიზეზი, რომ რაციონალიზმი და პროგრესი ვერ იმარჯვებს ამ სოციუმებში?

განვითარებული დასავლეთიდან რომ  
პროგრესის ექსპორტი შეუძლებელია 21-ე  
საუკუნეშიც კი, ეს ემპირიულად დამტ-  
კიცდა ავღანეთში. დღეს ავღანეთი უმო-  
მავლო ქვეყანაა. ის ასეთად მისმა მოსახ-  
ლეობამ აქცია. და არ არსებობს არანაი-  
რი საგარეო სამხედრო-პოლიტიკური ძა-  
ლა, რომელიც ავღანელების ნებას შეცვ-  
ლის. ავღანეთი განწირულია ამიტომ.

რამ განაპირობა ეს ტრაგედია?

პასუხი ძალიან მარტივია - სილაჩრემ!

იქ, სადაც სიკეთე ლაჩარია, ბოროტე-  
ამოუძირევავია. 20 წლის განმავლობა-  
ამაოდ სცადეს დასავლეთელებმა  
ლანელებისაგან არმიის შექმნა, მაგრამ  
ჩერუბის კბილებამდე შეიარაღებუ-



აკლანეთი დღეს

ლი ბატალიონებიც კი უძლური აღ-  
მოჩნდა თავზეხელადებული თალიბების  
პრიმიტიული რწმენისა და სიმამაცის  
წინააღმდეგ. ავღანეთი მათია ამიტომ.  
თალიბების. იქ, სადაც სიკეთი ლაჩარ-

ია, იქ კეთილები მშიშრები არიან. კეთილი მშიშრების ქვეყანას კი მომავალი არ გააჩნია!

**რა აზრი აქვს ამ უპასუხო კითხვებით სპეცულაციას და გაუგებარ საერთაშორისო მიმოხილვას? - ალბათ იკითხავს გაბეზრებული მკითხველი. დასაწყისშივე მოგახსენეთ, თავადაც დიდხანს ვიყოყმანე, სანამ წერას შევუდგებოდი. ის აზრი აქვს, რომ 26 ოქტომბერს არჩევნებზე უკა გამარჯვებულები წავიდეთ და სრულად გააზრებული გვეონდეს დამარცხების შედეგები. თუ ამას მოვახერხებთ, მაშინ თავადაც დავიჯერებთ და სხვებსაც დავაჯერებთ, რომ ჭეშმარიტად ეგზისტენციალური რისკის წინაშე ვდგავართ.**

რა შანსი აქვს საქართველოს, რომ კლასიკური დემოკრატია გახდეს? აქვს ქართულ სოციუმს იმის პოტენცია, რომ კლასიკური რუსული პრიმიტივიზმის დომინაცია დაძლიოს საკუთარ წიაღში? რა არის ამ ძლევის ფასი? რა ფასს იხდის დღეს უკრაინა რუსული წიაღიდან გამოსასვლელად და ევროპულ სოციუმთან სამუდამოდ საზიარებლად? ღირს ასეთი

**„გამარჯვებას ბევრი მამა ჰყავს, დამარცხება კი ობოლია“ - ასეთი პერიფრაზირება გაუკეთა პრეზიდენტმა კენედიმ ტაციტუსის შეგონებას. ასეცაა. გამარჯვების შემთხვევაში საქართველო დარჩება ცივილიზაციის ოჯახში, ხოლო დამარცხების შემთხვევაში ობლობისთვის გაიწირება.**

ფასის გადახდა? რა გვაკლია? ინტელექტი თუ სიმამაცე? თუ ინტელექტის სიმამაცე? არსებობს მხდალი და მამაცი ინტელექტი? რა არის დღევანდელი ქართველი ერის არსი?...

რა აზრი აქვს ამ უპასუხო კითხვებით სპეცულაციას და გაუგებარ საერთაშორისო მიმოხილვას? - ალბათ იკითხავს

გაბეზრებული მკითხველი. დასაწყისშივე მოგახსენეთ, თავადაც დიდხანს ვიყოყმანე, სანამ წერას შევუდგებოდი. ის აზრი აქვს, რომ 26 ოქტომბერს არჩევნებზე უკა გამარჯვებულები წავიდეთ და სრულად გააზრებული გვქონდეს დამარცხების შედეგები. თუ ამას მოვახერხებთ, მაშინ თავადაც დავიჯერებთ და სხვებსაც დავაჯერებთ, რომ ჭეშმარიტად ეგზისტენციალური რისკის წინაშე ვდგავართ.


საერთაშორისო მიმოხილვა კი სხვა არაფერია, თუ არა იმ კონტექსტის აღნერა, რომელშიც ამჟამად ვიმყოფებით. კონტექსტის ცოდნის გარეშე რეალობის სწორად აღქმა შეუძლებელია და ჩვენი ამჟამინდელი კონტექსტი კი ძალიან მკაცრია და დაუნდობელი. არ გვერათ?

კარგად დააკვირდით ორ წელინადში ოცი წლით დაბერებულ პრეზიდენტზელენს შელენსკის და დარწმუნდებით.

და ბილოს, შეიძლება თუ არა აბსტრაქტული კატეგორიებით კონკრეტულის დამარცხება?

შეიძლება! მხოლოდ ერთი პირობით - განზომილება, ანუ რეალობა, უნდა შეცვალო; უფრო სწორად, ახალი უნდა შექმნა. ახალ რეალობას კი მხოლოდ მაშინ შექმნი, თუ უარს იტყვი იმ რეალობის წესებით თამაშზე, რომელიც შენს ოპონენტს აქვს შექმნილი. მისი თამაშიდან უნდა გამოხვიდე და თავად მოიფიქრო და შექმნა ახალი თამაში.

„გამარჯვებას ბევრი მამა ჰყავს, დამარცხება კი ობოლია“ - ასეთი პერიფრაზირება გაუკეთა პრეზიდენტმა კენედიმა კენედი ტაციტუსის შეგონებას. ასეცაა. გამარჯვების შემთხვევაში საქართველო დარჩება ცივილიზაციის ოჯახში, ხოლო დამარცხების შემთხვევაში ინტელექტული მხდალი მამაცი ინტელექტი და მამაცი ინტელექტი გაიცის არსი?...“





## ქეთი ქურდოვანიძე



## მეგობრის ნაამპრატი

ზღვისპირა ქალაქში დავიბადე. ვინც იცის, რა არის ზღვისპირა ქალაქი, მიხვდება, რამხელა სივრცეა იქ, თანაც რა უკიდეგანო და თვალუწვდენელი. განსაკუთრებით დიდი გეჩვენება ეს სივრცე, როდესაც თავად პატარა ხარ და შენს აღქმაში ჯერ არ ჩაბეჭდილა სხვა, უფრო მარტივი საგნების კალეიდოსკოპი და ამ საგნებისადმი ქვეცნობიერი ლტოლვა. საგნები, რომლებიც შენთვის შემოსაზღვრულ სივრცეს ნელ-ნელა ავსებენ და ბოლოს ადგილსაც კი აღარ ტოვებენ განსჯისთვის. ამ პირველყოფილი სივრცის დაბინძურება სხვადასხვა კულტურისა და ფასის მქონე პროდუქტებით ისე თანდათან და ვერაგულად გეპარება, რომ მათ შეფასებასა და გადარჩევასაც კი ვერ ასწრებ. ხშირად მათი აღქმა იმდენად აღქმატება მათსავე რეალ-

ურ ღირებულებას, რომ ერთ დღეს, როცა ბედი გაგილიმებს და გაიგებ ამ უღიმდამობის ნამდვილ ფასს, გული გწყდება და ფიქრობ, რამდენი ემოცია დახარჯე იმაზე, რაც ოდესლაც ღირებული, მეტიც, ამაღლვებელი გეგონა.

ჰოდა, ამ ზღვისპირა ქალაქში, რომელიც თვალს წარგტაცებს ათასი ეგზოტიკური გასართობით, ჩემი ბავშვობის ყველაზე მძაფრი და იდუმალი მოგონება ერთ-ერთი პოლიკლინიკის ვესტიბიულში საპატიო ადგილას დავანებულ, იმ ეპოქის კულტურული მემკვიდრეობის წიაღიძან ამოზრდილ და ქვაში გაცოცხლებულ საბჭოურ სულისკვეთებას დაუკავშირდა. მაშინ ძალიან პატარა ვიყავი და არც კი მესმოდა, რა იყო ან საბჭოეთი და ან მისი სულისკვეთება, მაგრამ ამ ინფანტილურმა აღტკინებამ ისე ამიძგერა

გული, რომ პოლიკლინიკის ვესტიპი-ულში განთავსებული მონუმენტის დანახვისთანავე გავიფიქრე, ალბათ ამაზე მშვენიერი სამყაროში არაფერია-მეტქი. ასე მეგონა და გულის სიღრმეში მეამაყებოდა კიდეც, რომ ეს უკვდავი ქმნილება სწორედ აქ, ამ ქალაქშია და არა სადღაც, რომსა თუ პარიზში.

გავიდა დრო, ჩემი ცხოვრება ახალი შთაბეჭდილებებით აივსო, მიქელანჯელო და დონატელო, ბერნინი და კანოვა, როდენი და ბურდელი თანდათან შემოვ-

**სწორედ მიუწვდომლობის შეგრძნება**  
**სძენს ხოლმე საგნებსა და მოვლენებს**  
**განუმეორებელ ხიბლს, განსაკუთრებით**  
**ისეთ ჩაკეტილ, ტოტალიტარულ სისტემაში,**  
**როგორიც სტალინური ეპოქა იყო, როდესაც**  
**მთელი კაცობრიობისთვის ხელმისაწვდომ**  
**ყოველდღიურ კეთილდღეობას მხოლოდ**  
**რეჟიმის ერთგული მსახურები ინაწილებენ და**  
**არამც და არამც - დაშინებული და ამის გამო**  
**გაყურსული მოკვდავნი.**

იდნენ ჩემს სააზროვნო სივრცეში, ის ბავშვური აღტაცება კი იმ ზღვისპირა ქალაქში ჩამაგალ მზესავით გაუჩინარდა მოგონებათა ღრუბლებში ისე, რომ თითქოს არც კი ყოფილა.

მაგრამ ერთხელაც, მშობლიურ ქალაქში ან უკე სტუმრად ჩასულს, ჩემს მეხსიერებაში შემორჩენილი ის არაამქეყნიური ქანდაკება პოლიკლინიკის ვესტიპიულში იატაკზე განრთხმული დამხვდა, დიდი და საზარელი ურჩეული - ხელში ნამგლითა და უროთი, ნამდვილი საბჭოური მონსტრი, რომელიც ახლა ისე საცოდავად გამოიყურებოდა, როგორც დრაკონი ტოლკინის „ჰობიტიდან“, სიმბოლო წარუმატებელი ბოროტებისა.

## ოსრგბტორგი

გაგიკვირდებათ და ბებიაჩემი, რომელიც საქართველოს ოკუპაციას, რეპრესიებს, მეორე მსოფლიო ომსა და სახელმწიფო გადატრიალებასაც კი მოესწრო, არას-დროს არაფერზე ისე ემოციურად არ

საუბრობდა, როგორც „ოსობტორგზე“. ეს იყო 1940-იან წლებში, სტალინიზმის ეპოქაში, შექმნილი ეკონომიკური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა საბჭოთა ელიტის კეთილდღეობას მაშინ, როცა მოსახლეობისთვის პური და სხვა აუცილებელი პროდუქტი ტალონებით გაიცემოდა. „ოსობტორგის“ ელიტარული მაღაზიები და რესტორნები საბჭოთა გენერლებსა და მაღალჩინოსნებს განუსაზღვრელი რაოდენობით სთაგაზობდა დეფიციტურ პროდუქტებს. ჩვეულებრივ მოკვდავებს ამ მაღაზიებში შესვლაც კი ეკრძალებოდათ და მხოლოდ ვიტრინებში მუზეუმის ექსპონატებივით გამოფენილი თეთრი პურისა და გემრიელი ნამცხვრების ცქერით იყლავდნენ ტკბობის უის. განა რა იყო ასეთი ამ „თვალწარმტაც“ მაღაზიებში, სამუდამო და წარუშლელი შთაბეჭდილება რომ დატოვა ჩემს ბევრის მნახველ და მომსწრე ბებიაზე? სინამდვილეში, არც არაფერი ისეთი, რაც თანამედროვე მარკეტების ერთ თაროსაც კი ვერ გაუწევს კონკურენციას. მაგრამ ის მიუწვდომლობის საოცნებო განცდა, რომელიც ბებიას „ოსობტორგის“ მაღაზიასთან ყოველი ავლა-ჩავლის დროს უფლებოდა და რომელიც ჩვენც გადმოგვდო, იმაზე ძლიერი და შთამბეჭდავი აღმოჩნდა, ვიდრე ჩემი განცვითორება - ნიუ იორკის Walmart-ით, სადაც ყველაფერია, რასაც ისურვებ, და არც ვინმე გიშლის იქ შესვლას. სწორედ მიუწვდომლობის შეგრძნება სძენს ხოლმე საგნებსა და მოვლენებს განუმეორებელ ხიბლს, განსაკუთრებით ისეთ ჩაკეტილ, ტოტალიტარულ სისტემაში, როგორიც სტალინური ეპოქა იყო, როდესაც მთელი კაცობრიობისთვის ხელმისაწვდომ ყოველდღიურ კეთილდღეობას მხოლოდ რეჟიმის ერთგული მსახურები ინაწილებენ და არამც და არამც - დაშინებული და ამის გამო გაყურსული მოკვდავნი. ასეთებს მხოლოდ დუმილისა და სახელისუფლებო ელიტის „ტკბილი ცხოვრებით“ აღფრთვანების უფლება ეძლევათ, მორალური თვითკმაყოფილება რომ იგრძნონ. რამდენი წელი გავიდა სტალინიზმის



ეპოქიდან, რამდენი რამ გადაფასდა, მაგრამ ამ საბჭოთა მოვლილი საზოგადოების „ბედნიერების მარკერი“ უცვლელი დარჩა - არაუშავს, გაჩუმდებით, წაუყრუებთ, მოითმენთ, ნუთუ არ კმარა, რომ დიქტატორის ფავორიტი პოლიტიკური და სახელოვნებო წრეები უდრტვინველად ცხოვრობენ. განა ეს ის ხელოვანები, სპორტსმენები, მეცნიერები არ არიან, რომლებმაც თქვენი საყოველთაო სიყარული დამსახურეს და რომელთა გამოც ხმა მიეცით სამთავრობო პარტიას. დიახ, სწორედ ის ხალხია, ყველა ჯერზე რეუიმთან ერთად სამშობლოს რომ ყიდის, თანაც გაირკვა, რომ ეს ჩვენი ღვაწლმოსილი საბჭოთა ელიტა ვერც დარგობრივ კრიტიკას უძლებს და ვერც საერთაშორისო კონკურენციას. რაღა დარჩა ბეპიაჩემივით განბილებულ და გაღატაკებულ ამომრჩეველს, გარდა იმისა, რომ ხანდახან შინაურობაში დაიჩივლოს: ეჰ, საწყალი ხალხისთვის არცერთი მთავრობა არაა.

## სამზითვო ჩემოდანი

სტალინიზმის ეპოქის შემდეგ, როდესაც ხალხმა ოდნავ სული მოითქვა, ყველა საშუალო შეძლების ოჯახის საკუჭნაოში ყავისფერმა ჩემოდანმა დაიდო ბინა, რკინის კუთხეებითა და საკეტებით. ამ ჩემოდანში ოჯახის დიასახლისები სიმწრით, ნაცნობობით, მოსკოვში დაბარებითა და გადამყიდველებთან სიარულით ნაშოვნ თეთრეულს, საცვლებსა და პირსახოცებს ინახავდნენ. წლების განმავლობაში ნაგროვები, ლამის რარიტეტად ქცეული ნივთები მხოლოდ იმ შემთხვევაში ნახავდა დღის სინათლეს, თუ გასათხოვარ ქალიშვილს ბედი გაულიმებდა და ოჯახის შექმნას დააპირებდა. ასეთი ჩემოდნების არსებობა ოჯახის დიასახლისს ღამით მშვიდი ძილის საშუალებას აძლევდა, დღისით კი - მზრუნველი მშობლის სტატუსის მორგებისას, რამეთუ იქ ინახებოდა ყველაფერი ყველაზე ძვირფასი: გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოშვებული მაქმანებიანი საღამურები, ჩინური პირსახოცები,

პოლონეთში წარმოებული ნახატებიანი ჩას ტილოები და ათასი სხვა წვრილმანი, ერთი სიტყვით, რასაც საბჭოთა საქართველოს მაღაზიების დახლქვეშ ან დიდი რუსეთის უნივერსამების მრავალსაათიან რიგში დგომით თუ იყიდდით.

ამ ჩემოდნებთან მიკარება ოჯახის ყველა წევრს ეკრძალებოდა, შინაბერად დარჩენილ ასაკოვან ქალიშვილსაც კი, რადგან მზრუნველ დედას მიაჩნდა, რომ

**რამდენი წელი გავიდა სტალინიზმის ეპოქიდან, რამდენი რამ გადაფასდა, მაგრამ ამ საბჭოთა მოვლილი საზოგადოების „ბედნიერების მარკერი“ უცვლელი დარჩა - არაუშავს, გაჩუმდებით, წაუყრუებთ, მოითმენთ, ნუთუ არ კმარა, რომ დიქტატორის ფავორიტი პოლიტიკური და სახელოვნებო წრეები უდრტვინველად ცხოვრობენ.**

ასეთს ველარ იშოვის, რომ ეს საუკეთესოა და მისი გამოყენება მხოლოდ ისეთი განსაკუთრებული მოვლენის დროს შეიძლება, როგორიც ქორწინებაა. საბჭოთა ადამიანის ცნობიერებაში ხომ ქალიშვილი მხოლოდ ერთხელ უნდა გათხოვილიყო და თანაც სამუდამოდ. გასდიოდა ნივთებს ყავლი და მოდა, იცრიცებოდა და ხუნდებოდა, მაგრამ ტრადიცია ცოცხლობდა და ამ ჩემოდანთან მიბმული საბჭოთა პატარძლის ბედიც წლობით დადებული ნაჭერივით ყვითლდებოდა.

ჩემოდანი ვიღას ახსოვდა, როდესაც საბჭოთა ჩამოშლამ ჩეხური ბროლის ლარნაკების, ლამის საკულტო მნიშვნელობის ძეირად ღირებული არაბული ჭალების, რუსული საიუველირო ქარხნების სერიული ნაწარმის მიმზიდველ ბრწყინვალებასაც კი უცვალა ფერი. გავიდა დრო და აღმოჩნდა, რომ არც ის ლარნაკები ღირს რამედ, არც ის სანთლებიან ჭალებია სოციალური სტატუსის მარკერი, რუსული სამკაულები კი მხოლოდ და მხოლოდ უხეში და უგემოვნო აქსესუარებია.

არ იყო ადვილი ამ იმედგაცრუებასთან შეგუება, მაგრამ რაღას იზამ, ბოლოს და ბოლოს, ხომ არ გადაყრი,



გააჩინებ მაინც და იმას გაახარებ, ვისაც აქამდე არ უგემია საბჭოთა კეთილდღეობის სიტყბო. ჰოდა, ასე დაიცალა სახლები ამ უმაქნისი ნივთებისგან და დარჩა

**წიგნის მყიდველებს გაცილებით უკეთესი საშინაო ბიბლიოთეკა ჰქონდათ, ვიდრე წიგნის მკითხველებს, რადგან ბიბლიოთეკას საბჭოთა ოჯახებში მხოლოდ საგანმანათლებლო ფუნქცია არ ეკისრებოდა, ის იყო მეპატრონის სოციალური სტატუსის გამომხატველი და ელიტარულ საზოგადოებასთან მიკუთვნებულობის მაჩვენებელი.**

მხოლოდ ნაფტალინის ბალიშებით გატენილი გერმანული ინსტრუმენტები და მაკულატურის ტალონებით ნაგროვები ბიბლიოთეკა.

## გაკულატურა

საბჭოთა ადამიანი „მეშჩანი“ არ გევონოთ, თუ წიგნის მკითხველი არა, წიგნის მყიდველი მაინც იყო. როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, საბჭოთა კავშირში წიგნები ძნელად იშოვებოდა. ეს დეფიციტი სამი მთავარი მიზეზით იყო განპირობებული: ცენზურა, მწირი რესურსები და ცენტრალიზებული ბიურო-

**ვინ იფიქრებდა, რომ ყალბი ფასეულობებით ნაგებ-ნაკოწიწები საბჭოთა სინამდვილით იმედგაცრუებული ხალხი, აწ უკვე თავისუფლების სამშვიდობოზე გამოსული, ამ გაკვეთილს სამარადეა მოდ არ დაიწერდა გულის ფიცარზე, არ გაითვალისწინებდა მომავალი ცხოვრების მოწყობის საჭიროებისას. მაგრამ ეს ვარაუდიც დიდი იმედგაცრუება გამოდგა. ქართველის კოლექტიური მეხსიერება იმაზე უფრო მოკლე აღმოჩნდა, ვიდრე ბუენდიებისა მარკესის რომანიდან „მარტოობის ასი წელი“.**

კრატიული საგამომცემლო სისტემა. წიგნის მყიდველებს გაცილებით უკეთესი საშინაო ბიბლიოთეკა ჰქონდათ, ვიდრე

წიგნის მკითხველებს, რადგან ბიბლიოთეკას საბჭოთა ოჯახებში მხოლოდ საგანმანათლებლო ფუნქცია არ ეკისრებოდა, ის იყო მეპატრონის სოციალური სტატუსის გამომხატველი და ელიტარულ საზოგადოებასთან მიკუთვნებულობის მაჩვენებელი. განა რა არის იმაში ცუდი, რომ პრივატული ბიბლიოთეკის შექმნა პრესტიუსის საგნად იქცეს? არც არაფერი, თუმცა ისეთ ქვეყანაში, სადაც წიგნების დეფიციტია, გულითად მკითხველს ან საჯარო ბიბლიოთეკაში უნდეს ჯდომა ან კარდაკარ სიარული და თხოვნა. არადა, მოგვიანებით რამდენმა გადაუფურცლავმა წიგნმა იხილა ნაგვის ბუნევების სიბნელე. ეს ის წიგნები იყო, რომლებსაც დიდი ნაცნობობით, „ჩანყობით“, გადამყიდველების გამდიდრებით იძნდა საბჭოთა მოქალაქე და თაროზე აწყობდა, ტომებად ჩამწერივებულს. საქართველოში საშინაო ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი რუსულენოვანი იყო. ბევრ ოჯახში შეხვდებოდით რუსულად გამოცემულ შუმანიკის წამებასა და გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას, ალუდა ქეთელაურსა და გველის მჭამელს. რომ გეკითხა პატრონისთვის, გიპასუხებდა, რომ მშობლიური მწერლობა ყველა ენაზე სასიამოვნოდ იყითხება, არადა მათი უმრავლესობა ისე ჩაპბარდა მაკულატურას, რომ ერთხელაც არავის გადაუფურცლავს.

ბიბლიოთეკების დიდი და მოცულობითი ადგილი ეკავა რუსულენოვან მრავალტომეულებს, რომელთა არა თუ წაკითხვა, არამედ სახლში განთავსებაც კი დიდი გამოწვევა იყო, განსაკუთრებით, ე.წ. „ხრუშჩოვებში“. მაგრამ ამაყიქართველი უმაღლესი ფეხზე გაათევდა ლამეს, საწილს არ იყიდდა და წიგნის თაროს ვერ მოაკლებდა ვერც სეიფულინას, ვერც ფადევევისა და ვერც ოსტროკვესის „შედევრებს“. ასე გაივსო ნაგვით ისედაც სივიწროვეში მცხოვრები საბჭოთა ადამიანის ბინა იმ იმედით, რომ რაც თავად ვერ დაძლია, შვილები წაიკითხავენ. ერთ მშვენიერ დღეს კი აღმოჩნდა, რომ შვილები არათუ ამ ლიტერატურად

წოდებული, გაყვითლებული წიგნების წაკითხვას არ აპირებენ, არამედ რუსული საერთოდ არ იციან.

სამზითვო ჩემოდნების გამოუსადეგარობითა და ბროლის ლარნაკების გაუფასურებით გამოწვეული სევდა იმასთან რა მოსატანია, რაც ამ ინტელექტუალურმა ტრავმაშ გამოიწვია საბჭოთს, ან უკვე სამუდამოდ, ჩამოშორებულ საზოგადოებაში. ლეგენდა დიად რუსულ ლიტერატურაზე ერთი ხელის მოსმით გაცამტვერდა, ხოლო მოარული ფრაზა: „მტრის ლიტერატურა მტრის ენაზე უნდა წაიკითხო“, ახალგაზრდა თაობის პასუხმა ჩაანაცვლა „არც ოკუპანტის ენას ვისწავლი და არც მის კულტურას ვეზიარები“.

კიდევ უფრო მწვავედ განიცადა ქართველმა საზოგადოებამ სახელივნებო მუშაკებისგან საბჭოთა პერიოდში გამოძერნილი რეჟიმის იდეოლოგთა კოპორტის საყოველთაო სირცხვილი, როდესაც მათთვის სათაყვანებელმა არტისტებმა და მეგონებმა პირველივე ჯერზე დაუფიქრებლად უღალატეს დემოკრატიულ პრინციპებს და ოკუპანტის ინტერესების გასატარებლად იარაღიც კი აიღეს ხელში. გინდ ასე თქვი, გინდ - ისე, ეს ადამიანები მაინც უყვარდა ხალხს, ამიტომაც ამ სოციალური მარცხის მონელებას საკმაო დრო დასჭირდა, რამეთუ ამ უნიჭო არტისტებისა და მომღერლების, მწერლებისა და სპორტსმენების ნაღვანით გამოწვეული უსაფუძლო აღფრთოვანება იოლად ვერ გადაიყარა გულიდან.

## ხმაური და მძიმვარება

ვინ იფიქრებდა, რომ ყალბი ფასეულობებით ნაგებ-ნაკონინები საბჭოთა სინამდვილით იმედგაცრუებული ხალხი, ან უკვე თავისუფლების სამშვიდობოზე გამოსული, ამ გაკვეთილს სამარადეა-მოდ არ დაიწერდა გულის ფიცარზე, არ გაითვალისწინებდა მომავალი ცხოვრების მოწყობის საჭიროებისას. მაგრამ ეს ვარაუდიც დიდი იმედგაცრუება გა-მოდგა. ქართველის კოლექტიური მეხ-

სიერება იმაზე უფრო მოკლე აღმოჩნდა, ვიდრე ბუენდიებისა მარკესის რომანიდან „მარტოობის ასი წელი“. ქართველმა ვერაფერი ისწავლა, ვერ შეძლო შეცდომების გააზრება, რადგან საბჭოეთში განცდილმა კულტურულმა და სოციალურმა მარცხმა მისი ნარატივი - ფრაგმენ-

**მიუხედავად ვითარების სიმძიმისა, გამოსავალი მაინც არსებობს: 26 ოქტომბერს ყველამ ერთად უნდა ვიტვირთოთ მორალური პასუხისმგებლობა, გამოვიჩინოთ პიროვნული გამძლეობა და ავირჩიოთ ცვლილების გზით სიარული, რათა აღარასდროს დავბრუნდეთ სამზითვო ჩემოდნების ეპოქაში და აღარასდროს ვიგემოთ იმედგაცრუების სიმწარე.**

ტული, ემოციები კი უკონტროლო გახადა, როგორც მაბეჭტის მონოლოგიდან გაცოცხლებული „იდიოტის“, გონებრივად ჩამორჩენილი ბენჯი კომფსონისა (ფოლკნერის რომანის „ხმაური და მძვინვარება“ მთავარი პერსონაჟი), ხოლო ქვეყანა - კომფსონების ოჯახს დაამსგავსა, ძველი დიდების ძიებისა და რეალობის უარყოფის ზღვარზე სულს რომ ღაფავს.

ასე აივსო ჩვენი ცხოვრება ხმაურითა და მძვინვარებით. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კიდევ ერთხელ დავდექით დამოუკიდებლობის დაკარგვის საშიშროების წინაშე. დიდი ხანი დაგვჭირდა იმის დასანახად - არა, იმის აღიარებისთვის - თუ სინამდვილეში ვისთან და რასთან გვქონდა საქმე. და როცა დიაგნოზი მკაფიოდ დაისვა, მაშინაც კი ვერ შევეღლით გაერთიანება, წარსულის შეცდომების გააზრება და გადარჩინის ერთიანი სტრატეგიის შემუშავება.

**მიუხედავად ვითარების სიმძიმისა, გამოსავალი მაინც არსებობს: 26 ოქტომბერს ყველამ ერთად უნდა ვიტვირთოთ მორალური პასუხისმგებლობა, გამოვიჩინოთ პიროვნული გამძლეობა და ავირჩიოთ ცვლილების გზით სიარული, რათა აღარასდროს დავბრუნდეთ სამზითვო ჩემოდნების ეპოქაში და აღარასდროს ვიგემოთ იმედგაცრუების სიმწარე.**





გიორგი ასტამაძე



# ბრძოლა უცხოურ დიპლომატიურ მისიებთან და 1921-1922 წლების ბოლშევიკური საქართველოს დეზავიუ

2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინაში წამოწყებულმა იმპერიალისტურმა ექსპანსიამ დიდი გავლენა იქონია საქართველოში არსებული იმ ჰიბრიდული რეჟიმის ლუსტრაციაზე, რომელიც 2012 წლიდან პროდასავლურობის ნიღბით მართავდა ქვეყანას. მოუხედავად იმისა, რომ დაკვირვებული თვალისფარის თავიდანვე აშკარა იყო რეჟიმის შემოქმედის, ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის, ღრმად ანტიდასავლური ბუნება, მის გარშემო შეკრებილი პროევროპული პარტიების მიერ შექმნილი ანტურაუის გაქრობასა და ივანიშვილის რეალური სახის წარმოჩენას სრული ათი წელი და რუსეთის უკრაინაში შეჭრა დასჭირდა.

**ისტორიული პარალელები ცხადებულებების მიზანის რეალურობის შესრულებაზე დიდი სიახლოეს აკავშირებთ პირველი თაობის ქართველ ბოლშევიკებს, რომლებმაც 1921-1922 წლებში წადირობა გამოაცხადეს უცხოურ წარმომადგენლობებზე საქართველოში. მივყეთ თანმიმდევრობით:**

2022 წლიდან მოყოლებული, ივანიშვილის რეჟიმი თითოდან გამოწვილი

ბრალდებით, თითქოს დასავლეთი საქართველოს ოშში ჩაბმას ცდილობს, ლიაკონფრონტაციაში შევიდა ცივილიზებულ სამყაროსთან და ყველანაირი საშუალებით - რიტორიკითა თუ ქმედებებით - ცდილობს საქართველოს დასავლეთისგან იზოლაციას. რეჟიმის სპიკერები, რომელთა პოლიტიკური წარსული იმდენად არაფრისმთქმელია, რომ მათი გვარების დამახსოვრებაზე ადვილი, ხშირად, საარჩევნო სიაში მათი რიგითი ნომრის დამახსოვრებაა, ყოველდღიურ რეჟიმში ლანდლავენ დასავლეთის დიპლომატიურ მისიებს საქართველოში. არადა, საქართველო რომ დამოუკიდებელი ქვეყანაა და პრეტენზია აქვს, დემოკრატიული სამყაროს ორგანული ნაწილი იყოს, მნიშვნელოვანნილად სწორედ ამ მისიების არსებობით და მათი დედაქალაქების მეგობრული პოლიტიკითაა განპირობებული.

ამ თემაზე ფიქრისას, საკუთარ თავს დავუსვი კითხვა: თუ ყოფილა შემთხვევა საქართველოს უახლეს ისტორიაში, რომ საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას ასე ელანდლოს დასავლური

მისიერი? ცივი ომის დროინდელ საბჭოთა კავშირშიც კი არ არსებობდა ისეთი ვულგარული ანტიდასავლური კამპანია, როგორიც დღეს მოედინება პუტინის რუსეთიდან და მისი სატელიტური რეჟიმებიდან, როგორადაც ჩამოყალიბდა ივანიშვილის მმართველობა თავისი ჯიბის ტელევიზიებითა თუ ტროლ-ბოტების ქარხნებით. ისტორიული პარალელები ცხადჰყოფს, რომ ივანიშვილის რეჟიმთან ყველაზე დიდი სიახლოვე აკავშირებთ პირველი თაობის ქართველ ბოლშევიკებს, რომელმაც 1921-1922 წლებში ნადირობა გამოაცხადეს უცხოურ წარმომადგენლობებზე საქართველოში. მივყვეთ თანმიმდევრობით:

1921 წელს, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, დიპლომატიური წარმომადგენლობებისთვის რთული პერიოდი დადგა. მისიების დიდმა ნაწილმა უორდანიას ხელისუფლებასთან ერთად დატოვა საქართველო, ხოლო დარჩენილებსა და მოგვიანებით დაპრუნებულებს, თავიანთი ქვეყნების ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, თანამშრომლობა უხდებოდათ საქართველოს ბოლშევიკურ რეჟიმთან, რომელიც, რაც უნდა უცნაურად ჩანდეს, 1922 წლის დეკემბრამდე (საბჭოთა კავშირის ოფიციალურად შექმნამდე), სუვერენული ქვეყნის ხელისუფლებად მიიჩნეოდა.

პირველმა თვეებმა შედარებით ნორმალურად ჩაიარა, რადგან ქართველ ბოლშევიკებს - ბუდუ მდივანს, ფილიპე მახარაძეს, ალიოშა სვანიძეს და სხვებს - საკუთარი რეჟიმის კონსოლიდაციისთვის ფორმალურად სჭირდებოდათ უცხოელებთან გარკვეული ურთიერთობა. მოსკოვიდან სპეციალური ბრძანებაც კი გაიცა, რომ გერმანიის წარმომადგენელ ულრის რაუშერს, ერთადერთ უმაღლესი რანგის დიპლომატს, რომელმაც არ დატოვა საქართველო ბოლშევიკების შემოჭრის შემდეგ, კარგად მოპყრობოდნენ. თუმცა რეჟიმის გამყარებასთან ერთად, 1921 წლის ბოლოდან, დასავლურ წარმომადგენლობებთან ურთიერთობები ჩიხში შევიდა.

საქართველოს რევკომს ძალიან აღიზიანებდა უორდანიას ხელისუფლების აქტიურობა ემიგრაციაში და საქართველოს ბოლშევიკური რეჟიმის არალიარების პოლიტიკა. 1921 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ემიგრანტული მთავრობის წევრებმა შეხვედრები გამართეს გერმანულ ოფიციოზთან და რაუშერის დიპლომატიური მისიის გაწვევა ითხოვეს ოკუპირებული საქართველოდან,

**პესე წერდა, რომ ქართველ ბოლშევიკებს ბრძანებები პირდაპირ რუსეთიდან მოსდიოდათ, რაც მიზნად ისახავდა საქართველოში უცხოური წარმომადგენლობების გარიყვას, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის ნიშნების მატარებელი ორგანოებისა, თუმცა ამ ყველაფერს ისეთი ელფერი უნდა ჰქონოდა, თითქოს ეს პოლიტიკა თავად ქართველებისგან მოდიოდა.**

რის შემდეგაც, რაუშერი და იტალიის წარმომადგენელი - ფრანც კონი, საკუთარ საცხოვრებელ სახლში დაიბარა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა, ალიოშა სვანიძემ და პრობლემების შექმნით დაემუქრა, თუ არ შეწყდებოდა უორდანიას მთავრობის აღქმა საქართველოს ხელისუფლებად და ბოლშევიკებთან ურთიერთობები ოფიციალურ სახეს არ მიიღებდა. ცოტა ხნის შემდეგ სვანიძის მოადგილე ტოროშელიძემ გერმანიას მტრულად განწყობილი ქვეყანა უწოდა და რაუშერს მალევე მოუწია საქართველოს სამუდამოდ დატოვება.

უცხოური წარმომადგენლობების წინააღმდეგ წამოწყებულმა სადამსჯელო პოლიტიკამ დიდი მასშტაბი 1922 წლიდან მიიღო. ბოლშევიკური ხელისუფლება მათზე მიტანილი იერიშით ერთდროულად რამდენიმე მიზნის მიღწევას ცდილობდა. უმთავრესი იყო - საქართველოს ოკუპაციის ლეგიტიმურად ცნობა უცხოეთის მიერ და ამით უორდანიას ემიგრანტული ხელისუფლების დელეგიტიმაცია. ამასთან ერთად, საქართველოში უცხოური წარმომადგენლობების შემცირება და თანდათანიბით გაქრობა საქართველოს სუვერენიტეტს სერიო-

ზულ დარტყმას მიაყენებდა, რაც ასევე მათი მიზანი იყო.

1922 წლიდან ბოლშევიკებმა უკვე ლიანადირობა დაიწყეს ევროპულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებზე, თუ მათი ქვეყნები ბოლშევიკურ რეჟიმს არ აღიარებდნენ საქართველოში. აზერბაიჯანიდან დაბრუნებისას გერმანიის ელჩ რაუშერის ვაგონი ჩეკამ მატარებელს ჩახსნა იმ საბაბით, თითქოს მას ოფიციალური საბუთები არ გააჩნდა. პრობლემები შეუქმნეს მის ცოლსაც, რომელიც

**1922 წელს ბოლშევიკები ბრალს სდებდნენ გერმანიის წარმომადგენლობას თბილისში, რომ ეორდანიას ემიგრანტული მთავრობა მათი დახმარებით პაირებდა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას.**  
**2024 წელს ანალოგიურად მეტყველებს ივანიშვილის მარიონეტების არმია და მათი პროპაგანდისტული მედია, რომ არარსებული „გლობალური ომის პარტია“, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს მართავს, საქართველოში რევოლუციის მოწყობასა და, შემდგომ, ქვეყნის ომში ჩათრევას ცდილობს.**

საქართველოდან წასვლისას საზღვარზე არ გაატარეს, დამამცირებლად ამოუყარეს ბარგი და მხოლოდ სამი თვის შემდეგ მისცეს საქართველოს დატოვების უფლება. ბათუმიდან გააძევეს გერმანიის კონსული კარლ კორნელსენი, ისევე როგორც დანის კონსულის მოვალეობის შემსრულებელი პაინრის ვარნეკე, რომელიც საერთოდაც ბათუმში იყო გაზრდილი, 35 წელი იქ ცხოვრობდა, ფლობდა ბიზნესსა და უძრავ ქონებას, რომლის კონფისკაციაც მოახდინა სახელმწიფო. საქართველოს დატოვება მოუხდათ პოლანდის, ბელგიის, ფინეთის, შვედეთის, ნორვეგიის წარმომადგენლებს. ბაქოში ცოლთან ერთად დაპატიმრეს ესტონეთის წარმომადგენელი, გადაიყვანეს საქართველოში და შპიონაჟის ბრალდებით გააძევეს ქვეყნიდან. დალუქეს შვეიცარიისა და პოლანდის საკონსულოების შენობები, სადაც ჩეკაშევიდა და მასალები გაიტანა. რაუშერის მემკვიდრე, მაქს ჰესე, აღნიშნავდა მი-

მოწერაში, რომ მისი დაჭერაც სრულიად მოსალოდნელი იყო. ამ ტალღის შემდეგ ევროპული მისიებიდან ფაქტობრივად მხოლოდ გერმანიისა და იტალიის წარმომადგენლობა რჩებოდა.

ბოლშევიკების მიერ წარმოებულმა ფსიქოლოგიურმა ტერორმა შედეგი გამოიღო. გერმანულ წარმომადგენლობებზე საქართველოში განხორციელებული დევნა რუსების მიერ შესანიშნავად გამოიყენებოდა ზენოლის იარაღად გერმანიის მთავრობასთან წარმოებული მოლაპარაკებების დროს. საბოლოოდ, 1922 წლის აპრილში, გერმანიამ და საბჭოთა რუსეთმა ერთმანეთი სცნეს რაპალოს ხელშეკრულებით, რითაც რუსებმა საერთაშორისო იზოლაცია გაარღვიეს.

მოსკოვთან კოორდინირებულად ქართველმა ბოლშევიკებმა რაპალოს ხელშეკრულების დადებისთანავე შეამცირეს ზენოლა გერმანიის წარმომადგენლობაზე საქართველოში, თუმცა ისინი ბოლომდე კმაყოფილი მაინც არ იყვნენ, რადგან რაპალოს განვრცობა საქართველოზე არ მომხდარა და ქართველი ბოლშევიკები კვლავ არალეგალურ ხელისუფლებად რჩებოდნენ.

1922 წლის ზაფხულში მოსკოვის დავალებით მათ მორიგი იერიში მიიტანეს გერმანიის წარმომადგენლობაზე. ივლისში თბილისში გერმანული მისინის შენობა გაძარცვეს, რომლის დროსაც გაიტანეს გარკვეული დოკუმენტაცია. ძარცვა ორგანიზებული იყო ჩეკას მიერ, ხოლო უშუალოდ განახორციელა გერმანიის მისის ყოფილმა თანამშრომელმა, რომელიც მოსკოვში სხვა დანაშაულის გამო რამდენიმე თვით ადრე დაპატიმრეს და გადაიბირეს. მისივე ჩეკების მიხედვით, ჩეკამ დაპატიმრა გერმანული მისის თარჯიმანი, ფონ ნორმანი, ანტისაბჭოთა აგიტაციის, უორდანისა ემიგრანტულ ხელისუფლებასთან კავშირისა და შპიონაჟის ბრალდებით.

კონსულ ჰესეს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ტოროშელიძემ განუცხადა: საკონსულო ოფიციალური რომ ყოფილიყო, ნორმან-



ის დაჭერას ჩეცა ვერ გაძედავდა, რაც პირდაპირი მინიშნება იყო რაპალოს ხელშეკრულების საქართველოზე განვრცობის აუცილებლობაზე. აშკარაა, საოცუპაციო ხელისუფლება მოვლენების რადიკალიზაციით ცდილობდა შედეგის მიღწევას. ჰესე წერდა, რომ ქართველ ბოლშევიკებს ბრძანებები პირდაპირ რუსეთიდან მოსდიოდათ, რაც მიზნად ისახავდა საქართველოში უცხოური წარმომადგენლობების გარიყვას, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის ნიშნების მატარებელი ორგანოებისა, თუმცა ამ ყველაფერს ისეთი ელფერი უნდა ჰქონდა, თითქოს ეს პოლიტიკა თავად ქართველებისგან მოდიოდა.

სამუშაო გარემოს ნორმალიზების მიზნით, გერმანიის წარმომადგენლობა უკვე თავად სთხოვდა ბერლინს, რომ დაეჩარებინა რაპალოს ხელშეკრულების საქართველოზე განვრცობის საკითხი, წინააღმდეგ შემთხვევაში მისიას მუშაობა უნდა დაესრულებონა. სექტემბერში გაიმართა შეხვედრები ჰესესა და ტოროშელიძეს შორის, რაც ნორმანის გათავისუფლებით დასრულდა, თუმცა ის საქართველოდან მაინც მალევე გააძევეს. სანაცვლოდ, ბოლშევიკებმა მიზანს მიაღწიეს და 1922 წლის 5 ნოემბერს გერმანიამ ოფიციალურად განაცრცო რაპალოს ხელშეკრულება რუსეთის სატელიტურ ქვეყნებზე, მათ შორის თბილისის ბოლშევიკურ რეზიმზე, როთაც ემიგრანტული მთავრობის მუშაობას ბერლინში იურიდიული საფუძველი გამოეცალა. მალე შეიქმნა საბჭოთა კავშირიც, გერმანიის წარმომადგენლობა საქართველოში კი თბილისის გენერალურ საკონსულოდ გადაკეთდა, რომელმაც 30-იანი წლების ბოლომდე იარსება.

ასი წლის შემდეგ თანამედროვე საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელიც ძალიან ჰყავს პირველი თაობის ბოლშევიკებს დასავლური წარმომადგენლობებისადმი ზიზლით. მსგავსება გამოიხატება როგორც მათ მიმართ გამოყენებული სიძულვილით სავსე ლექსიკით, ისე - კონკრეტული ქმედებებით.

ამასთან, ივანიშვილის რეზიმი, მსგავსად პირველი თაობის ბოლშევიკებისა, აგრესით გამოირჩევა მხოლოდ დასავლური, დემოკრატიული სახელმწიფოების მისიების მიმართ, ისევე როგორც ეს ხდებოდა 1921-1922 წლებში, როდესაც ევროპული მისიების დევნისას, ბოლშევიკებს ხელი არ უხლიათ თურქეთისა და სპარსეთის წარმომადგენლობებისთვის თბილისში. ეს სავარაუდოდ განპირობებულია იმით, რომ ივანიშვილის რეზიმი, ბოლშევიკების მსგავსად, სიახ-

**1922 წელს ბოლშევიკებმა თავისი გაიტანეს - საქართველოდან გააძევეს დასავლეთი და ქვეყანა დიდი ხნით საჯიჯნად მიუგდეს რუსეთს. ჩვენს თანამედროვეობაში ეს ვერ და არ განმეორდება. ამის დამტკიცების შესაძლებლობა ძალიან მაღე - 2024 წლის 26 ოქტომბერს იქნება, როდესაც ყველამ, ვისაც თავი ქართველად, ევროპელად და უბრალოდ ცივილიზაციულ ადამიანად მიაჩინა, უნდა ვუთხრათ „კი!“ - დემოკრატიულ დასავლეთს და მკაფიო „არა!“ - ავტორიტარულ რუსეთს.**

ლოვეს გრძნობს ავტორიტარებთან და საკუთარი რეზიმისთვის საფრთხის შემცველად ცივილიზაციულ სახელმწიფოებსა და, ზოგადად, კანონზე აგებულ წერიგს მიიჩნევს.

გარდა ამისა, ივანიშვილის რეზიმი მეთოდოლოგიურადაც ჰყავს პირველი თაობის ბოლშევიკებს დასავლეთან ურთიერთობებში. რეზიმმა უკვე რამდენჯერმე გამოიყენა ბოლშევიკების წაცადი ხერხი - ჯერ მოვლენების რადიკალიზაცია, შემდეგ კი მცირე უკანდაბევით მაინც თავისის გატანა. ამის კარგი მაგალითია 2020 წლის მანიულირებული არჩევნების შემდეგ ბოკოტის რეზიმში მყოფი ოპოზიციის დასავლეთის ჩართულობით პარლამენტში შეყვანა, რამაც საბოლოოდ ისევ ივანიშვილის ანტიდასავლური რეზიმის გამყარებას შეუწყო ხელი დასავლეთისვე მონაწილეობით.

ივანიშვილის, კონკრეტულის, პაპუაშვილის, კალაძისა და სხვათა მმართველობა



და რიტორიკა გაჭრილი ვაშლივით ჰგავს მახარაძის, მდივნის, ორახელაშვილის, ტოროშელიძისა და სხვათა ბოლშევიკური ხელისუფლების პროპაგანდას, რომელიც მუდამ ამტკიცებდა, რომ დასავლეთის მონაწილეობით საქართველოში გადატრიალება მზადდებოდა. 1922 წელს ბოლშევიკები ბრალს სდებდნენ გერმანიის წარმომადგენლობას თბილისში, რომ უორდანიას ემიგრანტული მთავრობა მათი დახმარებით აპირებდა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას. 2024 წელს ანალოგიურად მეტყველებს ივანიშვილის მარიონეტების არმია და მათი პროპაგანდისტული მედია, რომ არარსებული „გლობალური ომის პარტია“, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს მართავს, საქართველოში რევოლუციის მოწყობასა და, შემდგომ, ქვეყნის ომში ჩათრევას ცდილობს.

ბოლშევიკების მიერ შექმნილი უორდანიას ხელისუფლების მტრის ხატი, ე.ი., საქართველოს დამოუკიდებლობისა და რუსეთის წინაშე კაპიტულაციაზე ხელის არმომნერი ძალის ადგილი, ივანიშვილის რეჟიმის პროპაგანდაში დაიკავა ეგრეთ წოდებულმა „კოლექტიურმა წარ-

ცმოძრაობამ“, რომელშიც იგულისხმება უკვე არა ერთი კონკრეტული პარტია, არამედ ყველა, ვინც ენინააღმდეგება რუსული დიქტატურის დამყარებასა და ქვეყნის რუსიფიკაციას, რაც ივანიშვილმა ოფიციალურად დააანონსა 2024 წლის 29 აპრილს. შესაბამისად, ივანიშვილის რეჟიმის თვალში მათგან განსახვავებულად მოაზროვნე წებისმიერი ადამიანი „კოლექტიური წაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი და დასავლეთის აგენტია.

ამდენი მსგავსებების შემდეგ, მოდი, ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით დავამთავროთ. 1922 წელს ბოლშევიკებმა თავისი გაიტანეს - საქართველოდან გააძევეს დასავლეთი და ქვეყანა დიდი ხნით საჯიჯვნად მიუგდეს რუსეთს. ჩვენს თანამედროვეობაში ეს ვერ და არ განმეორდება. ამის დამტკიცების შესაძლებლობა ძალიან მალე - 2024 წლის 26 ოქტომბერს იქნება, როდესაც ყველამ, ვისაც თავი ქართველად, ევროპელად და უბრალოდ ცივილიზებულ ადამიანად მიაჩინა, უნდა ვუთხრათ „კი!“ - დემოკრატიულ დასავლეთს და მკაფიო „არა!“ - ავტორიტარულ რუსეთს. ■



# GenZ-ის აზრით

სულ რამდენიმე დღე რჩება 26 ოქტომბრამდე, იმ დღემდე, როდესაც არჩევნებმა უნდა გადაწყვიტოს ჩვენი ქვეყნის მომავალი - სად ვიცხოვორებთ, გავხდებით თუ არა ცივილიზაციული სამყაროს განუყოფელი ნაწილი თუ ხანგრძლივი დროით დავრჩებით ტოტალიტარული რუსეთის გავლენის სფეროში? ალპათ, განსაკუთრებით საინტერესოა ამ საკითხთან დაკავშირებით იმ თაობის აზრი, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში დაიბადა და რომელსაც დამღად არ დაჰყვება საბჭოური წარსული ან ბნელი 1990-იანების ტრავმა. თაობისა, რომელმაც მოასწორ და უკვე დაატყო საკუთარი კვალი საქართველოს თანამედროვე ისტორიას.

„ახალი ივერიის“ რედაქციამ რამდენიმე შეკითხვა დაუსვა ახალგაზრდა რესპონდენტებს: მიდიხართ თუ არა არჩევნებზე? რა წყდება თქვენთვის 26 ოქტომბერს? სად ხედავთ საქართველოს და თქვენს თავს 2030 წელს? როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ მიერ გასავლელი გზა უახლოეს 5 წელიწადში?

გთავაზობთ მათ მოსაზრებებსა და განწყობას ისტორიულ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე:



## თინი ზალიშვილი

- 26 ოქტომბერის არჩევნების შედეგები განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის მომავალს უახლოესი რამდენი ათწლეულის მანძილზე. არჩევნებზე არნასვლა დღევანდელ მოცემულობაში დანაშაულის ტოლფასია. დემოკრატიული და თავისუფა-
- ლი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ბრძოლა თითოეული მოქალაქის ვალია, შესაბამისად, 26 ოქტომბრის რეფერენდუმი ქვეყნის ევროპული მომავლის გადარჩენისთვის გადამწყვეტ როლს შეასრულებს.

2030 წლისთვის ვისურვებდი, რომ მეტად დემოკრატიულ და უსაფრთხო ქვეყანაში გვეცხოვროს, სადაც დაცული იქნება ადამიანის უფლებები, იქნება კანონის უზენაესობა, მაღალი ხარისხის, ხელმისაწვდომი განათლება და უკეთესი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, რაც მთავარია, გვექნება არსებითი პროგრესი ევროპული ინტეგრაციის კუთხით.

ჩემი, როგორც ერთ-ერთი აქტიური

მოქალაქეის, გასავლელი გზა, დღევანდელი მოცემულობის გათვალისწინებით, არ არის მარტივი, რადგან ახალგაზრდები ცვლილებებისა და განვითარების პროცესში არა უბრალოდ ვმონაწილეობთ, არამედ თავად ვართ გარდამტები პროცესების ინიციატორები. შესაბამისად, მოვუწოდებ ყველას, წავიდეს არჩევნებზე, დააფიქსიროს საკუთარი აზრი და დაიცვას საქართველოს დემოკრატიული, ევროპული მომავალი.




## საპა მეურმიშვილი

■ არჩევნებზე მივდივარ და, ამასთანავე, პირველად ვიქენები დამკვირვებელი. 26 ოქტომბრის არჩევნები გადაწყვეტს საქართველოს წინა, ახლანდელი და შემდეგი თაობების მომავალს. ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ 26 ოქტომბერს გადაწყდება, იქნება თუ არა საქართველო სუვერენული სახელმწიფო.

საქართველოს აუცილებლად ვხედავ

ევროპის კავშირში, საკუთარ თავს კი წარმოვიდგენ საჯარო მოხელედ, რომელიც ემსახურება ქვეყნას და არა რომელიმე ინდივიდს ან პარტიას.

საქართველოსთვის მომავალი 5 წელიწადი გამოწვევებით აღსავს იქნება. საჭიროა თითოეული ჩვენგანის ურყევი ნება და ძალისხმევა, რათა საქართველო ევროპულ ოჯახში დავაპრუნოთ.



## ირაკლი ორმოცხაძე

■ არჩევნებზე, რა თქმა უნდა, მივდივარ! მეტიც, დამკვირვებლადაც დავრეგისტრირდი და ვაპირებ, დავიცვა ჩვენი ხმები - ალბათ, ბევრი ახალგაზრდა იქნება ჩვენთან ერთად, რადგან წელს - და, ალ-


ბათ, უახლოეს მომავალშიც - ამაზე მნიშვნელოვანი საქმე არაფერი მეგულება.

26 ოქტომბრის საარჩევნო დღეს მოთმინებით ველოდები. უკვე რამდენიმე დღელა დარჩა, პოლიტიკური ტემ-

პერატურა იმატებს და საზოგადოებაც მეტად მომართული ხდება ცვლილებისთვის. 20 წლის ვარ, შეიძლება მკითხველი ჩემს ასაკობრივ გამოცდილებას არ/ვერ ენდოს, მაგრამ გულრწფელი მოქალაქისა და აქტიური სტუდენტის აზრის მოსმენა ამ არჩევნებზე თუ გსურთ, ვიტყვი, რომ უმნიშვნელოვანესი პროცესის მონაწილეობი ვართ და, შესაძლებელია კი არა, ნამდვილად ყველაფერი ჩვენს მოქმედებებსა და გაკეთებულ არჩევანზეა დამოკიდებული, რამაც ჩვენი სახელმწიფოს მომავალი უნდა განსაზღვროს. ამიტომ, რაც უნდა ბანალურად უღერდეს - ყველანი არჩევნებზე!

ევროკავშირს, ნატოს, რუსეთუკრაინის ომის შემდგომ ხანასა და დემოკრატიულ მომავალს რაც შეეხე-

ბა - მინდა ისეთი 2030, როდესაც ჩვენი ქვეყანა და მისი პარტნიორები ერთად იქნებიან, ერთი მხრივ, პოლიტიკურ-ეკონომიკურ გაერთიანებაში და, მეორე მხრივ, კოლექტიური უსაფრთხოების საფარქვეშ, სადაც რუსეთისგან მომდინარე საფრთხე აღარ იარსებებს და მშვიდად გავაგრძელებთ წინსვლას და განვითარებას. ეს დრო არც ისე შორია, მაგრამ ჯერ კიდევ წლებია წინ, ამიტომ პირადად ჩემ მიერ გასავლელი გზის მომდევნო ხუთი წლის გეგმებზე ახლა აქ არ ვისაუბრებ, მაგრამ ერთს კი ვიტყვი: მინდა 2030-ის ჩემეულად დასახულ საქართველოს შენებაში პირადი მცირე წვლილი შევიტანო, რისთვისაც ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი 26 ოქტომბერს უნდა გადავდგა!



## ცლაცი ეპანოდი

■ წლევანდელი არჩევნები ისეთი მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს. თითოეული ხმა გადამწყვეტია ქვეყნის მომავლისთვის, რადგან ვაკეთებთ არჩევანს დასავლეთსა და რუსეთს, თავისუფლებასა და მონობას შორის.

2030 წელს საქართველოს მინდა ვხედავდე ევროპის კავშირში, რაც იქნება გადამწყვეტი ქართველი ხალხის კეთილდღეობისთვის და რისთვისაც აუცილებელია ამ არჩევნებში ქართველი საზოგადოების გაერთიანება საერთო, ეგზისტენციური საფრთხის წინაშე.

რა თქმა უნდა, მივდივარ 26 ოქტომბერს და ხმას ვაძლევ საქართველოს ევროპულ მომავალს. 5 წელიწადში ჩემს თავს ვხედავ ქვეყნის სამსახურში, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა რესურსი თუ შესაძლებლობა, რომლებიც მაქვს, გამოვიყენო რაციონალურად და ქვეყნის უკეთესი მომავლის გამოსაჭედად. ამისთვის კი აუცილებელია ხარისხიანი განათლება, რასაც ამ ეტაპზე იძლევა ევროპის კავშირი, სადაც ამჟამად ვიმყოფები სასწავლებლად ერაზმუსის პროგრამით.



## მარიამ ახალაია

■ არჩევნები ჩემთვის მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის გზა, რომლითაც თითოეულ მოქალაქეს შეუძლია, გავლენა მოახდინოს ქვეყნის მომავალზე. 26 ოქტომბრის არჩევნები შესაძლოა, ბოლო შანსი იყოს, საქართველოს მოქალაქეებმა განსაზღვრონ ქვეყნის მომავალი მიმართულება. ეს არჩევნები შეიძლება იყოს კრიტიკულად გადამწყვეტი მრავალი ფაქტორის გამო: პოლიტიკური პლურალიზმის გაძლიერების, დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებისა და საერთაშორისო საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირების თვალსაზრისით. ამ არჩევნებში შედეგები ასევე აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის რეფორმები, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა. არჩევნებში მონაწილეობა აქტიური მოქალაქეობის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა და ის პიროვნული პასუხისმგებლობის ნაწილად მიმაჩნია.

საქართველოს 2030 წლის პერსპექტივას უამრავი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის, გლობალური, რეგიონული, შიდაპოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები. თუ საქართველო კურსს შეიცვლის დასავლეთისკენ, გააგრძელებს რეფორმებს, მათ შორის სამართლებრივი, ეკონომიკური და საგამანათლებლო სექტორების გაძლიერებას, ქვეყანაშე შეიძლება გახდეს არა მხოლოდ ევროკავშირის წევრი, არამედ მნიშვნელოვანი მოთამაშე შავი ზღვის რეგიონში. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში განევრიანება, ასევე, მეზობლებთან სტაბილური ურთიერთობების შენარჩუნება და შიდა დემოკრატიული განვითარების გაძლიერება იქნება ძირითადი მიმართულებები. რაც შეეხება საკუთარ თავს, დღეს ჩემთვის მნიშვნელოვანია ცოდნის გაღრმავება, პროფესიული უნარების დახვენა, სოციალური ქსელისა და გავლენის გაზრდა. უახლოეს 5 წელიწადში მინდა გავხდე წარმატებული ჩემი პროფესიით და საკუთარი პროფესიონალიზმით ხელი შევუწყო საქართველოს განვითარებას, ქვეყნის მოდერნიზაციასა და ინოვაციების დანერგვას. ჩემი მთავარი მიზანია, მუდმივი პიროვნული და პროფესიული განვითარება, რაც შესაძლებელს გახდის, რომ ჩემი ცოდნა და გამოცდილება გამოყიდვის არა მხოლოდ პირადი მიზნებსთვის, არამედ ქვეყნისა და საზოგადოების სასარგებლობის



## ალექსანდრე გუზალაძე

■ აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, რადგან, უპირველეს ყოვლისა, ესაა ჩემი, როგორც საქართ-

ველოს მოქალაქის, ვალდებულება და პასუხისმგებლობა. ამასთანავე, წელს ეს არ იქნება ჩვეულებრივი, „რიგითი“ არჩევნები. 26 ოქტომბერს ჩვენ უნდა გა-

ვაკეთოთ ეგზისტენციალური არჩევანი - ვიქებით განვითარებული და დემოკრატიულად შემდგარი ევროპული სახელმწიფო თუ გაცხდებით რუსეთის გუბერნია, რომელსაც წალევავს კორუფცია და ავტორიტარიზმი. ამ რეალობამდე, ამ სამწუხარო არჩევანამდე, წლებია მოვდივართ, მაგრამ ახლა თითქოს ორაზროვნების დრო და ადგილი აღარ დარჩა. სწორედ ამიტომ, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ჩემი და საქართველოს ყველა მოქალაქეს ვალდებულებაა, მივიდეს არჩევნებზე.

იმედი მაქვს, რომ 2030 წლისთვის საქართველო იქნება ევროპის კავშირის სრულფასოვანი წევრი-სახელმწიფო, შემდგარი დემოკრატიული ინსტიტუტებით და, უნინარეს ყოვლისა, დამოუკიდებელი სასამართლოთი.

მომავალ 5 წელიწადში მინდა საზღვარგარეთ მივიღო ევროპული განათლება იმიტომ, რომ შემდგომ აუცილებლად დავბრუნდე საქართველოში და მიღებული ცოდნა და გამოცდილება მოვახმარო საქართველოს ევროპული მისწრაფების აღსრულებას.



## საცდრო ჯოხაძე

- დარწმუნებული ვარ, 26 ოქტომბერი ერთ-ერთი გადამწყვეტი დღე იქნება თანამედროვე საქართველოს ისტორიაში. წლევანდელი საპარლამენტო არჩევნები უბრალოდ არჩევნები აღარაა. მოქალაქებს უნევთ გადაწყვიტონ, ირჩევენ ევროპულ კეთილდღეობას თუ რუსულ ჭაობს. სწორედ ამიტომ მე, რომელიც ჩემი ასაკის მიუხედავად, უკვე გავხდი უკანანობისა და უსამართლობის მსხვერპლი, რა თქმა უნდა, მივდივარ არჩევნებზე, თუმცა ვთვლი, რომ მხოლოდ არჩევნებზე წასვლა არ იქნებოდა საკმარისი, ამიტომ 26 ოქტომბერს ჩემი და სხვა თანამოქალაქეების ხმების

დაცვასაც აუცილებლად ვაპირებ.

დარწმუნებული ვარ, რომ წელს 26 ოქტომბერი იქნება ევროკავშირში ინტერაციის გზაზე გადადგმული დიდი ნაბიჯი - მნიშვნელოვანი მოვლენა - და საქართველო შეძლებს, აირჩიოს ევროპული მშვიდობა და კეთილდღეობა. ვთვლი, რომ საქართველო შეძლებს გამოყენოს შესაძლებლობების ფანჯარა, რომელიც ახლა გვაქვს, რათა 2030 წელს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრები გავხეთ.

ვფიქრობ, ამ დროისთვის სასწავლებლად ვიქნები და ვისარგებლებ ყველა იმ სიკეთით, რასაც საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება მოუტანს.



## მარია გიგინიშვილი

■ წლევანდელი საპარლამენტო არჩევნები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. ერთადერთი ბერკეტი, რომელიც დღეს მოქალაქეებს გვაქვს, საკუთარი საარჩევნო უფლების გამოყენება და ხმის დაფიქსირებაა. თუ გვინდა, რომ ჩვენი ქვეყანა გადაურჩეს ავტორიტარიზმს და რუსიფიკაციას, უპირველესად, ჩვენი ქვეყანა უნდა დავიპრუნოთ მათგან, ვისაც მისი ევროპული ორბიტიდან ჩამოშორება სურს, ამის ერთადერთი გზა კი 26 ოქტომბერს არჩევნებზე მისვლა და წებისმიერი პროდასავლური ძალის გაფერადებაა.

ამჟამინდელი კურსის პირობებში საქართველოს განვითარების პერსპექტივა საერთოდ აღარ გააჩნია, რადგან ხელისუფლება მოქმედებს არა ეროვნული

ინტერესების გათვალისწინებით, არამედ - და ეს უკვე საყოველთაოდ მიღებული აზრია - მიზანმიმართულად ასრულებს კრემლის დავალებებს. იმ შემთხვევაში, თუ ძალაუფლების მშვიდობიანი გადაპარება მოხდება, ვფიქრობ, საქართველო აუცილებლად დაუბრუნდება დასავლურ ვექტორს. შესაბამისად, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ დასრულდეს იზოლაციის პერიოდი და ქვეყანა 2030 წლისთვის გახდეს ევროპის კავშირის წევრი სახელწიფო.

ჩემს პირად სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, მომდევნო წლებს გამოვიყენებ ცოდნისა და გამოცდილების დასაგროვებლად, რასაც აუცილებლად ჩემს ქვეყანას მოვახმარ. ■





თამუნა შენგელია

# სანსარი

შპათი დილა გვანებივრებს მდორე ტემპით. ყავისა და სიგარეტის თანხლებით, უკრაინისა თუ ისრაელის ბოლო ამბების გარდა, ფეისბუქის მოგონებებისთვისაც იცლი. სანამ 9 წლის წინანდელ სტატუსს ვკითხულობდი, ტელეეკრანიდან ბლავილი გაისმა:

„Parliament, Georgia... Watch who you're talking to! You've got problems!“ - უხსნის რომელიღაც პარლამენტარის შვილი გერმანელ პოლიციელს.

ის აჭარელი პოეტი, ამირანი, დამიდგა თვალწინ, დასისხლიანებული რომ მოთქვამდა, მე ჯერ კიდევ როდის ვნერდიო, და ვიფიქრე, რომ ამპარტავნება მოურჩენელ სენად გვექცა.

ისევ ვერ გავუძელი ცდუნებას, პასუხი გავცე Facebook-ის კითხვას „What's on your mind?“ და პოსტი გამოვაცხვერამ მაიძულა საჯაროდ წერა, თუ არა ამპარტავნებამ? - დღევანდელი აზრები სწორედ ჩვენს ქართულ ამპარტავნებას ეხება.

თუ სწორად მესმის, კანონი და კანონმორჩილება ის ლერძია, რომელზეც სახელმწიფო დგას. ყოველმა ცალკეულმა ინდივიდმა საკუთარი ეგო თანაცხოვრების დადგენილ წესებს, კანონმდებლობას უნდა დაუმორჩილოს, რათა სახელმწი-

ფომ იარსებოს. მაგრამ „ლირსებად“ მონათლული ქართული ამპარტავნება ასეთ დამოკიდებულებას გამორიცხავს. ამიტომაც ვერ ვალაგებთ ჩვენს ქვეყანას.

ამპარტავნება და ეგოიზმი ამახინჯებს და ქაოსურს ხდის ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს: საგზაო მოძრაობა, ბიზნესისა თუ სახელმწიფო ინსტიტუციების ნორმალური ფუნქციონირება, ქალაქის სწორი განვითარება და მისი იერსახის შენარჩუნება, ეკოლოგია და სუფთა გარემო, კონკურენცია, არჩევნები, სასამართლოები, რიგში დგომის კულტურა, კეთილსინდისიერი შრომა, საკუთარი მოვალეობის პატიოსნად შესრულება, ნაღდი მორწმუნეობა და შეგნებული, გაცნობიერებული მორჩილება (და არა მონობა), ფიზიკური კულტურა და ჯანმრთელობა, ერთგულება, მეგობრობა, სიცხადე და მრავალი სხვა.

ჩვენში ეს ყველაფერი ან არ არსებობს, ან დამახინჯებულია სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი ორიენტირი არა წესი და კანონია (ვგულისხმობ როგორც იურიდიულს, ისე ადმინისტრაციულს, საზოგადოებრივს, მორალურს და ა.შ.), არა საკუთარი და სხვისი უფლება-მოვალეობების ცოდნა და დაცვა, არამედ გაუაზრებელი ვნებები, ინსტინქტები,

წამიერი სურვილების სწრაფი დაკმაყოფილება.

თავნება და ამპარტავანი ქართველი მხოლოდ მაშინაა ბედნიერი და კმაყოფილი, თავისუფალად თავს მხოლოდ მაშინ მიიჩნევს და საკუთარი პიროვნების მიმართ პატივისცემას მხოლოდ მაშინ განიცდის, როცა ყველაფერზე დომინირებს, ახერხებს, ყველა და ყველაფერი დაუქვემდებაროს საკუთარ აზრს, გემოვნებას, კომფორტს, „გაგებას“, „ხოშს“. კომპრომისის ან უკან დახევის შემთხვევაში, კანონის სასარგებლოდაც კი, ის ღირსებაშელახულია და „თავისუფლად სუნთქვა“ უჭირს.

კანონის უზენაესობა თავისთავად ვერ იარსებებს, თუ თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარი თავი, საკუთარი სურვილები არ მოთოვა და მის მორჩილებაში არ დააყენა, კანონის უზენაესობის გარეშე კი ვერ იარსებებს წესრიგი, დემოკრატია, განვითარება, სიმდიდრე, სიძლიერე, ყველაფერი ის, რაზეც ყველანი ვოცნებობთ.

ყოველი ჩვენგანის ცნობიერება, ყოველდღიური საქმიანობა, ქცევა პირდაპირ უკავშირდება ჩვენი ქვეყნის მოწყობას.

ვფიქრობ, სანამ არ მოვეშვებით ჯოგურ, კოლექტიურ ცხოვრებას და აზ-

როვნებას, არ განვმარტოვდებით, ჩავუღრმავდებით საკუთარ თავს, გავიაზრებთ და გავაცნობიერებთ ჩვენს ნაკლოვანებებს, დავიწყებთ საკუთარ თავზე მუშაობას, დავძლევთ ჩვენს ეგოს, ვიზრუნებთ პიროვნულ განვითარებაზე, სრულყოფილებაზე, არაფერი გამოგვივა. პროგრესის წინაპირობა საკუთარი მანკიერებების გაცნობიერებაა - ეს კი ამპარტავანი ადამიანისთვის წარმოუდგენელია, ის ხომ თავს უნაკლოდ და უშეცდომოდ მიიჩნევს. ამიტომაცაა, ქართველები მუდამ სხვას რომ ადანაშაულებენ და ლანძღავენ! წარუმატებლობის მიზეზს მუდამ სხვაგან ეძებენ და არა საკუთარ თავში.

ხშირად მესმის წუნუნი: „რა ცუდ საზოგადოებაში ვცხოვრობთ!“ ისე განყენებულად, თითქოს ეს საზოგადოება მარსიანელებისგან შედგება და არა ჩემგან და შენგან. თუ უკეთესი საზოგადოება გვინდა, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაიაზროს და აღიაროს საკუთარი სისუსტები და გავხდეთ უკეთესნი. თუ ყოველი ჩვენთაგანი არ შეცვალა, არანაირი გარე ფაქტორების, მთავრობებისა თუ ხელისუფლებების ცვლა დიდს არაფერს მოგვიტანს!


That's on my mind 2024 წლის 5 ოქტომბერს. ■





ზაზა ბიბილაშვილი

# სამი გავთიღი კოელიოს გარნირით



აგვისტოში 50 წლისა გავხდი. აღარაა სახუმარო ასაკი, მეუბნებიან. მით უფრო, რომ ეს ხუთი ათწლეული რამდენიმე, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ცხოვრების 50 წელს ჩაიტევდა. ტვინი ჯერ ვერ აღიქვამს ამ ციფრებს, მაგრამ უცხო თვალით რომ შეხედო, ერთადერთი კონტექსტი, რომელშიც ჩემს ასაკში ადამიანს ჯერ კიდევ „ახალგაზრდა“ ეთქმის, სიკვდილია: ფეხი თუ გაჭიმა, იტყვიან, აფსუს, რა ახალგაზრდა წავიდაო. ამიტომ, ახალგაზრდული შემართებაც მოგუდულად უნდა გამოავლინო კაცმა: ვინძლო, ეს განწყობა კალენდართან უგვანოდ შეუსაბამო არ აღმოჩნდეს გარე თვალისთვის.

ყველაზე მეტად უფროსი შვილების ასაკი მახსენებს, რომ 30 ან 35 წლის აღარ ვარ. ამასაც ისე ვამბობ, თითქოს 35 წელი ცოტა იყოს. ამაზე ნორჩები წაიყვანა ღმერთმა თავისთან მოცარ-

ტი, შუბერტი, ბარათაშვილი, მაკედონელი, როკ-ვარსკვლავების მთელი კოშორტა და, რაღა შორს წავიდეთ, საკუთარი მხოლოდმობილი ძეც. ყველა მათგანს ამ დროისთვის თავისი სათქმელი უკვე ნათქვამი ჰქონდა. აი, საქართველოში კი ბევრი 35 წლის ადამიანი ჯერ ისევ „ნიჭიერი, იმედისმომცემი ახალგაზრდაა“.

მართლაც - ზოგი ადრეულ ასაკშივე ათავისუფლებს მასში ჩადებულ კოსმიურ ენერგიას, ზოგს კი სიბერემდე უწევს მოგზაურობა, რომ მატერიალური სამყაროსთვის ხილულ ზედაპირზე ამოიტანოს ის მადანი, რომლის აღმოსაჩენადაც მოევლინა ქვეყანას. რომელი ახალგაზრდა ვერთერის ვნება შეედრება 84 წლის რიხარდ შტრაუსის ბოლო სიმღერების ეროტიზმს? 82 წლის იყო გოეთე, ფაუსტი რომ დაასრულა! მანამდე, 72 წლისას, 17 წლის ულრიკე ფონ ლევეცოუ შეუყვარდა თავდავიწყებით (ცოლადაც შეირ-



თავდა, რომ არა სასიდედროს გულყრები). ორმოცდათს გადაცილებულნი იყვნენ მარკ ტვენი და ჩარლზ დარვინი, როცა თავიანთი მთავარი ნაშრომები გამოაქვეყნეს.

...მაგრამ ხანდახან დაგვიანებული გარდაცვალება ნაადრევზე არანაკლები ბოროტებაა. წარმოიდგინეთ ბებერი დონ ჯოვანი, რომელიც დაცხრა, დაოკდა, მექალთანეობას შეეშვა და დაივახდა. ან იზოლდა, რომელმაც ტრისტანის გვამი დაიტირა, ბედს დანებდა და მეფე მარქს გაჰყვა ცოლად. ან ღრმად მოხუცებული ამადეუსი, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თავი დიდი ხნის წინ, „ლაკრიმოზას“ პირველი ტაქტებით დაიტირა, მაინც აგრძელებს იმპერატორის საამებელი „პაპსების“ თხზვას სარჩოს საშოვნელად... რა იქნებოდა ქრისტეს სიცოცხლე, ის რომ ჯვარზე არ გაეკრათ? წარმოგიდგენიათ ხეტიალისა და ქადაგებისგან დაღლილი მოხუცი ნაზარეველი, რომელმაც საქმე მოსწავლეებს გადაბარა, თავად კი საქონელს უვლის და შვილიშვილებს ზრდის? როსინიმ იგრძნო, რომ ამონურა სათემელი და, რომ არ გაცრეცილყო, 37 წლის ასაკში გავიდა თვითმოვლენილ პენსიაზე. მას შემდეგ კიდევ 40 წლი იცოცხლა, მაგრამ აღარაფერი დაუწერია...

რამდენიმე წლის წინ სუფრაზე, ლვინით დამოყვრებულ თანამეინახეს გამოვუტყდი - ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ცხოვრებაში არაფერი გამიკეთებია მეთქი. ალბათ მამაჩემის ბრალიც იყო ეს ულმობელი სტანდარტი - 16 წლისა რომ გავხდი, მითხრა, რას მიკეთებ, შენს ასაკში დავით აღმაშენებლი უკვე მეფე იყო. გავა წლები და სამაგიეროს გადაუხდი - 69 წლისა რომ შეიქნა, ვუთხარი, აბა, ახლა „მე ჩემი უკვე გავაკეთე“ და „მომავალი თქვენია“ არ გამაგონო - შენს ასაკში რეიგანი პირველად აირჩიეს პრეზიდენტად მეთქი.

ხოდა, იმას მოგახსენებდით, ამ ჩემს თანამეინახეს გადავუხსენი გული - 30 წლის ვარ და ჯერ არანაირი კვალი არ დამიტყვია ქვეყნიერებისთვის - მეთქი.

ვახ, რა უცნაურია, მე საერთოდ არ მაქვს ეგეთი განცდაო, ჩაიხითხითა საკუთარი მიღწევებით კმაყოფილმა და აღმატებული მზერა მტყორცნა. ან შეიძლება არც უტყორცნია და მე მომეჩვენა, ტანინიანი ღვინის მადლით. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ყველა ჩვენგანს რაღაც აქვს მოსასწრები ამ წუთისოფელში. მხოლოდ „წარმატება“ და „ბედნიერება“ ვერ იქნება მიზანი. არის კიდევ „რაღაც სხვა“ - რაღაც ბევრად უფრო დიდი - ვიდრე უბრალოდ „წარმატება“ და „ბედნიერება“.

\* \* \*

ჯერ რეინის ფარდა ჰყოფდა ევროპის კონტინენტს, ხოლო ბერლინის კედელს ერთმორჩმუნე ოკუპანტები დარაჯობდნენ, როცა მე და ჩემთან ერთად შერჩეული სრულიად ნორჩი ქართველი მოსწავლეები ბედმა სასწავლებლად ამერიკაში გადავისროლა. საშა ბარონ კოენის პერსონაჟ ბორატივით მოუმზადებელი ვიყავი თავისუფალი სამყაროსთვის. ინგლისურიც, რომელიც მეგონა, რომ ვიციდი (საუკეთესო საბჭოთა სახელმძღვანელოებით მქონდა ნასწავლი!), ინგლისური არ აღმოჩნდა და ყველაფრის ლამის ნულიდან დაწყება მომიხდა. სწორედ მაშინ, როცა „ქუჩის აკადემიაში“ უნდა ჩამებარებინა, უფალმა „ძირმომპალი კაპიტალიზმის“ გულში ჩამაგდონ და ყველა სოციალურ-საზოგადოებრივი ექსტრემი დროის მოკლე მონაკვეთში განმაცდევინა: შავენანიანთა გეტოში უკიდურეს გაჭირვებაშიც ვიცხოვრე და ფუფუნებაში მოლიცლიცე მდიდრების დეკადენტური ყოფაც შევიცანი (შევიცანი და შევიწენე - ისე ბუნებრივად, იფიქრებდი, ბაბუამისი ავენიუ მონტენეზე ესკარგობის ყლაპვას გადაუყაო); რეციდივისტების ციხესავით მართული საჯარო გიმნაზიის ულმობელ წესებს ავულე ალლო და პლატონის სკოლასავით ლალ კერძო სასწავლებელში შევიძინე ყველაზე ძვირფასი მეგობრები, რომელთა დიდი ნაწილი მეორე თაობის ემიგრანტები იყვნენ... ამ ამბების მოს-



აგონწრად და იმის გასახსენებლად, თუ როგორი იყო ნამდვილი, შეულამაზებელი საბჭოთი, როგორი გვეგონა და აღმოჩნდა ამერიკა, რა ემოციური და ტექტონიკური ცივილიზაციური ძვრების ფონზე მიმდინარებდა ცივი ომის ბოლო წლები, მალე წიგნიც გამოვა. მანამდე კი სამი მთავარი გაკვეთილი მინდა გავიხსენო, რომლებიც იმ, ლამის უხსოვარ, წარსულში სამმა უბრალო ამერიკელმა მასწავლა:

## 1. Tom Kent, Sr.

ტომ კენტი 1923 წელს, ამერიკის ლრმა სამხრეთში, მისისიპის შტატის ერთ-ერთი მიყრუებული საგრაფოს ყველაზე მიყრუებულ სოფელში დაიბადა. მისი ბავშვობა და სიყრმე დიდი დეპრესიის წლებსა და გაუგონარ სიდუსტირეს დაემთხვა. პატარა ტომის ცხოვრება დაუსრულებელი შრომა იყო: დილის ხუთ საათზე იღვიძებდა და დგებოდა. ჯერ გაზირებს დაატარებდა. მერე სკოლაში მიდიოდა. მერე მამას კარტოფილის მოსავლის აღებაში ეხმარებოდა. შემდეგ სკოლის დავალებებს ასრულებდა, დღის ბოლოს კი ქანცგანვეტილი იძინებდა, რომ მომდევნო დილას იგივე რუტინა ხელახლა გაევლო.

ასეთ უკიდურეს გაჭირვებაში იზრდებოდა ტომ კენტი. არც „პატრონი“ ჰყოლია და არც ვინმე კეთილისმსურველი, ვინც ხელს წააშველებდა. ოჯახისთვის ის დამატებითი მუშახელი უფრო იყო, ვიდრე შვილი, რომელზეც უნდა იზრუნო. ასე გრძელდებოდა წლები, ათწლეულები, ეპოქები... ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს დიდი სადაზღვევო კომპანიის ბორდის თავმჯდომარე არ გახდა. მე რომ გავიცანი, უკვე პენსიონერი იყო. თავის ყოფილ კომპანიაშიც, ვითომ შემთხვევით, შემასეირნა, ძველი დიდების გამოსამზეურებლად.

შაბათობით პარკში ერთად დავრბოდით. მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე ნახევარი საუკუნით უფროსი იყო, არას-დროს ჩამორჩენილა ან გაჩერებულა. სამ

მილს შეუსვენებლად დარბოდა და მხოლოდ იმას გამოსცრიდა ხოლმე შიგა-დაშიგ - სირბილის დროს ნუ ლაპარაკობ, სუნთქვისთვის არ ვარგაო.

მისი ბავშვობის შესახებ ჯერ არაფერი მსმენოდა, როცა ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ სკამზე ჩამომჯდარს და ხელში წყლისბოთლმომარჯვებულს ვუამბე, საქართველო ოდითგანვე ვერაგი მტრებით გარშემორტყმული, ღარიბი, მაგრამ კეთილი და სტუმართმოყვარე ადამიანებით დასახლებული ქვეყანაა - ქვეყანა, რომელსაც მუდმივად არ უმართლებს, რომელსაც იღბალი - იღბალი! - არ სწყალობს და, ამიტომ, თავისუფლებაცა და კეთილდღეობაც თაობიდან თაობამდე მიულწეველ ოცნებად გვრჩება-მეთქი.

ტომმა მანუეტით შუბლი მოიწმინდა, წყლის ბოთლს თავი დაახურა და მითხრა:

დაიმახსოვრე, შვილო, სიღარიბე, უპირველეს ყოვლისა, გონების მდგომარეობაა - შეიძლება, ერთი ცენტი არ გეგდოს ჯიბები, დახეული ფეხსაცმელი გეცვას და გშიოდეს კიდეც, მაგრამ „ღარიბი“ მხოლოდ მაშინ ხარ, თუ ამ ვითარებას შეეგუები, მას მოცემულობად მიიღებ და გამარჯვებისთვის ბრძოლას შეწყვეტი.

ეს იყო ჩემი პირველი ამერიკული გაკვეთილი: რომ გამარჯვებაც და დამარცხებაც ადამიანის გონებაში იბადება.

## 2. Michael Moore

კერი ლამაზი ირლანდიელი გოგო იყო. ნუ, ირლანდიელი რა - ირლანდიელ-ამერიკელი. სამაგალითო, ხუთშვილიანი კათოლიკური ოჯახიდან. იმდენად ლამაზი, რომ მასთან მიკარებას დიდხანს ვერ ვბედავდი. ლექციებზე სიტყვიერად ვკბენდი, მესამეკლასელივით. სხვანაირად ვერ გამოვხატავდი მოწონებას. მოგვიანებით თავად გამომიტყდა, დედაჩემს ყოველ დღე ვენუნუნებოდი, ერთი ბიჭია ჩემს კურსზე, არ მასვენებს, სულ მეიაზვებაო (რას წარმოვიდგენდი,





თუ ასე მეამებოდა ამის მოსმენა?).

როცა კერი პირველ „დეიტზე“ დამ-  
თანხდა, დაბნეულობისგან არ ვიცოდი,  
რა მექნა. არ ველოდი - უარისა და შემდ-  
გომი სევდის მოლოდინი უფრო მქონდა:  
ვირტუალურ სასთუმალთან გამზადებუ-  
ლი მედო „რაც უფრო შორს ხარ, მით  
უფრო ვტკბები“, „შენ ჯვარს იწერდი იმ  
ლამეს, მერი“ და ა.შ.. აღმოჩნდა, კერი  
ჩვეულებრივი გოგო იყო. არა, ჩვეულე-  
ბრივზე კიდევ უფრო მინიერი, რადგან  
შესამჩნევად დაღლილი იყო საკუთარი  
სილამაზის ტყვეობით.

მალევე, როგორც ჭეშმარიტ კათო-  
ლიკეს შეეფერებოდა, ვახშამზე წამიყ-  
ოლა ასე არ უნდაო და, კერიმ სახლშიც  
მიმიპატიუა, სადაც მისი ოთხი ძმა და მა-  
მა გამაცნო. ძმებმა უმაღლ გამოცდების  
მოწყობა და მახების დაგება დამიწყეს.  
აი, კერის მამა კი არ მერჩოდა. ზორბა,  
რობროხა კაცი იყო. მაიკლ მორმა ოჯახ-  
ური ისტორიის მოყოლით დაიწყო ჩე-  
მთან ურთიერთობა. ირლანდიიდან წა-  
მოსვლამდეც იცოდა, ვინ იყვნენ. მერე  
ერთბაშად გადაახტა ბევრ უინტერესო  
დეტალს და საკუთარ თავზე მოკლედ  
მითხრა - მე სიცოცხლის დაზღვევას ვყ-  
იდიო.

აქ თვალები ცოტა ჩამიქრა. არ მომე-  
ნონა. არც შთამაგონა. ვერც ზრდილო-  
ბისთვის ავყვებოდი საუბარში. ჩემსას  
ვერაფერს შევმატებდი მის ამბავს - გა-  
კვირვება-აღტაცებასაც კი. იმდროინდე-  
ლი ქართული იდეალიზმით მივუგე - მე  
არაფრის გაყიდვა არ შემიძლია, პრინ-  
ციპში, არც მინდა - ისეთი ცხოვრება და  
კარიერა მსურს, არაფრის გაყიდვა არ  
მიწევდეს მეთქი. ვთქვი და ისეთივე მენ-  
ტალური პედესტალიდან გადმოვხედე,  
როგორიდანაც ის შებიუვინებული თანა-  
მეინახე მიყურებდა, როცა ამბობდა, მე  
უკვე ბევრი მაქვს გაკეთებული ცხოვრე-  
ბაში.

მაიკს მამაშვილურად გაეღიმა. მის-  
მინე, ჩემო ბიჭო - თავისუფალ ქვეყანა-  
ში ყველა ყოველთვის რაღაცას ყიდის:  
იდეას, ცოდნას, უნარს, ხელობას, ნივთს  
ან მომსახურებას. ასე რომ, ჩამოდი ახ-

ლა მაგ პედესტალიდან, ჩემმა ცოლმა  
დიდებული ვახშამი მოამზადა, გაცივდე-  
ბა, დანარჩენს სუფრასთან აგიხსნიო.

მაშინ დავფიქრდი პირველად, რომ  
ვაჭრობა სულაც არაა სამარცხვინო  
საქმე, როგორც ამას სკოლებში გვას-  
წავლიდნენ (და ჯერ კიდევ გვასწავლიან).  
არც ხელობაა „უცხოტომელთა“ ექსკ-  
ლუზიური ნიშა, რომელსაც საშუა-  
ლოსტატისტიკური ქართველი საკუთარ  
ღირსებაზე დაბლა აყენებს. მართლაც  
- თანამედროვე სამყაროში ყოველთვის  
რაღაცას ვყიდით. დასავლეთი „დასავ-  
ლეთად“ სწორედ ვაჭრობამ და ხელობამ  
აქცია. ვაჭრობამ და ხელობამ მოუტა-  
ნა ევროპას აურაცხელი სიმდიდრე და  
კეთილდღეობა. ჩვენ კი ვაჭრობა დღემ-  
დე გვეხამუშება. ვვაჭრობთ, მაგრამ  
„ორი დიპლომით“ - გვიწევს, განა გვინ-  
და! იღბალი რომ გვექნდეს (ოხ, ეს იღ-  
ბალი!), მხოლოდ თავადები ვიქენებოდით  
- აზნაურებიც კი არა! - და ფეხი ფეხ-  
ზე გვექნებოდა გადადებული, როგორც  
სამიათასწლოვანი კულტურული ისტო-  
რიის მქონე დინჯ ერს შემვენის. იღბა-  
ლი არ გვაქს, მაგრამ წამოწოლისა და  
მოლხენის სურვილი მაინც ყრუ ფონად  
გასდევს ჩვენს მოდუნებულ, შიშისა და  
შეგუების ვირუსით დასწებოვნებულ არ-  
სებობას.

...იმ ღამეს თავიდან ვეღარ მოვიშორე  
გაკვეთილად ქცეული ეს ფიქრი: სინამ-  
დვილები, ყოველთვის რაღაცას ვყიდ-  
ით. როცა ამას გაისიგრძეგანებ, ბევ-  
რი რამ იცვლება. „მე იდეებს გავყიდი“ -  
გავიფიქრე ჩემთვის, მაინც პედესტალზე  
ჩამომჯდარმა. გამოხდა ხანი და დავრწ-  
მუნდი, არაფერს მოაქს ქვეყნად იმაზე  
დიდი სიამე, ვიდრე როცა შენი სიტყვა  
დიდ წრეს შეკრავს, „ცხრა მთასა და ცხ-  
რა ზღვას“ მოივლის და სხვისგან საკუ-  
თარ აზრად დაგიბრუნდება.

### 3. Bob Stafford

ბობ სტეფორდი ძველი ყაიდის სამხ-  
რეთელი კაცი იყო. მეორე ცოლად თა-  
ვისზე ბევრად უმცროსი ვიკი მოეყ-

ვანა. წლების წინ დაწყებული და კარგად აწყობილი მცირე ბიზნესი მისგან დიდ დროს აღარ მოითხოვდა. ოჯახში ორი ძალლი ჰყავდათ - დიდი, კეთილი, ზანტი შავი ლაპრაფორი, ბაბა და ნაგავსაყრელზე ნაპოვნი უჯიშმ, მუდამ აპრეხილკუდიანი ჭრელი მესტისო - პიტ. ეს უკანასკნელი მოხულიგნო ქცევითა და ბობის სტუმრებისადმი თავხედური უპატივცემულობით გამოიჩინდა - მადლიერების ნატამალს ვერ შეატყობით, მერე რა, რომ საცხოვრებლად სანაგვიდან წალკოტში მოეყვანათ და ნარჩენების ნაცვლად საკუთარი თეფშიდან უზიარებდნენ საჭმელს!

კოხტა სახლი და ეზო-კარი მოეწყობობს - დიდი, ლამაზი მამულითა და ტბის პირას შეფენილი ბუჩქ-ყვავილნარით. ჰამაკში კეპით წამონოლა, ლუდის ქილის ხმით გახსნა, ტბაში ჩამხტარი ძალლების უკან, ნაპირზე გამოდენა და კვირაობით ბარბიქიუს აშიშნინება უყვარდა. უყვარდა ნადირობაც. რამდენიმე სანადირო თოფი ჰქონდა. თვეში ერთხელ პიტსა და ბაბას თავისი ძველი პიკაპის საბარგულში შეახტუნებდა და სანადიროდ მიდიოდა. როგორც წესი, ხელცარიელი ბრუნდებოდა, მაგრამ არას დაგიდევდათ, რადგან ეს ძალლებთან ერთად გასეირნებისა და შვილთან მამაკაცური „ბონდინგის“ რიტუალი უფრო იყო, ვიდრე რეალური პობი. შვილი, სკოტი, ჩემზე გვარიანად უფროსი და ერთობ არასტაბილური კაცი გახლდათ. მუდამ სამსახურს ეძებდა, მაგრამ შორიდან, ლირსეულად, ქართველი ვაჟკაცივით.

ბობთან ხშირად დავდიოდით სტუმრად, რადგან ვიკი ჩვენი სასწავლო კოორდინატორი იყო და მრავალ დედობრივ თუ მენტორულ ფუნქციას ითავსებდა.

მაშინ ბილიარდის თამაში ახალი ნასწავლი მქონდა. „ნასწავლი“ პირობითად ეთქმოდა ჯერ, მაგრამ ვამბობდი, რომ ვიცოდი და ვთამაშობდი ხოლმე. ყველაზე მეტად მიყვარდა, როცა ბურთები ლუზის წინ სწორ ხაზად განლაგდებოდა. გულარხენინად ვუმიზნებდი და მთელი ძალით ვურტყამდი კიას, რის შემდეგაც, ხშირად, სწორად დარტყმულიც კი ძლიერად ეხეთქებოდა ჯიბის კედლებს და უკან ვარდებოდა.

უყურა რა ამ დაუსრულებელ საცოდაობას, ერთხელაც ბობმა ველარ გაუძლო, ცხვირზე ისედაც ქვემოთ ჩამოცურებული სათვალე მოიხსნა და მძიმე, წაგრძელებულ-წამლერებული სამხრეთული აქცენტით მომმართა (კიდევ კარგი, იმ მომენტში ორნი ვიყავით!):

*Son, I hope you're not like that in bed!*

შვილო, იმედია საწოლშიც ეგრე არა ხარო... ვიფიქრე, ჩემი ასაკი ხომ არ გავიწყდება, ძია ბობ, „ეგრე“ კი არა, საწოლში არანაირად არა ვარ, მაგრამ მადლობა რჩევისთვის, სამომავლოდ აუცილებლად გავითვალისწინებ-მეთქი.

მას შემდეგ სულ თან მდევს და მახსოვს, ყველანაირ კონტექსტში - მესამე გაკვეთილი:

არ აჩქარდე! კარგად მოზომე! რადგან - ხომ გახსოვს? -

ყველა გამარჯვება გონებაში იბადება. ■





აიდან იუსიფი



ნათია მიქელიძე

# სანქციებისგან თავის პრიდება:

**როგორ მონაწილეობს საქართველო  
რუსეთის სამხედრო მომარაგების ჯაჭვში**

ჩვენი ექსპერიმენტები და საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა დაგარნებუნებთ იმაში, რუსეთში საქართველოს გავლით იგზავნება დრონები, კომპიუტერის პროცესორები, ჯი-პი-ეს-ები თუ მეხსიერების ბარათები. ეს ის ორმაგი დანიშნულების ნივთებია, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გამოდგება და ომშიც, იარაღის ასაწყობად.

მართალია, ამ პროდუქტის რუსეთში გატანა ჯერ კიდევ 2022 წლის დეკემბერში აირჩალა, თუმცა შეზღუდვებს ყველა ქვეყანა არ დაემორჩილა.

ექსპერიმენტისას ერთმა გადამზიდა თავისი პირით გვითხრა, პრობლემა არ არის, დრონებს საქართველოდან რუსეთში აზერბაიჯანით წავიდებ, ეს აქამდეც გაგვიკეთებია. მეორე გადამზიდა კი თბილისიდან სამარამდე „ჩიპების“ გაგზვნა უფრო იოლი გზით შემოგვთავაზა – პირდაპირ, ვლადიკავკაზის გავლით.

ჩვენმა შვიდთვიანმა ურნალისტურმა გამოძიებამ გამოააშკარავა რუსეთის სანქციებული პროდუქტით მომარაგების სქემა, რომელშიც ჩართულია საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და უზбეკეთი.

**„აი, ფაქტის“ ექსპერიმენტი №1  
როგორ იგზავნება დრონები საქართველოდან რუსეთში?  
– „ჩერეზ აზერბაიჯანი“**

იმის გასარკვევად, რეალურია თუ არა სანქციებული ტვირთის რუსეთში მოხვედრის ამბავი, ასეთ ხერხს მივმართეთ:

21 მაისს გადამზიდ კომპანია „კაიროს-ლოჯისტიკას“ „ვოთსაფიტ“ დავუკავშირდით, რიგით მომხმარებლად გავეცანით და თბილისიდან რუსეთის ქალაქ

სამარამდე 30 დრონის ჩატანა ვთხოვეთ. დავაზუსტეთ, რომ ისინი ვიდეო-სამონტაჟო სტუდიისთვის გვჭირდებოდა.

ჩვენთან დაგვიკავშირდა კრასნოდარში მყოფი ოპერატორი – ევგენი. მან დრონის მოდელი, მოცულობა და რაოდენობა რომ გამოგვკითხა, მარშრუტიც

გაგვაცნო: „ტვირთს წავილებთ „ჩერეზ“ აზერბაიჯანით, ან ირანით, ახლა ამ ვარიანტებზე ვმუშაობთ, მაგრამ დიდი ალბათობით აზერბაიჯანის გავლით წავა...“

მეორე დღეს, პირობებს რომ ვაზუსტებდით, ოპერატორმა დაგვამშვიდა –

ლმონერა გვჭირდებაო. ამ ეტაპზე ჩვენ ექსპერიმენტი შევწყვიტეთ, რადგან ჩავთვალეთ, რომ საჭირო ინფორმაცია კომპანიისგან უკვე ხელთ გვქონდა.

სტატიის გამოქვეყნებამდე „კაიროს ლოჯისტიკის“ კიდევ ერთხელ დავურეკეთ, გავუმხილეთ, რომ უურნალისტე-



100-პროცენტიან გარანტიას გაძლევთ და გარმშუნებთ, რომ თქვენს ტვირთს დანიშნულების ადგილას ჩავიტანოთ, სანქციონებული ნივთი აქამდეც წაგვილია და ვიცით, ეს რასაც ნიშნავსო.

მოვიდა ფასზე შეთანხმების დრო. „კაიროს-ლოჯისტიკის“ ოპერატორმა თბილისიდან სამარამდე 30 დრონის ჩატანამი 500 000 რუბლი (15 000 ლარი) მოგვთხოვა. არადა, მათივე საიტის ფასების კალკულატორი ამ წონის ტვირთის გადაზიდვის მიახლოებით ღირებულებად 25 000 რუბლს (793 ლარი) აჩვენებს. გამოდის, ევგენი 20-ჯერ ძვირს გვახდევინებდა.

ოპერატორს ასე გაპერილი ფასის მიზეზი რომ ჩავეკითხეთ, გვიპასუხა – „სანქციონებული ტვირთია, თქვენ თავადაც გესმით, პოზიციებთან კონვერტებით კომუნიკაცია გჭირდებათ“ [სავარაუდოდ, საზღვარზე ქრთამის მიცემა იგულისხმა].

ყველაფერი მარტივი აღმოჩნდა – სატრანზიტო კომპანია დაგვპირდა, ტვირთს ჩვენ მოვაკითხავთ და წავიღებთ, თქვენგან მხოლოდ ინვოისი და ხელშეკრულებაზე ელექტრონული ხე-

„კაიროს ლოჯისტიკის“  
ინსტაგრამ ანგარიში, 2024 წლის  
მარტი-აპრილი

ბი ვართ და ინტერვიუს ჩაწერა გვსურდა. ევგენი ჯერ კომპანიის მენეჯერად გაგვეცნო, ორ წამში კი დაბნეულმა გვითხრა – ახლა სტაუიორი ვარო და ხელმძღვანელთან, ვინმე ალექს ბაგატოვთან გადაგვამისამართა.

ბაგატოვმა დაგვიდასტურა, რომ, სანქციების მიუხედავად, რუსეთში აკრძალული საქონელი მაინც გააქვთ. შეიცვალა მხოლოდ ტრანსპორტირების მარშრუტები – თუ ტვირთი ადრე პირდაპირ რუსეთში გადაჰქონდათ, ახლა მას თურქეთის, ან აზერბაიჯანის გავლა უწევს. „კაიროს ლოჯისტიკის“ ხელმძღვანელს ვკითხეთ, როგორ აკეთებდა ასეთ სარისკო საქმეს, საერთაშორისო სანქციების ფონზე, რაზეც გვიპასუხა, რომ ტვირთის წარმომავლობის საბუთებს ცვლის.

„ნახეთ, საქონლის მომწოდებელი ქვეყნისთვის პრობლემა არ არის, რადგან საქონელი იგზავნება არა რუსეთში, არამედ თურქეთში, ან აზერბაიჯანში. ის უკვე მოგვიანებით ხვდება რუსეთში. ამიტომ, იმ ქვეყნისთვის, საიდანაც ეს ტვირთი იგზავნება, ყველაფერი კანონის მიხედვითაა“.

**რა ვიცით „კაიროს ლოჯისტიკის“ შესახებ?** მისი იურიდიული სახელია შპს „სერვის-მულტი“, რომელიც თურქეთის, ევროპის და არაბეთის გაერთიანებული საამიროების მიმართულებითაც მუშაობს.

„სერვის-მულტი“ 2018 წელს, მოსკოვშია რეგისტრირებული, დირექტორი – დიმიტრი მორდვინოვი, მფლობელი კი მაქსიმ შეპილოვია. შეპილოვს კიდევ ერთი სატრანსპორტო კომპანიით დასტაცია და რუსეთში მანქანები ჩაჰყავს.

ტვირთის გადაზიდვაზე მუშაობენ.

**შენიშვნა:** საქართველოში 2013 წელს რეგისტრირებული შპს „კაიროს ლოჯისტიკი“, ვებგვერდით Kairos.ge, სხვა კომპანია და აღნიშნულ ექსპერიმენტთან კავშირი არ აქვს.

ისეთი დრონებით, როგორებსაც ექსპერიმენტით სამარამდე ვგზავნიდთ, მაღალი ხარისხის, პროფესიონალურ ვიდეოებს იღებენ. თუ გაიფიქრეთ, რატომაა პრობლემა, რომ ასეთი ტექნი-

კაიროს ლოჯისტიკის თვისი  
ჰუალინგ-პლაზაში. სერინი  
„კაიროს ლოჯისტიკის“  
საიტიდან ადასტურებს, რომ  
თვისი თბილისშიც ჰქონდათ



Склад и офис в Краснодаре,  
ул. Красная 176/3

8 800 700-09-26

Пн.-Сб.: 9:00-20:00 / Вс.: выходной

Рассчитать перевозку

Склад и офис в Грузии,  
г. Тбилиси, Hualing Tbilisi Sea Plaza

8 800 700-09-26

Пн.-Сб.: 9:00-20:00 / Вс.: выходной

Рассчитать перевозку

თავად „კაიროს ლოჯისტიკის“ პანდემიამდე საწყობი ჰქონდა თბილისშიც, „ჰუალინგ პლაზას“ შენობაში. ახლა კონკრეტულ მისამართზე არც თვისი აქვთ, არც საწყობი. კომპანია მომსახურების პირობებს აქვეყნებს საიტზე და ფეისბუქ გვერდებზე, შეკვეთებს კი ონლაინ იღებს. ოპერატორს ჩვენც „ვოთსაფით“ ვეკონტაქტეთ.

კომპანია არც საიტზე და ფეისბუქ გვერდზე მაღავს, რომ სანქცირებული

კა რუსეთშიც მოხვდესო, გეტუვით – ამ დრონს აქვს ზუსტად ისეთივე ძრავა, როგორიც FPV, ანუ „კამიკაძე-დრონს“. „კამიკაძე-დრონებს“ კი 2022 წლიდან რუსეთ-უკრაინის ომში იყენებენ.

სამხედროები და თავდაცვის სპეციალისტები გვიხსნიან, რომ თანამედროვე ომში, ერთი შეხედვით უწყინარი, ხედების გადასაღები დრონიც კი დიდ სამხედრო რესურსად იქცა.

„სავარაუდოდ, ამათ შემოან და „მა-

დრონი, რომელსაც-  
ექსპერიმენტით ვგზნიდით  
მოდელი – SJRC f11s 4K pro drone,  
4K professional with HD



Video Capture Resolution	1080p
Connectivity Technology	Wi-Fi
Included Components	Battery
Skill Level	Intermediate
Item Weight	1.85 Kilograms
Video Capture Format	4K
<a href="#">See less</a>	



#### About this item

- 2-Axis Gimbal EIS Anti-Shake Camera
  - 2 Batteries 56 Min Flight Time
  - Level 6 Wind Resistance
  - FPV Brushless Motor
  - GPS Auto Return Home
- [See more product details](#)

ტორები” გადააქვთ FPV დრონებში... გადაწყობას დრო სჭირდება, მაგრამ რთული არ არის... ერთ ადამიანს დღეში ათეულობით დრონის ანყობა შეუძლია. თუ ელექტრონიკაში ერკვევით და „ბოლტების“ [ჭანჭიკების] გადაჭერა შეგიძლიათ, სახრანისითაც ააწყობთ... სჭირდება ლერძი, კამერა, „ტვინი“ და ანტენა...“ – გვითხრა სამხედრო ჟურნალისტმა, ანონიმურად დარჩენის პირობით.

„ზოგი დრონით ქორნილებში სურათებს იღებენ, ზოგი – სამხედრო დანიშნულებისაა. რა თქმა უნდა, თამამად შემიძლია გითხრათ, დრონები, რომლებიც რუსეთში მოხვდება, სამხედრო მიზნით იქნება გამოყენებული, ორი აზრი არ არსებობს...“ – გვარნმუნებს თადარიგის პოლკოვნიკი ლაშა ბერიძე.

ციალისტი, ვინაობის საჯაროდ გამხელის გარეშე.

შემოსავლების სამსახური ირწმუნება, რომ უკრაინაში ომის დაწყების და რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ამოქმედების შემდეგ საბაჟო კონტროლი გაამკაცრეს. ამბობენ, რომ 2022 წლის 24 თებერვლიდან 2024 წლის 27 ივნისის ჩათვლით საბაჟო გამშვები პუნქტებიდან სანქცირებული საქონელი 1969-ჯერ გააძრუნეს უკან.

„...ყველა ის პროდუქცია, რომელიც მოხვედრილია სანქციების მონაწილე ქვეყნების მიერ განსაზღვრულ სიაში, აგრეთვე ნებისმიერი საბაჟო ოპერაცია (მათ შორის, ექსპორტი და რეექსპორტი), რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს სანქცირებული ფიზიკური პირების



დრონზე დამაგრებული  
რუსული ჭურვი, წარნერით  
– ხარჯოვისთვის  
ფოტო: ua.korrespondent.net

ის 2011-2013 წლებში შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე იყო, 2010 წლს კი ავლანეთში საქართველოს სამშვიდობო მისიის პირველ კონტინგენტს ხელმძღვანელობდა.

„FPV (კამიკაძე-დრონის) სამოქალაქო დანიშნულებაა სპორტული ფრენა, ფოტო-ვიდეო გადაღება, ლანდშაფტის ან გეოგრაფიის კვლევები... თუმცა, ამით ომში დაზვერვა და მტრის ობიექტების მონიტორინგიც შეიძლება. დრონი გამოდგება როგორც დაკვირვების, ისე შეტევის იარაღად. მარტივია, აღიჭურვოს ისე, როგორც მართვადი ჭურვი,“ – გვეუბნება კიბერუსაფრთხოების სპე-

ან კომპანიების ჩართულობით, ექვემდებარება განსაკუთრებულ საბაჟო კონტროლს, რათა არ მოხდეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გამოყენება სანქცირებული ტვირთების გატარების დერეფნად,“ – მოგვწერეს საბაჟო დეპარტამენტიდან 2 ივლისს.

ამ ფონზე, ოფიციალური სტატისტიკა და ჩვენი გამოაშკარავებული ფაქტები მოწმობს, რომ საქართველოს საზღვრები სანქცირებულ ტვირთს ატარებს. ორმაგი დანიშნულების ნივთები აქედან ჯერ სომხეთში, აზერბაიჯანსა და ცენტრალურ აზიაში მიდის, ბოლო პუნქტი კი რუსეთია.

## სანქციების ჩრდილეპვეშ როგორ ახერხებს რუსეთი არსენალის შევსებას?

2014 წელს, ყირიმის ანექსიის პასუხად, ევროკავშირის საბჭომ რუსეთში ორმაგი დანიშნულების ნივთების ექსპორტი აკრძალა და შესაბამისი დოკუმენტი გამოსცა. 2022 წლის 25 თებერვალს კი ამ რეგულაციას ახალი აკრძალვები დაემატა.


ევროკავშირმა, აშშ-მ, იაპონიამ და დიდმა ბრიტანეთმა შეადგინეს იმ ნივთების ნუსხა, რომლებიც ბრძოლის ველისთვის მაღალპრიორიტეტულია და რუსეთში მათი მოხვედრა დანაშაულია. სია რამდენიმეჯერ განახლდა, საბოლოოდ კი მასში 50 დასახელების პროდუქტია ჩამოთვლილი.

**შემოსავლების სამსახურის განმარტებით, ორმაგი დანიშნულებისაა ისეთი პროდუქცია, რომელიც შეიძლება გამოიყენონ როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო მიზნებისთვის, ასევე, ბიოლოგიური ან/და ქიმიური/ბირთვული იარაღის ან**

იც ბრძანებებს ასრულებს. ლილაკზე თითის დაჭრით, სარეცხი მანქანის ტვინს ვავალებთ, რომ ტანსაცმელი გარეცხოს ან განუროს, ისიც გვიჯერებს. თუმცა, შესაძლოა, იმავე „ტვინს“ საბრძოლო დავალება მისცენ და ლილაკზე თითის ერთი დაჭრით ჭურვი ჩამოაგდონ.

2022 წელს დასავლური სანქციების მიზანი იყო, რომ რუსეთისთვის ამ ნივთების დეფიციტი შეექმნა და საბრძოლო იარაღის წარმოებაში ხელი შეეშალა. თუმცა აკრძალვებს ყველა არ დაემორჩილა და რუსეთის სანქციონებული პროდუქტით მომარაგება გაგრძელდა.

2023 წლის ივნისში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა დასახელა ხუთი ქვეყანა, რომლებიც რუსეთისთვის „სანქციების გვერდის ავლის პრობლემას ქმნიდა.“ ესენია – საქართველო, თურქეთი, ყაზახეთი, სომხეთი და არაბთა გაერთიანებული საამიროები.



სარეცხი მანქანის „ტვინი“.  
ფოტო გადაღებულია გლდანში,  
საყოფაცხოვრებო ტექნიკის  
ბაზრობაზე, 2023 წლის სექტემბერში

### ბირთვული მასალის შემცველი ასაფეთქებლის დასამზადებლად.

მარტივად რომ გითხრათ, ორმაგი დანიშნულების ნივთი შეიძლება იყოს თქვენი სამზარეულოს ან აბაზანის ტექნიკაშიც და საბრძოლო იარაღშიც. მაგალითად, ასეთია სარეცხი მანქანის და მაცივრის „ტვინი“.

ეს მცირე ზომის ნაწილი ერთგვარი ელექტრონული ალგორითმია, რომელ-

„იმატა რუსეთში კრიტიკული ელექტრონიკის იმპორტმა. მაგალითად, ჩიპების, რომლებიც თქვენს ჭურჭლის სარეცხ მანქანაშია. მათი ნაწილი [უკრაინაში] ბრძოლის ველზე, რუსული ტექნიკის ნამსხვრევებში აღმოჩნდა... საქართველოდანაც იმატა ასეთი ნივთების ტრანზიტმა და ვისურვებდით, რომ მომავალში შემცირდეს,“ – თქვა ჯიმ ო’ბრაიენმა 2023 წლის 7 ივნისს, საგარეო

ურთიერთობათა ევროპული საბჭოს (ეც-ფრ) შეხვედრაზე. ბრაინი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის თანაშემწევა ევროპისა და ევრაზიის საკითხებში. 2022 წლს კი სანქციების კომიტეტის მიერ მიმდინარეობის მიზანის სამსახური საზღვრების გამკაცრებულ კონტროლში გვარნიშუნებს.

„უკრაინაში აგრესიული ომის დაწყებისთანავე, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს ტერიტორიის გავლით სხვადასხვა საქონლის/ტვირთვების გადაადგილება, საერთაშორისო სანქციების აღსრულების მხარდაჭერის მიმართულებით შემოსავლების სამსახურმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და სანქციების დაწესების პირველივე დღეებიდან თანმიმდევრულად უზრუნველყო სანქციების აღსრულების პროცესის მკაცრი კონტროლი. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ვიზიტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შემოსავლების სამსახური

სრულად და მტკიცედ იცავს საერთაშორისო სანქციების აღსრულების პროცედურებს“, – ვკითხულობთ შემოსავლების სამსახურის განცხადებაში, რომელიც 2024 წლის 13 აპრილს გამოქვეყნდა, აშშ-ის ელჩ რობინ დანიგანისა და შემოსავლების სამსახურის უფროს ლევან კაკავას შეხვედრის შემდეგ.

„საქართველო სრულად და მტკიცედ იცავს საერთაშორისო სანქციების აღსრულების პროცედურებს და არ არსებობს ამის საპირისპირო დამადასტურებელი არცერთი ფაქტი. საერთაშორისო სანქციების დაწესების პირველივე დღეებიდან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში შექმნილია შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ახორციელებს აღნიშნული სანქციების აღსრულების ცენტრალიზებულ კონტროლს“, – მოგვწერეს შემოსავლების სამსახურიდან 2024 წლის 26 ივნისს.

ახლა მოგიყვებით სწორედ „საპირისპიროს დამადასტურებელ ფაქტებზე“.

## რას გვეუპირება ორმაგი დანიშნულების ნივთების ესპორტის სტატისტიკა

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, საქართველო ხშირად სახელდებოდა რუსეთის „მაშველ რგოლად“ და სანქცირებული ნივთებით ვაჭრობის სქემის მონაწილედ. ამაზე არაერთხელ ითქვა ევროპულ და ამერიკულ მედიაში.

2023 წლის ივნისში უკრალისტმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელ ო'ბრაინს ჰკითხა – რომელ ქვეყნებს გულისხმობდა, როცა სანქციებისგან თავის არიდებაზე საუბრობდა. „ეს რეალური პრობლემაა და ამიტომაც ჩავდივარ ხოლმე მე ყაზახეთში, საქართველოსა და სომხეთში...“ – უპასუხა ო'ბრაინმა.

„2023 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში, თურქეთმა 158 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების 45 დასახელების პროდუქტი გაგზავნა

რუსეთში და ხუთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, რომლებიც რუსეთთან შუამავლობაში არიან ეჭვმიტანილნი,“ – წერდა ბრიტანული financial times-ი 2023 წლის 27 ნოემბერს.

**გადავწყვიტოთ, ამ ბრალდებების საფუძველი ითვიცალურ სტატისტიკაში გვეპოვა და საგარეო ვაჭრობის მონაცემები გავანალიზეთ.**

დავადგინეთ, რომ სანქცირებული ტერიტორია საქართველოდან რუსეთამდე ხან პირდაპირი და მოკლე გზით აღწევს, ხან ირიბად და შორიდან, ორი-სამი სახელმწიფო საზღვრის კვეთით.

შევისწავლეთ 50-ვე სანქცირებული პროდუქტის ექსპორტი, იმპორტი და რეექსპორტი. პროგრამისტ და ფიზიკოს უჩა აბაშიძეს ამ ნივთების ჩამონათვალი რომ ვაჩვენეთ, გვითხრა:

„ამ კოდების ქვეშ მითითებული პრო-დუქტებისაგან შეიძლება შემდეგი სა-ბრძოლო მასალა გააკეთონ: FPV დრონები, „ლანცეტები“ [კამიკაძე-დრონები], თვითმფრინავების ელექტრონიკა, ნები-სმიერი თანამედროვე ჯავშანტექნიკის ელექტრონიკა; დამიზნების, გამოთვლის, ნავიგაციის ხელსაწყოები; რადიო მიმღე-ბები და გადამცემები, სტაციონარული და კვირკვების სისტემები, დისტანციურად მართვადი ნაღმები.“

უჩა აბაშიძეს 2023 წლის სექტემბერში ვესაუბრეთ. 2024 წლის 9 მაისს კი ის დააკავეს და ამ დრომდე წინასწარ პა-ტიმრობაშია. რესპონდენტს ადვოკატ შოთა თუთბერიძის დახმარებით დავუკა-ვშირდით და ის თავისი მოსაზრების გა-მოქვეყნებაზე დაგვთანხმდა.

**ოფიციალური სტატისტიკით, 2023-2024 წლებში საქართველოდან რუსეთში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და ცენ-ტრალურ აზიაში ექსპორტით გავიდა 10.7მილიონი აშშ დოლარის ორმაგი და-იშნულების ნივთი.**


სანქცირებული ნივთების გრძელი

ნუსხიდან გამოვყავით ხუთი ისეთი პრო-დუქტი, რომელთა ექსპორტიც 2023 წლიდან თვალში საცემად არის გაზრდილი მეზობელ აზერბაიჯანში, სომხეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. ესნია:

- რადიონავიგაციის აპარატურა (სატელიტური/ჯი-პი-ეს ხელსაწყოები);
- ინტეგრალური სქემები, კონტრ-ოლერები (კომპიუტერის პროცესორები და „ჯოისტიკები“);
- სატელევიზიო, ციფრული და ჩამ-ნერი ვიდეოკამერები;
- მონაცემების დამუშავების ცი-ფრული ბლოკები (ინტერნეტის მოდემები, „როუტერები“);
- ხმის, გამოსახულების ან სხვა მონაცემების მიმღები, გადამცემი და გარდამქმნელი მოწყობილობები (მაგნიტოფონი, მიკროფონი, მიქსერული პულტი).

„აი, ფაქტის“ მიერ გაანალიზებული ექსპორტის სტატისტიკა:

<https://docs.google.com/spreadsheets/d/1SendTx-5JUCLnrEBjHVAIMqRPLptRUiCn52eEHX0XBy8/edit?gid=1881081819#gid=1881081819>



ორმაგი დანიშნულების  
ნივთების ექსპორტი  
საქართველოდან

\* მონაცემები ასახავს ვერიფიც, რომელ ა არის დამატებითი სანაცვლელი იყო. ნაზღუდი 2022 წლის დეკემბრის ბოლოდან.

მუნიციპალი

## რადიონავიგაციის აპარატურა

ეს არის ჯი-პი-ეს მიმღები, ან მობილური ტელეფონის მსგავსი ხელსაწყო, რომელიც უინტერნეტოდ მუშაობს, კომუნიკაციით გვიჩვენებს რუკას და ჩვენს გავლილ თუ გასავლელ ბილიქს. მაგალითისთვის, მას მოლაპერები მთაში, გზის გასაგნებად იყენებენ.

„რა თქმა უნდა, ეს ხელსაწყო სამხედრო მიზნითაც გამოდგება. სამხედრო ჯი-პი-ეს-ს ძლიერი დაცვა უყვნია და მისი ჩამონაბა/გაუვნებელყოფა როტორია, მაგრამ თუ ის არ გაქვს, ჩვეულე-

კავებული რუსი პილოტის, ანდრეი ფედურჩუკოვის, გამოკითხვის შედეგადაც გამუდავნდა.

„გარმინის“ სანავიგაციო ხელსაწყოში შეგიძლია ჩატვირთო აპლიკაციები, მაგალითად, ბალისტიკური კალკულატორი [ტყვიის მიმართულებას, მანძილს და სიჩქარეს ზომავს]“, – ავტოსანა სამხედრო უერნალისტმა, ანონიმურობის დაცვის პირობით.

**2023 წლს საქართველოში რადიონავიგაციის აპარატურის იმპორტი, 2021**



ბრივ, სამოქალაქოსაც კი გამოიყენებ, „– გვითხრა თადარიგის პოლკოვნიკმა ლაშა ბერიძემ.“

რუსეთ-უკრაინის ომის დოკუმენტურ კადრებში ჩანს, რომ რუსული საფრენი აპარატები სწორედ ჩვეულებრივი, სამოქალაქო ნავიგაციითაა აღჭურვილი. ამას საერთაშორისო მედიაც არაერთხელ გამოხმაურა.

ბრიტანული და უკრაინული გამოცემები თავდაცვის უწყებებზე დაყრდნობით წერენ, რომ 2022 წლის ზაფხულში უკრაინაში ჩამოგდებულ სუ-34-ებზე ემაგრა ამერიკული, „გარმინის“ ბრენდის სამოქალაქო ჯი-პი-ეს-ები. ეს ამბავი და-

წელთან შედარებით, 41 პროცენტით, ექსპორტი კი – 213 პროცენტით გაიზარდა.


2023 წლს ეს სანქციონული პროდუქტი საქართველოდან აზერბაიჯანში გავიდა, ჯამურად, 304 520 აშშ დოლარის ლირებულების.

2017-2024 წლებში რადიონავიგაციის ხელსაწყოები ასეთი მასშტაბით არსად გავვიტანია. წარსულში ამ პროდუქტით კი ვვაჭრობდით, მაგრამ გაცილებით მცირე რაოდენობით.


შესაბამის სტატისტიკას აქ ნახავთ:  
<https://docs.google.com/spreadsheets/d/1hsP2h4OWuyxoy-AVg9i6CxBwXZsKs09Y/edit?gid=2081102031#gid=2081102031>

რუსული საფრენი აპარატის  
კაბინაში დამაგრებული  
„გარმინის“ ჯი-პი-ეს-ი  
ნებარი: [globaldefensecorp.com](http://globaldefensecorp.com)

**საიდან შემოგვაქვს  
რადიონავიგაციის  
აპარატურა?**



**რადიონავიგაციის  
აპარატურის  
ექსპორტი**



## ელექტრონული ინტეგრაციური სემიკონდიუქტორები – პროცესორები და კონტროლერები

ამ პროდუქტის სავაჭრო კოდია 854231, რომელიც რამდენიმე მცირე ზომის ელექტრონული დეტალი ერთიანდება. მათი დანიშნულების განმარტება სპეციალისტებს ვთხოვთ.

გვიხსნიან, რომ ინტეგრაციური სქემაა კომპიუტერის პროცესორიც, რომლითაც შეიძლება რობოტული სამხედრო ტექნიკის მართვა, იარაღის დამიზნება, თვალთვალი და ინფორმაციის მოგროვება.

„ამ კოდში არის მიკროკონტროლერები, რომლებიც გამოიყენება უშუალოდ სამხედრო ტექნიკის სამართავად, რომ მიმართულება დაუპროგრამო და რაღაც ფუნქცია ჩაუდო... ესენი იმდენად მცირე ზომის დეტალებია, უხეშად რომ ვთქვათ, შეიძლება ფეხსაცმლის ყუთში ჩატიოთ რამდენიმე ასეული ათასის ღირებულების... „ – აგვიხსნა გიორგი ყურუ-

ლაშვილმა. ის IT ტექნოლოგიების მწარმოებელი ბრიტანული კომპანია „Cott electronics“-ის კვლევებისა და განვითარების დირექტორია.

საქართველოში ინტეგრაციური სქემები იმპორტით შემოგვაქვს – წელიწადში, დაახლოებით, 2-3 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების. უკრაინაში იმის დაწყების შემდეგ იმპორტის მაჩვენებელი არ გაზრდილა, რასაც ვერ ვიტყვით ექსპორტზე.

**2023 წელს საქართველოდან სხვა ქვეყნებში გავიდა 261 580 აშშ დოლარის ღირებულების ინტეგრაციური სქემები. ეს ისტორიაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია და 2021 წელთან შედარებით 36 პროცენტით არის გაზრდილი.**

**2023 წელს ინტეგრაციური სქემები გავიტანეთ შემდეგ ცხრა ქვეყანაში –**

სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, მალტა, ნიდერლანდები, თურქეთი და უკრაინა. საყურადღებოა სამი ქვეყნის მაგალითი. აი, რატომ:


უზბეკეთი სრულიად ახალი მიმართულებაა. ამ ქვეყანასთან ინტეგრაცური სქემებით ვაჭრობის ისტორია არასოდეს გვქონია, 2023 წელს კი პირველად გავიტანეთ 36 720 აშშ დოლარის ლირებულების.

საქართველოდან სომხეთში ინტეგრაცური სქემები წარსულშიც გადიოდა, მაგრამ გაცილებით მცირე რაოდენობით. ხოლო ყირგიზეთში, ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. დინამიკა ასე გამოიყურება:


გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის მონაცემთა ბაზა ([comtradeplus.un.org](http://comtradeplus.un.org)) ადასტურებს, რომ ყირგიზეთი და

სომხეთი ინტეგრაცურ სქემებს რუსეთში გზავნიან. მხოლოდ 2023 წელს ყირგიზეთიდან რუსეთში გავიდა 3 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ლირებულების ინტეგრაცური სქემა, სომხეთიდან - 869 718 აშშ დოლარის, რაც 2021 წელთან შედარებით 683-ჯერ მეტია.

**შენიშვნა:** [comtradeplus.un.org](http://comtradeplus.un.org) -ზე არჩანს, რომ 2023 წელს სანქცირებული პროდუქტები რუსეთში უზბეკეთმა და აზერბაიჯანმაც გაგზავნეს. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ გაერო ამ მონაცემებს სახელმწიფოებისგან აგროვებს. შესაძლებელია, ზოგიერთმა ქვეყანამ მათ სტატისტიკა დროულად და პატიონსად არ მიაწოდოს. შესაბამისად, ვერ ვიქნებით დაწმუნებული, რომ საქართველოდან უზბეკეთსა და აზერბაიჯანში გაგზავნილ ორმაგი დანიშნულების ნივთებს რუსეთამდე არ ჩაულწევია.



პროცესორების  
და ჯოისტიკების  
ექსპორტი სომხეთსა  
და ყირგიზეთში



სომხეთიდან რუსეთში  
პროცესორების და  
კონტროლერების  
(ჯოისტიკების)  
ექსპორტი

შესრულებული მუნიციპალიტეტები

## მონაცემების დამუშავების ციფრული პლოგი

ასეთი ხელსაწყოა, მაგალითად, ინტერ-ნეტის მოდემი, რომელსაც აქვს ერთი მთლიანი კორპუსი, შიგნით რამდენიმე დანაყოფი და სადენების შემავალ-გამომავალი წერტილები.

ფიზიკოსი და პროგრამისტი უჩა აბა-შიძე გვიხსნის, რომ ასეთი ბლოკები თანამედროვე ციფრული ელექტრონიკის აუცილებელი ელემენტია. მაგალითად, ის ჩვენს ლეპტოპებსა და „ფლეი სთეიმენის“ „ჯონსტიკებშია“. იმავდროულად კი, შეიძლება დრონში ან ტანკში აღმოჩნდეს.

„მაგალითად, ასეთი ბლოკია ფრენის კონტროლერებში და კამიკაძე-დრონებში, [ავტორის შენიშვნა: რუსეთი უკრაინასთან ომში შაჰედ-136/131 ტიპის კამიკაძე-დრონებს იყენებს] ასეთი ბლოკია საბავშვო, სასანავლო მიკროსქემა „არდუინოც“. ამით შეგიძლია გააკეთო კარის საკეტიც, დრონიც, ან სკოლაში ბავშვებს ღილაკზე თითის დაჭერით ნათურა აანთებინო. საერთოდ ყველა თანამედროვე იარაღს სჭირდება „არდუინო“, რომელსაც ამოვაძრობ წებისმიერი ელექტრონიკიდან,“ – გვითხრა უჩა აბაშიძემ.

2023 წელს ეს სანქციონული ნივთი ექსპორტით გავიტანეთ ევროპის, აზიასა და აფრიკის 15 ქვეყანაში. მათგან საინტერესოა ორი მიმართულება – ყირგიზეთი და სომხეთი.

მხოლოდ 2023 წელს საქართველოდან სომხეთში გავიდა 3 მილიონი აშშ დოლარის მონაცემთა დამუშავების ციფრული ბლოკი, ჯამურად, 2017-2022 წლებში კი - 5-ჯერ ცოტა, სულ 644 210 აშშ დოლარის.


რაც შეეხება ყირგიზეთს, აქ მხოლოდ 2023 წელს 225 670 აშშ დოლარის მონაცემთა დამუშავების ციფრული ბლოკი გავიტანეთ. ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, რადგან ყირგიზეთთან ამ პროდუქტით ვაჭრობის ისტორია, ფაქტორივად, არ გვაქვს.


**გაეროს საგარეო ვაჭრობის მონაცემებით დასტურდება, რომ ყირგიზეთი და სომხეთი ამ ორმაგი დანიშნულების პროდუქტს რუსეთს აწვდიან.**

„...მონაცემების დამუშავების ციფრული ბლოკების, რაშიც ვგულისხმობ, მაგალითად „მოდემებს“, გამოიყენება კომუნიკაციისთვის. ან მათი გამოიყენებით შეიძლება შეიქმნას კავშირგაბმულობის ისეთი ინფრასტრუქტურა და ქსელი, რომელიც საბრძოლო ვითარებაში გამოსადეგი იქნება. ხმის ან გამოსახულების მიმღები მოწყობილობებიც შეიძლება გამოიყენონ კავშირგაბმულობისთვის, დაზვერვისთვის, თვალთვალისთვის და ასე შემდეგ“, – გვიხსნის კიბერუსაფრთხოების სპეციალისტი, ანონიმურად დარჩენის პირობით.

მონაცემების  
დამუშავების  
ციფრული ბლოკების  
ექსპორტი

წყარო: საქართველო, comtradeplus.un.org






მონაცემების დამუშავების  
ციფრული ბლოკების  
ექსპორტი

## ხმის/გამოსახულების მიმღები და გადამცემი აკარატურა

ეს ნივთიც ორმაგი დანიშნულებისაა და  
სანქციონულ პროდუქტთა ნუსხაშია შეკვეთი.

მიუხედავად ამისა, 2023 წელს 2021-თან  
შედარებით, ამ პროდუქტის საქართველოდან ექსპორტი - 34 პროცენტი,  
საქართველოში იმპორტი კი 74 პროცენტით გაიზარდა.


შარშან ხმის/გამოსახულების მიმღები და გადამცემი აპარატურა საქართველოდან სულ 30 ქვეყანაში გავიდა. მათ შორის, საქართველოს მეზობელ სომხეთში, აზერბაიჯანსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. ამ მიმართულებებიდან, თვალში საცემია ექსპორტის მკვეთრი ზრდა ყაზახეთსა და აზერბაიჯანში.



საიდან შემოგვაეხს  
ხმის/გამოსახულების  
მიმღები და  
გადამცემი  
აპარატურა?

მუნიციპალური მიმღების მოცულობა: \$ 6 631 760

ხმის/გამოსახულების  
მიმღები და გადამცემი  
აპარატურის ექსპორტი  
საქართველოდან




წყარო: საქსტამი

ასეთმა უპრეცედენტო სტატისტიკამ ეჭვი გაგვიჩინა, რომ ყაზახეთი და აზერბაიჯანი ამ ორმაგი დანიშნულების პროდუქტს რუსეთს აწვდიან და მოთხოვნამაც ამიტომ იმატა. ამჯერადაც გადავამოწმეთ გაეროს საგარეო ვაჭრობის

სტატისტიკა.

დასტურდება, რომ უკრაინასთან ომის დაწყების შემდეგ ყაზახეთმა და აზერბაიჯანმა რუსეთისთვის ხმის/გამოსახულების მიმღები და გადამცემი აპარატურის მიწოდება გაზარდა.

ხმის/გამოსახულების  
მიმღები და გადამცემი  
აპარატურის ექსპორტი  
რუსეთში



წყარო:comtradeplus.un.org

სტატიისტიკის ეროვნული სამსახურისან გვაინტერესებდა, ვის გააქვს სანქციონებული ორმაგი დანიშნულების ნივთები რუსეთში ან მესამე ქვეყნებში. საქსტატიმა ეს ინფორმაცია სრულყოფილად არ მოგვაწოდა, კონფიდენციალურობის მოტივით.

გავიგეთ, რომ 2023 წელს სომხეთში მონაცემთა დამუშავების ციფრული

ბლოკები ექსპორტით გაიტანა 7-მა კომპანიამ, ასევე 2023 წელს, ხმის/გამოსახულების მიმღები და გადამცემი აპარატურა აზერბაიჯანში გაიტანა 16-მა კომპანიამ, ხოლო ყაზახეთში სამმა. ფაქტია, ე.წ. მესამე ქვეყნების მიმართულებით ორმაგი დანიშნულების ნივთების ექსპორტი არავის შეუზღუდავს.

## „აი, ფაქტის“ ექსპერიმენტი №2 როგორ ხვდება ინტეგრალური სქემები რუსეთში?

დღონების შემდეგ დავინტერესდით, ასევე მარტივია თუ არა, რომ რუსეთში გაიგზავნოს კიდევ ერთი სანქციონებული ნივთი – ინტეგრალური სქემა. ექსპერიმენტისთვის ავირჩიეთ ასეთი სქემის ორი ნიმუში – კომპიუტერის პროცესორი და მყარი დისკი.

ხუთ სატრანსპორტო კომპანიას „ვოთსაფით“ მივწერეთ, რომ გვაურდა თბილისიდან სამარამდე ჩაგვეტანა პროცესორები და შეიდა მეხსიერების ბარათები. ერთ-ერთმა გადამზიდმა პირდაპირ უარი მოგვწერა – „ასეთ ტვირთს ვერავისზე გავაფორმებო“.

მისგან განსხვავებით, სანქციონებული ნივთების გადაზიდვაზე უყოფმანოდ დაგვთანხმდა შპს „კარგო რაპიდო“. ოპერატორ ნატალიას 60 ცალი „ინტელის“ პროცესორის და 30 ცალი ჰეთერო ტიპის შიდა მეხსიერების ბარათის გაგზავნაზე მოველაპარაკეთ. გვითხრა, რომ სამარამდე ერთი კილოგრამი ტვირთის ჩატანა 15 ლარი ლირს, მაგრამ დამატებით ჩვენ უნდა გადაგვიხადოთ „დაზღვევა“, მთლიანი ლირებულების 10 პროცენტი, ანუ 2 300 აშშ დოლარიო.

„დაზღვევაში ვგულისხმობთ ამ ვარიანტებს, ანუ გაფორმების გარეშე ტვირთის გატანას“, – გვითხრა ნატალიამ მოგვიანებით.

ფასი რომ გავარკვიეთ, მივადექით დელიკატურ საკითხს – სანქციებს. ნატალიას ვუთხარით, რომ გვეშინოდა, საერთაშორისო აკრძალვების გამო გზად

რაიმე არ გაპრობლემებულიყო. ისიც ვახსენეთ, სხვებმა უარი გვითხრეს და თქვენ როგორ რისკავთ ასეთ რამესონ?

ოპერატორმა დაგვამშვიდა – ყველაფერს მოვავარებთ, ოღონდ არაოფიციალურად:

„რასაც სხვები გეუბნებიან, ეგრეა.

სანქციები და ასე შემდეგ... ამ ტიპის საქონელი კანონით... [არ დაასრულა]. რაც შეეხება გატანას, საქართველოდან და შემდეგ რუსეთში ეს არაოფიციალურად მოხდება, ანუ ექსპორტის და მსგავსი რაღაცების გარეშე. კომპანია გვაქს, გავაფორმებთ ხელშეკრულებას.

თუმცა, იქ ამ ტვირთის დასახელებას არ გავწერთ. დავწერთ, რომ თქვენგან მივიღეთ ასეთი და ასეთი ტვირთი და დაზღვევაა 10 პროცენტი... რომ არ შემძლოს გატანა, პირდაპირ უარს გეტყუდით.

რადგან გესაუბრებით და გიხსნით, რომ ამ ტვირთს წავიღებთ, ესე იგი წავიღებთ. თანხაში ყველანაირი რისკი გათვალისწინებულია“.

„კარგო რაპიდოს“ ტრანსპორტირების მარშრუტი ასეთია – თბილისი-ვლა-



ორმაგი დანიშნულების ნივთები, რომებსაც ამ ექსპერიმენტით ვგზავნიდით

დიკავკაზი-სამარა, ხოლო ტვირთის საპოლოო პუნქტამდე მიტანას, დაახლოებით, 4 კვირას ანდომებენ. რა საბუთებია ჩვენგან საჭირო? - არაფერი.

„არაფერი არ მჭირდება, რადგან ეს არაოფიციალურად კეთდება. ერთადერთი - ხელშეკრულებას გავაფორმებთ ფიზიკურ პირზე და გადახდაც იქნება ფიზიკურ პირზე. გასაგები რომ იყოს, ეს კომპანიის ანგარიშზე ვერ წავა... რუსეთში განბაჟებაც რაში გჭირდებათ? ჩვენ ხომ არაოფიციალურად ვაკეთებთ...“ -

„კარგო რაპიდოს“ შესახებ. მისი თქმით, ტოკაზოვი აქ მხოლოდ მაშინ მოდის, როცა მომხმარებლები ტვირთის გასაგზავნად ურეკავენ.

„ამ მიზნით“ დავრეკეთ ჩვენც. ოპერატორ ნატალიას ნომერზე გვიპასუხა თავად კომპანიის დირექტორმა, რომელსაც ვუთხარით, რომ რუსეთში ტვირთის გაგზავნა გვინდოდა. ტოკაზოვმა შესვედრა სამ საათში, თავის ოფისში დაგვითქვა.

ადგილზე მისვლისას გავუმსილეთ, რომ უურნალისტები ვიყავით და მასთან



„კარგო რაპიდოს“  
ოფისი თბილისში

გვითხრა ნატალიამ და ხელშეკრულების ნიმუში გამოგვიგზავნა.

შპს „კარგო რაპიდო“ საქართველოში 2020 წელს დარეგისტრირდა. მისი დირექტორი და მფლობელი რუსეთის მოქალაქე ტაიმურაზ ტოკაზოვია, რომელიც წარმოშობით ჩრდილოეთ ოსეთიდანაა. კომპანიას ოფისი აქვს საბურთალოზე, ზაქარიაძის №5-ში, საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე.

„ერთი 5-6 თვეა, რაც აქ არის, შეიძლება, მეტიც... „პასილკების“ გაგზავნა-გამოგზავნაა... დღეში ორი-სამი კლიენტი მოდის,“ - გვითხრა მეზობლად „იანდექსის“ ოფისის თანამშრომელმა

კითხვები გვქონდა. ტოკაზოვი დაიბნა და ინტერვიუზე უარი გვითხრა, ქართული ენის არცოდნის საბაბით. არადა, იქამდე, სრულიად გასაგებად გვესაუბრებოდა. შემდეგ სხვა რამ მოიმიზება - მეჩერება, ბალიდან ბავშვები მყავს გამოსაყვანიო.

რომ ვკითხეთ, გაპქონდა თუ არა ტვირთი რუსეთში, იუარა, მაშინვე შუქი ჩააქრო, ოფისის დაკეტვა დაიწყო და სწრაფი ნაბიჯებით მანქანისკენ გაემართა. ჩვენც გავყევით და გზად სანქცირებული ტვირთის უკანონოდ ტრანსპორტირებაზე ვეკითხებოდით, თუმცა ხმა აღარ გაულია.

## რას ამპობს საქართველოს კანონი რომაგი დაინიშნელების ნივთების ექსპროტზე?

მარტივია თუ არა ორმაგი დანიშნულების ნივთების ქვეყნიდან გატანა? - წესით, არა. ამისთვის სპეციალური ნებართვის მოპოვება გჭირდებათ.

მთავრობის 2014 წლის დადგენილებით, არსებობს სამხედრო და ორმა-

გი დანიშნულების ნივთების ნუსხა, რომელშიც ცხრა კატეგორიის პროდუქტია - მაგალითად, ელექტრონიკა, კომპიუტერები, ბირთვული მასალები, ნავიგაციის და კავშირგაბმულობის სისტემები.

თუ ამ ნივთების ექსპორტი, იმპორ-

ტი ან ტრანზიტი გსურთ, ნებართვისთვის შემოსავლების სამსახურს უნდა მიმართოთ. საბაჟო დეპარტამენტის არასატარიფო კონტროლის სამმართველოსგან კი ნებართვაზე საბოლოო პასუხს 20 დღის ვადაში მიიღებთ.

პროცედურა ასეთია – ოფიციალური განაცხადის შეტანამდე შემოსავლების სამსახურს უკავშირდებით და უსწინოთ, რისი გატანა გსურთ და ვინ რა მიზნით გამოიყენებს მას საბოლოოდ. შემდეგ ეტაპზე ავსებთ განაცხადს. აქ უთითებთ



პროდუქტის დასახელებას, ლირებულებას, რაოდენობას, წარმოშობის და იმპორტ/ექსპორტის მიმართულებას.

გარდა ამისა, ვალდებული ხართ, შემოსავლების სამსახურს მიანოდოთ ინფორმაცია, ვინ მოიხმარს ამ ნივთს საბოლოოდ და შესაძლებელია თუ არა ის სამხედრო მიზნებისთვისაც გამოიყენონ.

შემოსავლების სამსახურიდან გვითხრეს, რადგან დეტალებს წინასწარ ვაზუსტებთ, 2020 წლიდან დღემდე (22 მაისის ჩათვლით) შემოსული 649 განაცხადიდან უკლებლივ ყველა დავაკმაყოფილეთო. მათ შორის, 67 ნებართვა გაიცა ქსელური მოწყობილობების გატანაზე.

ქსელურ მოწყობილობებში იგულისხმება ხმის/გამოსახულების ან სხვა მონაცემების მიმღები, გადამცემი და გარდამქმნელი მოწყობილობები; 2023-2024 წლებში, ანუ მას შემდეგ, რაც ამ ორმაგი დანიშნულების პროდუქტის რუსეთში ექსპორტზე სანქციები დაწესდა, საქართველოს შემოსავლების სამსახურმა მისი სხვა ქვეყნებში ექსპორტის/რეექსპორტის 63 ნებართვა გასცა.

წესით, ორმაგი დანიშნულების ნივთის ექსპორტის, იმპორტის, ან ტრანზიტისას, საზღვართანაც შეგამოწმებენ. მაგალითად, ავტომობილს ჯერ სწრაფი სკანერი ამონტებს, შემდეგ კი მესაზღვრე, უშუალოდ გამშვებ პუნქტთან.

გვაინტერესებდა, კონკრეტულად რა ინფორმაციის დანახვა შეუძლია საზღვარზე დამონტაჟებულ სკანერებს, მაგრამ შემოსავლების სამსახურმა ამ კითხვაზე არ გვიპასუხა. მიზეზად დაგვისახელეს, ამ ინფორმაციის გაცემით

RPG 7 ანტისატანჯო  
გამშვები სისტემა  
„კამიკაძე“ დრონზე

შეიძლება რისკის ქვეშ დავაყენოთ საბაზოს პროცედურებით.

კონტროლის შესახებ მოგვწერეს ზოგადად – თუ მესაზღვრეს ტვირთის გადაზიდვისას ეჭვი გაუჩნდა კანონდარღვევაზე, იწყებს დოკუმენტების დეტალურ შემონმებას, საქონლის ან/და სატრანსპორტო სამუალების და ფიზიკური პირის დათვალიერებას. ხოლო თუ კანონდარღვევა დადგინდა, ადგენენ სამართლდარღვევის ოქმს და მასალებს გამოსაძიებლად გზავნიან.

2023 წლის შემოდგომაზე სადახლოს და ლარსის გამშვებ პუნქტებზე თავად მივედით და დავაკვირდით, როგორ ამონტებდნენ მსუბუქ ავტომობილებს. გიყვებით იმას, რისი დანახვაც ჩვენი თვალით შევძელით.

მებაჟე ათვალიერებს საბარგულს, მანქანის წინა და უკანა სავარძლებს, ოთხივე კარს. ამის შემდეგ კი მძღოლს უშვებს დოკუმენტების შესამოწმებლად. ამ პროცესს, დახსლოებით 2-3 წუთი ეთმობა. საზღვარზე ჰყავთ ძალებიც და საჭიროების შემთხვევაში ტვირთის შემოწმებას ანდობენ.


## „ელექტრომექ-პტ“-ის და „ლაზიკა იმპორტის“ ამპავი – როგორ ეხმარებიან ქართული კომპანიები რუსეთს?

2024 წლის მაისში გამოქვეყნებულ ლიეტუვური მედიის ურნალისტურ გამოძიებაში ნახსენებია, რომ ლიეტუვაში არსებულ ერთ-ერთ სატრანსპორტო კომპანია „დელამოუდ ბალტიკს“ რუსეთში სანქციონებული ტვირთი, სავარაუდოდ, საქართველოს გავლით გადააქვს.

ჩვენ „იმპორტ ჯენიუსის“ საერთაშორისო სავაჭრო მონაცემთა ბაზის გაანალიზებისას მივაკვლიეთ, რომ „დელამოუდ ბალტიკს“ ტვირთის რუსეთში გადაზიდვაში ეხმარებოდა ქართული კომპანია -შპს „ელექტრომექ-პტ“. ის 2021

მეტი ღირებულების სანქციონებული პროდუქცია – ბურთულოვანი და ცილინდრული, გორგოლაჭოვანი საკისრები; ელექტრონული აპარატურა, „შტეფ-ცელები“, როზეტები და სხვა.

მარი სარაპიანი 2022 წლის დეკემბრიდან კიდევ ერთ სატრანსპორტო კომპანიას, „ლაზიკა იმპორტს“ ფლობს. „იმპორტ ჯენიუსის“ ბაზაში ამ კომპანიასაც მივაგენით. აღმოჩნდა, რომ 2023 წელს „ლაზიკა იმპორტის“ მონაწილეობით რუსეთში გაიგზავნა 29 მილიონ აშშ დოლარის ღირებულების სანქციონებული ტვირთი.



რუსულ FPV დრონზე  
დამაგრებული საკომუნიკაციო  
სისტემები, 2024 წლის მარტი  
ფოტო: Serhii Flash, წყარო: mil.in.ua

წლის 19 ივნისს დარეგისტრირდა. კომპანიის დირექტორი და მფლობელი მარი სარაპიანია. კომპანიას ოფიციალურ ძირითად საქმიანობად მშენებლობა აქვს მითითებული.

2023 წლის ივლის-ოქტომბერში ამ კომპანიამ რუსეთში სანქციონებული ორმაგი დანიშნულების ნივთების გადაზიდვაში 365-ჯერ მიიღო მონაწილეობა. ზოგჯერ ტვირთი თავად გაიტანა, ზოგჯერ სხვებს დაეხმარა. ამ პერიოდში, „ელექტრომექ-პტ“-ის ჩართულობით რუსეთში გაიგზავნა 24 მილიონ აშშ დოლარზე

მარი სარაპიანმა ამ ორი კომპანიის ხელმძღვანელობა დაგვიდასტურა. თუმცა, რომ გაიგო, ურნალისტები ვიყავით და მასთან ინტერვიუ გვსურდა, საუბარი არ ისურვა – არ მცალია. მაინც ვცადეთ კითხვების დასმა და გავახსენეთ, რომ შარშან მისმა კომპანიებმა რუსეთში სანქციონებული ტვირთი გაიგზავნა. თავი ასე იმართლა – ფირმები უკვე ერთი წელია არ მუშაობსო და ტელეფონი გაგვითმა. გადავურეკეთ ხელმეორედ. ამჯერად გვითხრა – ნუ მანუხებთ, 62 წლის ქალი ვარ, გულის პრობლემები მა-

ქვს, თან ახლა არ მცალია, ორ დღეში დამირეკეთო და ზარი ისევ გაგვითიშა. სარაპიანს ორ დღეში რომ გადავურეკეთ გვითხრა – თქვენთან საუბრის არც შესაძლებლობა მაქვს და არც სურვილი.

სარაპიანის არგუმენტი, რომ კომპანიები არ მუშაობს, სიმართლეს არ შეესაბამება. შემოსავლების სამსახურის გადამხდელთა რეესტრში ორივე კომპანია აქტიურია.

„იმპორტ ჯენიუსი“ აშშ-ში, არიზონის შტატში შექმნილი საერთაშორისო ბაზაა, რომელიც საგარეო ვაჭრობის ოფიციალურ მონაცემებს ევროპის, აზიის, ჩრდილოეთ და ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან აგროვებს.

ამ ბაზით ვიპოვეთ საქართველოში არსებული კიდევ ორი ქართული კომპანია, რომლებიც რუსეთში სანქციონებული ტვირთის გაგზავნაში მონაწილეობენ.

2023 წლის 24 აგვისტოს შპს „ფეის პლიუსმა“ პოლონურ კომპანიასთან ერთად რუსულ კომპანია „ემმას“ როსტოვის რაიონში გაუგზავნა 40 ათასი აშშ

დოლარის ღირებულების ხმის/გამოსახულების მიმღები და გადამცემი აპარატურა. საჯარო რეესტრში ამ სახელნოდების კომპანია არ იძებნება. ვიცით მხოლოდ ის, რომ „ფეის პლიუსის“ მისამართია თბილისი, ომარ ხიზანიშვილის №264. აქ თბილისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონაა.

2023 წლის იანვარ-თებერვალში რუსულმა კომპანია „ხორტ თრეიდმა“ სანკტ-პეტერბურგში სამჯერ მიიღო გზავნილი ორმაგი დანიშნულების ტვირთით -ნაბეჭდი სქემები, სტატიკური გარდამქმნელები და როზეტები [შტეფ-ცელები]. ეს სანქციონებული პროდუქტი რუსეთში გაგზავნა შპს „ასტერი გრუპა“, ხოლო გადამზიდავი იყო ლატვიური კომპანია „ულტრა თრეიდ სერვისი“.

„ასტერი გრუპი“ 2022 წლის მაისიდან თბილისშია რეგისტრირებული. მისი დირექტორი და მფლობელი ლატვიის მოქალაქე ვლადიმირს საპოზნიკოვსა. ის „ულტრა თრეიდ სერვისის“ ბორდის წევრიცაა.

## რუსეთში გაგზავნილ საოჯახო ტექნიკაც მომზადების

ახლა მოგიყვებით, რატომ არ უნდა მარაგდებოდეს რუსეთი მაცივრებით, ტანსაცმლის თუ ჭურჭლის სარეცხი მანქანებით. გაიფიქრეთ, რა შეუაშია ზემოთ ჩამოთვლილი ტექნიკა ომთან?

„აი, ფაქტი“ ესაუბრა სამხედრო ინდუსტრიაში გარკვეულ და გამოცდილ პირებს, ყოფილ და მოქმედ სამხედროებს, თავდაცვის სამინისტროს ყოფილ მაღალჩინოსნებს და ეკონომიკური სანქციების საერთაშორისო ანალიტიკოსს.

ყველა მათგანი თანხმდება, რომ თანამედროვე ომებში საბრძოლო იარაღის აწყობას „დიდი ფილოსოფია“ აღარ სჭირდება. შეიარაღებისთვის გამოსადეგი ნაწილები არის ისეთ ნივთებშიც, რომლებსაც ყოველდღე ვიყენებთ, ზოგ მათგანს კი ხელჩანთით დავატარებთ –

მაგალითად, ლეპტოპები ან ‘სმარტ’ მობილური ტელეფონები.

„პრაქტიკულად ყველა რუსულ დრონს და სამხედრო რაკეტას აქვს ისეთი კომპონენტი, რომელიც, მაგალითად, მაცივარში გამოიყენება. მარტივად რომ ვთქვათ, უთო, რომელიც სახლში გაქვთ, შეიძლება აჩუქოთ ვიღაც რუსს, რომელმაც ის შეიძლება უკრაინელების მოსავლავად გამოიყენოს. შეიძლება უტრირებულად უდერს, მაგრამ ამ ორმაგი დანიშნულების პროდუქციას აქვს ეს განზომილება“, – გვითხრა „სამოქალაქო იდეის“ ანალიტიკოსმა გიორგი შაიშმელაშვილმა.

უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ საქართველოდან მაცივრების, ჭურჭლის და ტანსაცმლის სარეცხი მანქანების

ექსპორტი მკვეთრად არის გაზრდილი შემდეგ ქვეყნებში – რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და უზბეკეთი.

2023 წელს საქართველოდან პირდაპირ რუსეთში გავიდა 286 660 აშშ დოლარის ღირებულების ფანსაცმლის სარეცხი და 41 390 აშშ დოლარის ღირებულების ჭურჭლის სარეცხი მანქანა.

„მე ახლა აშკარად ვიცი, რომ სარეცხი მანქანების დოლურას რაც ატრიალებს, ეგ ჩვეულებრივად გამოიყენება უპილოტო სამხედრო აპარატებში – „კოპტერებში“, რომ იმის როტორიც, [მბრუნავი ნაწილი] ატრიალოს... როდესაც სამხედრო დანიშნულების ნაწილები აღარ გაქვს, რაც გაქვს, იმით აკეთებ. სხვა გზა არ არის და იმიტომ... სამხედრო დანიშნულების ნივთები ისე ძვირი ღირს, იმ ფასად ახლა 5 სარეცხ მანქანას იყიდი. პრობლემა არ არის, რაც გჭირდება ამო-

და მისი ნაწილები სამხედრო იარაღზე გადაიტანო. მისი თქმით, ამას აადვილებს ის, რომ ერთი და იგივე ჩიპი აქვს, მაგალითად, ტელეფონს, სარეცხ მანქანას და სამხედრო დრონს.


„ნებისმიერ თანამედროვე ტელევიზორს მოვუძებნი „ტვინს“ და პროგრამას გადავწერ ისე, რომ დრონის „ტვინად“ იქცეს... ადამიანებს ჰგონიათ, სამხედრო ტექნოლოგიები კოსმოსურია და ჩვენ არ ვიცით, მაგრამ დრო წინ წავიდა. ადრე ჯაველინი რაღაც საოცრება იყო, ახლა კი ჯაველინს ჩემი 14 წლის შეილიც გააკეთებს, ამ სქემის ბაზაზე [გვაჩვენებს „არდუინოს“]. ხარისხიანი და სანდო ვერ იქნება, მაგრამ ომი თუ გამოფიტვის სტადიაზეა, ყველაფერი შეიძლება“.

„რუსები, როგორც ბოლო დროს აღმოჩნდა, [უკრაინის ომში] იყენებდნენ სამოქალაქო ნახევარგამტარებს [ჩიპებს], უბრალო გაყიდვაში რაც არის. ეგ ნიშნავს, რომ შეიძლება ეს ნახევარ-



ტელევიზორის „ტვინი“

ფოტო: ნავთლურის „დაშლილების“  
ბაზრობიდან




სარეცხი მანქანის „ტვინი“

ფოტო: გლდანის საყოფაცხოვრებო  
ბაზრობიდან

ცლი და დანარჩენს გადააგდებ“, – გვითხრა თადარიგის პოლკოვნიკმა ლაშა ბერიძემ.

პროგრამისტი და ფიზიკოსი უჩა აბაშიძეც გვიხსნის, რომ მონდომების შემთხვევაში, მარტივად არის შესაძლებელი, საოჯახო ტექნიკა დაშალ-

გამტარი იყოს სარეცხ მანქანაშიც და ყავის აპარატშიც“, – გეუბნება გიორგი ყურულაშვილი, IT ინფრასტრუქტურის მწარმოებელი ბრიტანული კომპანია „cott electronics“-ის კვლევებისა და განვითარების დირექტორი.



ტანსაცმლის/ქურჭლის  
სარეცხი მანქანების და  
მაცივრების საქართველოდან  
ექსპორტი 2017-2024 ნლებში

## რა არის ტანტალი და როგორ გამოიყენება პრძოლის ველზე?

„ტანტალის კონდენსატორების გარეშე ვერ დააწყობ ელექტრონიკას, თვითონ არაფერი არ არის, პატარა რამეა, მაგრამ ჩიპებიც და ყველაფერი რომ გქონდეს, ტანტალის გარეშე არაფერი გამოვა“, – აგვიხსნა უჩა აბაშიძემ.

ტანტალის კონდენსატორები ელექტრომონტყობილობების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, რომელიც ელექტროდენის დადებით და უარყოფით მუხტებს აგროვებს. მას რუსი სამხედროები ქურვების საწარმოებლად იყენებენ.


უკარაინაში ომის დაწყების შემდეგ, 2022 წლის ნოემბერში, საქართველოდან სომხეთში რეექსპორტით გავიდა 2 400 აშშ დოლარის ღირებულების 710 კილოგრამი ტანტალი. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა. წარსულში ეს პროდუქტი თითქმის არასდროს არსად გაგვიტანია. მხოლოდ 2018 წელს გავიტანია 160 აშშ დოლარის ღირებულების.

„იმპორტ ჯენიუსის“ საერთაშორისო ვაჭრობის მონაცემთა ბაზაში ვიპოვეთ, რომ 2023 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ეს სანქციონული პროდუქტი საქართველოდან რუსეთში მოხვდა. 12 800 აშშ დოლარის ღირებულების ტანტალის

კონდენსატორები ჩინეთიდან დაიძრა და რუსეთში საქართველოს საზღვრის გავლით ჩააღწია. საქართველო ვაჭრობის პორტალზე ეს მონაცემები ასახული არ არის.

„ყველაზე მეტად რუსეთს სწორედ ტანტალი სჭირდება კუმულატიური ქურვების საწარმოებლად. ასეთი ქურვები სპილენძითაც მზადდება, მაგრამ ოთხი-ხუთჯერ დაბალი ეფექტურობა აქვა, ტანტალი კი ყველაზე კარგია. ვიცით, რომ რუსებს ტანტალის მოპოვებასთან პრობლემები აქვთ, მარაგები ყველა ლოგიკით უნდა გამოლეოდათ“, – გვითხრა სამხედრო ანალიტიკოსმა კობა ნაროუშვილმა.

ნაროუშვილს ვკითხეთ, ლოგიკურად მიაჩნდა თუ არა, სომხეთის მხრიდან ტანტალზე ასეთი მაღალი მოთხოვნა, რაზეც გვიპასუხა: „სომხეთი თვითონ არ აწარმოებს მაღალტექნოლოგიურ, ტანტალის ძაბრიან კუმულაციურ ქურვებს, ეს ტექნოლოგია ათვისებული არ აქვთ. მათვის უფრო ადვილია, რომ იყიდონ მზა ქურვები.“



ტანტალის კონდენსატორები,  
ფოტო: ebay

## რა არის გამოსავალი? – ლიეტუვის გამოცდილება

2024 წლის აპრილში ლიეტუვურმა საგამოძიებო მედიამ *lt.lt*-მ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ჰქონდებოდნენ, როგორ გაჰქონდა ლიეტუვურ კომპანიას სანქცირებული ორმაგი დანიშნულების პროდუქტი რუსეთში.

ამავე მედიის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, უკრაინაში მის დაწყების შემდეგ ლიეტუვიდან რუსეთში მოხვდა 130 მილიონი ევროს ღირებულების ორმაგი დანიშნულების პროდუქცია. სატრანზიტო ქვეყნები კი იყვნენ – ყაზახეთი, ყირგიზეთი და უზბეკეთი.

ურნალისტური გამოძიების საფუძველზე, 2024 წლის მაისში ლიეტუვის სამართალდამცველმა ორგანოებმა გამოძიება დაიწყეს და მაღლევე ოთხი ეჭვმიტანილიც გამოავლინეს. საქმის გამოძიება და დღემდე მიმდინარეობს.

ამ სტატიის ავტორ რუტა იუკნევიჩიუტეს ვესაუბრეთ და და ვთხოვეთ უფრო დეტალურად მოყოლა, რა ზომები მიიღო ლიეტუვის მთავრობამ მათ მიერ გამოაშვარავებული „შავი ხვრელის“ ამოსავებად. რუტას თქმით, უკრაინაში მის დაწყების შემდეგ, იმპორტ-ექსპორტი ლიეტუვშიც უკონტროლო გახდა, კომპანიები რუსეთის სანქცირებული ნივთებით მომარაგებას მესამე ქვეყნების გავლით აგრძელებდნენ. მაგალითად, სქემაში ჩართული იყო ყაზახეთი და უზბეკეთი.

„...ლიეტუვამ ექსპორტზე შეზღუდვების გასამკაცრებლად ნაბიჯები გადადგა – მთავრობამ ბრძოლის ველისთვის პრიორიტეტულ ნივთებზე ეროვნული სანქციები დააწესა. ასევე, აიკრძალა ლიეტუვის გავლით ასეთი პროდუქტის სახმელეთო ტრანზიტი. ჯერჯერიბით, ეს საზღვაო გადაზიდვებს არ შეხებია“, – გვიყვება რუტა იუკნევიჩიუტე.

თუ საქართველოს მთავრობა რუსეთში ორმაგი დანიშნულების ნივთების გატანაზე კონტროლის გამკაცრებას გადაწყვეტს, შეუძლია, მაგალითად, ლიეტუვის გამოცდილება აიღოს და ეროვნული ნივთების ნუსხა და მათ ექსპორტზე

### სანქცია დააწესოს.

ლიეტუვური მედიის ურნალისტური გამოძიების შემდეგ ლიეტუვის მთავრობამ ორმაგი დანიშნულების ნივთების ექსპორტი აკრძალა არა მხოლოდ რუსეთის, არამედ ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მიმართულებითაც.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ნინო ევგენიძეც ფიქრობს, რომ შექმნილი უკონტროლო სიტუაცია დარეგულირდება მაშინ, როცა ქვეყანა, საერთაშორისო აკრძალვების გარდა, დამოუკიდებელ, შიდა შეზღუდვებსაც დააწეს.

„რომ დაიჭირო იმ სატრანსპორტო კომპანიის უფროსი და უთხრა, რატომ გადაგაქვს შენ დრონები [მესამე ქვეყნით] რუსეთის ტერიტორიაზეო, მის წინააღმდეგ ერთ სამართლებრივ ღონისძიებასაც ვერ განახორციელებ. იმიტომ, რომ ბუნებაში არ არსებობს კანონი, რომელიც მას ამ უფლებას შეუზღუდავს... ამას სახელმწიფო უწყობს ხელს. რა პრობლემა? აიღონ ის საერთაშორისო ბაზები, სადაც აკრძალული პროდუქციის ჩამონათვალია და გამოსცენ ბრძანებულება... ეს მონაცემები ძალიან დამაზიანებელია ჩვენი რეცუტაციისთვის და ამას მოჰყება ის, რომ აღარ გენდობიან, როგორც ქვეყანას“, – გვითხრა ნინო ევგენიძე.

ვესაუბრეთ პოლიტიკური რისკებისა და სანქციების ანალიტიკოს მაქსიმილიან ჰესს. ის ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტში მუშაობს და გამოცემული აქვს წიგნი „ეკონომიკური მომ“, რომელიც უკრაინის ომს და რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ შეზღუდვებს ეხება.

„სულ მცირე, თუ მთავრობა მართლაც პატიოსნად ამბობს, რომ სანქციებს აღასრულებს და სურს, არ იქცეს დამრღვევ ქვეყნად, საუკეთესო გზა იქნება, რომ ცალკე გამოაქვეყნოს ბრძოლის ველისთვის მაღალპრიორიტეტული ნივთების ნუსხა და მათ ექსპორტზე

დამატებითი შეზღუდვები გამოსცეს. ეს პრაქტიკაში ასე იქნება – ექსპორტიორს მოსთხოვენ დააზუსტოს, რა არის ტვირთის საბოლოო დანიშნულების პუნქტი. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ აირიდონ აკრძალული საქონლის მოხვედრა საქართველოდან რუსეთში”, – გავვიზიარა გამოსავლის თავისი ვერსია მაქსიმილიან ჰესმა.

სტატიის გამოქვეყნებამდე ერთი კვირით ადრე, შემოსავლების სამსახურს ინტერვიუს შესათანხმებლად მივმართეთ. პრესასამსახური დაგვპირდა, კითხვები ელექტრონულ ფოსტაზე გამოიგზავნეთ და „შეგირჩევთ შესაბამ-

ის რესპონდენტს“. თუმცა, ორ დღეში მხოლოდ ზოგადი, წერილობითი პასუხი დაგვიბრუნეს. ინტერვიუზე თანხმობა ისევ არ არის.

ასე მოიქცნენ თებერვალშიც, როცა „აი, ფაქტმა“ რუსეთის სანქცირებული მანქანებით მომარაგების სქემა გამოააშკარავა და შემოსავლების სამსახურთან კრიტიკული კითხვები ჰქონდა. დროულად და მაღალი სტანდარტით არც მაშინ გვიპასუხეს. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ კი ქვეყნის წინააღმდეგ დეზინფორმაციის გავრცელებაში დაგვდეს ბრალი. ■

**სტატიაზე მუშაობდნენ:** ია ასათიანი (ინტერვიუერი); ნანუკა ბრეგაძე (ინტერვიუერი); მანანა ლოლობერიძე (რედაქტორი); ნინო გაგუა (დიზაინერი); რობი ზარიძე (ვიდეოგრაფი);





ელენე ებანოიძე

# მართვის როლი და არჩევნები

საქართველოს ევროკავშირში განევრიანება დღესდღობით ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა ჩვენთვის, სტუდენტებისთვის. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეს აღმოჩნდა ის იდეა, რომელმაც გააერთიანა ყველა სფეროსა და ასაკის წარმომადგენელი.

საბედნიეროდ, დღეს ჩვენთვის ევროპა აღარ არის შორეული რამ. ჩემი თაობა ძალიან ახლოს და უშუალოდ იცნობს ევროპას და კარგადაც წარმოუდგენია, როგორი იქნება, ვიყოთ მისი სრულფასოვანი ნაწილი. ვიცით, რამდენად ლალი, თავისუფალი და დაცული შეგიძლია იყო, როგორც ევროკავშირის მოქალაქეს...

გახდე ევროკავშირის ნაწილი, ნიშნავს ქვეყანაში მაღალ სამოქალაქო პასუხისმგებლობას, სოციალურ სამართლიანობას, ადამიანის უფლებების დაცვასა და სამართლის უზენაესობას. რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საჭიროა, გამარტივდება ხარისხიანი განათლების მიღება.

ერთი მხრივ, როგორც არასდროს,

ისე ახლოს ვართ ამ ეპოქალურ მოვლენასთან. მეორე მხრივ, თითქოს უცნაურია, რომ ქვეყანაში სწორედ ასეთ დროს ერთიმეორის მიყოლებით იღებენ ე.წ. რუსულ კანონს, პომოფობიურ კანონსა თუ ე.წ. ოფშორების კანონს, რომლებიც ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს, სულისკვეთებასა და კონცეფციას.

ამ ყოველივეს ფონზე, 2024 წლის არჩევნები თანამედროვე საქართველოსთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც იყო 1990 წლის პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომელშიც ქართველმა ხალხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დაამარცხა.

დღეს საქართველოს თითოეული მოქალაქე დგას არჩევნის წინაშე - ან ასე ახლოს მოსული სანუკვარი, საუკუნოვანი ოცნება აიხდინოს და გახდეს ევროკავშირის წევრი, ან - გახდეს პროპაგანდის ნებიერი მსხვერპლი და, შედეგად, ქვეყანა „ხალი რეინის“ ფარდის მიღმა აღმოჩნდეს.

ახალგაზრდებისთვის ეს არჩევნები ორმაგად, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან პოლოორი წლის განმავლობაში არაერთხელ გვცემეს, ცივი წყლის ჭავლით დაგვარბიეს, ცრემლსადენი გაზით გაგვგუდეს და უსამართლო ჯარიმებით ეცადნენ ჩვენთვის სულის ამოხდას. თუმცა, შიშის მაგივრად, ამან კიდევ უფრო დიდი სტიმული მოგვცა, რომ ეს ყოველივე დამთავრდეს. ამ განწყობას ამყარებს ისიც, რომ დღესდღეობით საზღვარგარეთ მყოფი ქართველი სტუდენტები მასობრივად რეგისტრირდებიან და მიდიან სხვადასხვა ქალაქში საარჩევნო უბნებზე (სადაც საარჩევნო უბნების გახსნაზე ხელისუფლებამ უარი არ თუ ვერ თქვა), რათა მათი ხმა არ დაიკარგოს. აქედანაც ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენთვის ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავალი და რაოდენ ფასულია თითოეული ხმა, რომელსაც შეუძლია, ამ მიმართულებით შეცვალოს ქვეყნის ბედი.

არჩევნები განსაზღვრავს ყველასათვის ძვირფასი მონაპოვრის, ევროკავშირთან ვიზალიტერალიზაციის შეწყვეტა-არშეწყვეტის ბედს. არჩევნების შედეგები ასევე გადაწყვეტს ქვეყანაში ფართო გაებით სამოქალაქო საზოგადოების ბედს, მათ შორის, იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მომავალს, რომლებიც ფასდაუდებელ საგანმანათლებლო საქმ-

ინობას ეწევიან.

გასათვალისწინებელია დისტოპიური მომავლის შესაძლო სცენარიც: იმ შემთხვევაში, თუ 26 ოქტომბრის არჩევნებზე არაფერი შეიცვალა, ქვეყანა მთლიანად რუსული გავლენის ქვეშ მოექცევა და საქართველო ღიად ანტიდასავლურ, ავტორიტარულ რელსებზე გადავა, რასაც ჩემი თაობა ვერ და არ შეეგუება. ევროკავშირის კარი დაიკეტება და ქვეყანა რუსეთის ორბიტაზე დამკვიდრდება. განუსაზღვრელი ვადით გადაიწევს საქართველოს დიდ, ევროპულ, ქრისტიანულ ოჯახში დაბრუნება. ქვეყანა მოექცევა საერთაშირისო იზოლაციაში, დაწესდება არაერთი სანქცია საგარეო ვექტორის ცვლილების ავტორთა მიმართ, ხოლო ქვეყანაში დაიწყება ფართომასშტაბიანი რეპრესიები (რომლებიც უკვე არაერთხელ, სრულიად პირდაპირ და არაორაზოვნად დააანონსეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა).

სწორედ ამ არჩევნებზეა დამოკიდებული, 27 ოქტომბერს როგორ საქართველოში გავიღვიძებთ, როგორ წარიმართება ჩვენი ქვეყნის კურსი და როგორი იქნება ახალგაზრდების, ჩემი თაობის, მომავალი. მჯერა და მნამს, რომ იმ ვითარებაში, როცა ყველა ჩვენი პარტნიორი ქვეყანა და მეგობარი გვერდში გვიდგას, გავიმარჯვებთ. ■

### გასათვალისწინებელია დისტოპიური მომავლის შესაძლო

**სცენარიც:** იმ შემთხვევაში, თუ 26 ოქტომბრის არჩევნებზე

არაფერი შეიცვალა, ქვეყანა მთლიანად რუსული გავლენის ქვეშ

მოექცევა და საქართველო ღიად ანტიდასავლურ, ავტორიტარულ

რელსებზე გადავა, რასაც ჩემი თაობა ვერ და არ შეეგუება.

ევროკავშირის კარი დაიკეტება და ქვეყანა რუსეთის ორბიტაზე

დამკვიდრდება. განუსაზღვრელი ვადით გადაიწევს საქართველოს

დიდ, ევროპულ, ქრისტიანულ ოჯახში დაბრუნება. ქვეყანა

მოექცევა საერთაშირისო იზოლაციაში, დაწესდება არაერთი

სანქცია საგარეო ვექტორის ცვლილების ავტორთა მიმართ, ხოლო


ქვეყანაში დაიწყება ფართომასშტაბიანი რეპრესიები (რომლებიც

უკვე არაერთხელ, სრულიად პირდაპირ და არაორაზოვნად

დააანონსეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა).



მიხეილ ანთაძე



# ანდროფოვი

იქ, სადაც ახლა მოსკოვია, ანტიურ ხანში კაციჭამიები ბინადრობდნენ. ამის შესახებ „ისტორიის მამად“ წოდებული ჰეროდოტე გვიამბობს ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში დაწერილ ენციკლოპედიურ ნაშრომში, რომელიც თავმოყრილია მაშინდელი ცივილიზაციის ხელთ არსებული მთელი ცოდნა კაცობრიობის წარსულის, მითოლოგის, მეცნიერული ნააზრევისა თუ გეოგრაფიის შესახებ და რომელიც „ისტორიების“ სახელითაა ცნობილი. იგი წერს, რომ სკვითების ქვეყნის გადაღმა - ჰეროდოტეს რუკების მიხედვით კი სკვითების

ქვეყანა თანამედროვე უკრაინის ტერიტორიაზე მდებარეობდა - დაახლოებით დღევანდელი ჩერნიგოვიდან ჩრდილო აღმოსავლეთის მიმართულებით მდებარე ულრან ტყეებსა და ჭაობებში ცხოვრობდნენ ბარბაროსთა ტომები, რომლებსაც ჰეროდოტე ანდროფაგებს უწოდებს (Ανδροφαγος δειπλός δέρδნυλας კანიბალს ნიშნავს). მათი განსახლების ტერიტორია ჰეროდოტეს თავის რუკებზე აქვს დატანილი. ესაა ტერიტორია დაახლოებით თანამედროვე სმოლენსკიდან აღმოსავლეთის მიმართულებით მოსკოვის გავლით კოსტრო-

მამდე. ეს ბარბაროსები უღრან ტყეებსა და ტევრებში მკვიდრობდნენ და იმ დროს, როდესაც სამხრეთით მცხოვრები სკვითები უკვე მიწათმოქმედებას მის-დევდნენ, შინაური ცხოველები ჰყავდათ, სახლებში ცხოვრობდნენ და სასოფლო თემებში მკვიდრად დაფუძნებულიყვნენ, ანდროფაგები ჯერაც შემგროვებლობითა და ნადირობით ირჩენდნენ თავს. ისინი იმ იშვიათ ჯილაგს ეკუთვნოდნენ, რომლებიც არა მხოლოდ ცხოველებზე, არამედ ადამიანებზეც ნადირობდნენ. ჰეროდოტე აღნიშნავს, რომ ანდროფაგები განსაკუთრებულად ველურ ჩვეულებებს მისდევდნენ. ეს ის ეპოქაა, როდესაც საბერძნეთში, სპარსეთში, ეგვიპტესა და ფინიკიაში ცივილიზაცია ყვავის. შექმნილია ალფაბეტური დამწერლობა, ლიტერატურული ნაწარმოებები, განვითარებულია ზღვაოსნობა და ვაჭრობა, აფრიკის ჩრდილოეთი და სამხრეთ ევროპა ბერძნებისა და ფინიკიელების პოლისებითაა დახუნძლული, ვითარდება ფილოსოფიური აზროვნება, ჩნდება სახმელეთი გზები, რომლებიც ყველა მიმართულებით მიინევენ, მათ შორის ბარბაროსებით დასახლებულ სკვითებისა და მათ აღმოსავლეთით მცხოვრები სარმატების ტერიტორიებზე. ცივილიზაციების არსებობა (მესოპოტამია, ეგვიპტე, ჩინეთი, ინდოეთი) უკვე სამ ათეულ საუკუნეს ითვლის. სავაჭრო გზები ბარბაროსებისკენაც მიინევდნენ, მაგრამ, ჰეროდოტეს თქმით, ყველა - ცივილიზებულიცა და ბარბაროსიც - ერიდებოდა იმ ტყიან მხარეში მოხვედრას, სადაც ანდროფაგები დაძრნოდნენ. მეზობელი ეთნოსები კარგად იცნობდნენ მათ სისხლისმოყვარე ბუნებას და ამიტომ მათ სიახლოვეს ერიდებოდნენ. ჰეროდოტე ხაზს უსვამს, რომ ანდროფაგების ხელში მოხვედრილ წებისმიერ უცხოს ისინი, თავიანთი წეს-ჩვეულების თანახმად, ცოცხლად წვავდნენ, თუ უცხოელი არ ჰყავდათ, მათ შეეძლოთ, თავისიანებისგან თავისიანივე ეყიდათ და ამ უბედურებსაც იგივე ბედი ელოდათ. მათ დიდხანს ტანჯავდნენ, ანთებული ჩირალდნებით წელ-წელა ბრანავდნენ, ბო-

ლოს კი მკვდრებს მადიანად ნთქავდნენ. მსხვერპლთა თავის ქალებს თმიანად იმაგრებდნენ მკერდზე და ამაყად ატარებდნენ, როგორც მედლებსა თუ ორდენებს. ცხადია, ამას მათი საკულტო წესები და პირველყოფილი მითოლოგია განაპირობებდა. თუმცა რუსეთის იმპერიასა თუ საბჭოთა კავშირში ჩინ-მენდლებითა და ეპოლეტებით გატაცება გვფიქრებინებს, რომ უძველესი მითოლოგიური არქეტიპები დღემდე მუშაობს. ჰეროდოტეს თქმით, მოკლულთა თავის ქალებს ასევე სასმისებად იყენებდნენ. ბერძნთა მიერ ანდროფაგებად წოდებული მოსკოვისა და მისი ახლომდებარე მიწების მკვიდრი კანიბალები ყველაზე დიდხანს შერჩნენ ქვის ხანას, კაუის ბუნიკანი ისრებით ნადირობდნენ და იბრძოდნენ, მაშინ, როდესაც ანტიკურ სამყაროში ბრინჯაოსა და სპილენძის ბერიოდები დავიწყებას ეძლეოდა, ხოლო ქართველების წინაპარი ხალიბების ნოუპაუს - რკინასა და ფოლადს - უკვე მთელი ცივილიზებული სამყარო იყენებდა. ანდროფაგების ცხოვრების წესში დიდი ცვლილებები არც რომის იმპერიის ზეობის ხანაში მომხდარა. ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში მოლვანე პლინიუს უფროსი თავის „ბუნების ისტორიაში“ ამბობს, რომ ადამიანთა შორის ყველაზე ველური წეს-ჩვეულებები სწორედ ანდროფაგებს აქვთო, მათ არ გააჩნიათ არანაირი კანონი და სამართალი, ისინი ტყეებში დაეხეტებიან, თუმცა ისევე აცვიათ, როგორც სკვითებს და საერთოდაც, ცდილობენ მათ მიპაძონ, მაგრამ ბუნებით უკლებლივ ყველა დაუნდობელი მძარცველი და მკვლელია, ამ მხრივ, სკვითებზე გაცილებით უარესი არიანო. თანამედროვე დასავლურ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული შეხედულებით, ანდროფაგების მიგრაცია პრეისტორიულ ხანაში ჩრდილოეთიდან



სკვითი მეომარი.  
ანტიკური გამოსახულება



მოხდა, მაგრამ სკვითთა განსახლების ჩრდილოეთ საზღვართან შეჩერდა და ე.წ. „პოლესი“, ანუ ახლანდელი მოსკოვეთის ტერიტორია, მოიცვა.

ანდროფაგებს რაიმე პროგრესული განვითარება კიდევ დიდი ხნის განმავლობაში არ განუცდიათ, თუ არ ჩავთვლით სკვითური სამოსის მიბაძვასა და იმას, რომ როგორც პლინიუს უფროსი ამბობს, სკვითებმა მათ ხელის დაბანა და უკანალის გამოწმენდა ასწავლეს. ამასობაში დასავლურ სამყაროში - მათ შორის ქართულ სამეფოებში, ქართლსა და ეგრისში - ქრისტიანობა გავრცელდა, რომელიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ რომის იმპერიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილის დაშლის შემდეგ თანამედროვე ევროპული ეთნოსების ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი დაიწყო. აღმოსავლეთში რომმა იმპერია კიდევ ათასი წლით შეინარჩუნა. მანამდე არაბეთის ნახევარკუნძულზე ახალი რელიგია, ისლამი, დაიბადა და სწრაფად გავრცელდა აზიასა თუ ჩრდილო აფრიკაში. მაღალი კულტურისა და ცივილიზაციების ქვეყნების დაპყრობამ (სირია, ეგვიპტე, ანტიოქია...) არაბული ხალიფატი მოწინავე კულტურის ქვეყნად აქცია და ევროპაში, მათ შორის საქართველოში, ანტიკური კულტურის აღორძინების პროცესებს შეუწყო ხელი, თუმცა არაბებმა ისლამს შუა აზიის მომთაბარე ხალხებიც

აზიარეს, რასაც თურქული ექსპანსიის ხანგრძლივი ნაკადი მოჰყვა. სელჯუკებმა არაბეთის ხელიფატის დიდი ნაწილი დაიპყრეს და აღმოსავლეთ რომის იმპერიაც შეავინროვეს. ამასობაში კი მოსკოვის პოლესიები მცხოვრები ანდროფაგები კვლავაც ქვის ხანაში რჩებოდნენ. შუა საუკუნეების ბევრ რუკას თან ახლავს ნახატები, რომელებზეც გამოსახული ანდროფაგები ადამიანის ხორცს შეექცევიან. თუმცა ცხადია, ბიზანტიის მიმდებარე ჩრდილოურ ტერიტორიებზეც ხდებოდა იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი დიდი ცვლილებები, სკვითების სამფლობელოებისკენ სამხრეთ-დასავლეთიდან დიდი მიგრაციის შედეგად გაჩნდნენ სლავური წარმოშობის ხალხები, რომელთაც ჩრდილოეთიდან მოსული ვიკინგები (ვარიაგები, ქართულად - ვარანგები) შეერიცნენ. მათგან ყველაზე ახლო ბიზანტიასთან ბულგარეთი იყო, საიდანაც ჩრდილოეთით ჯერ ქრისტიანობა გავრცელდა, მასთან ერთად კი - დამწერლობა. აღმოსავლეთ სლავებმა შექმნეს ცენტრალიზებული სახელმწიფო - კიევის რუსი, რომლის მთავარი ქალაქები იყო კიევი და ნოვგოროდი. ამავე დროს, სლავურმა ტომებმა - ელმინებმა, ვიატიჩებმა, კივიჩებმა პოლესის სამხრეთ ტერიტორიებზე შეაღწიეს და იქ დამკვიდრდნენ, ხოლო მოგვიანებით ეს ტერიტორიები გაერისტიანებული კიევის სახელმწიფოს შეუერთდა, მაგრამ იმ დროშიც მოსკოვიეს პოლესიები ჯერაც კაციჭამია ანდროფაგები ბინადრობდნენ. თურქებმა, რომელთა ექსპანსია არა მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, არამედ კასპიის ზღვის ჩრდილოეთითაც გავრცელდა, ამ ხალხს კასაბები (ანუ ყასაბები) უწოდეს, რომელთაც ერიდებოდნენ მათი კანიბალიზმის გამო. სლავების მიერ ათვისებულ ტერიტორიაზე აბორიგენი ანდროფაგების ასიმილაცია ხდებოდა, მათ ისწავლეს მიწათქმოქმედება და მეცხოველეობა. წარმოქმნენ ფინო-უგორული ეთნოსები - ჩუტები, მოკებები, მორეელები, მარიელები, მურომელები. ამ დასახელებათა



სლავებისა და ვარიაგების  
შეხვედრა, XIX ს-ის ილუსტრაცია

უმრავლესობა თურქული წარმოშობისაა და მომდინარეობს სიცყვიდან „მორდვა“, რაც ისევ და ისევ ადამიანის ხორცის მფამელებს, კანიბალებს ნიშნავს. ეთნოსი, სახელად მორდოველები, ახლაც სახლობს რუსეთის ფედერაციაში (სხვათა შორის, რუსეთის პატრიარქი კირილე სწორედ მორდოველია). ძალიან კი ცდილობდნენ ანდროფაგები, ცივილიზებულ ხალხებს დამსგავსებოდნენ, მაგრამ, ისევ თურქულ წყაროებს თუ დავეყრდნობით, შურიანობისა და უგუნურების გამო სლავებს და მათ სახელმწიფოებს ვერ იტანდნენ, ხშირად ესხმოდნენ თავს, ძარცვადნენ და ანიოკებდნენ. იძულებითი გაქრისტიანების მიუხედავად, ისინი მაინც გარბოდნენ ჭაობებსა და უღრან ტყეებში, იქ თავის კერპებს ეთაყვანებოდნენ და გარდაცვლილთა კულტის რიტუალებს ასრულებდნენ.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მონღოლ-თათართა ჩინგისხანისეულმა შემოსევამ ამ ველურ ხალხებში გარკვეული სახელმწიფოებრივი წესრიგი და დისკიპლინა დაამყარა. თუმცა თვითონ მონღოლები და თათარები, რომლებსაც თავის ეპოქისთვის ერთ-ერთი მონინავე, ტოლერანტული და კულტურისკენ მსწრაფველი იმპერია ჰქონდათ, ამ ხალხებს მეტად დაბალ შეფასებას აძლევდნენ, ნებისმიერ ადგილობრივ მთავარსა თუ ბოიარს ტიტულატურაში ყაენის ლეკვი, მისი ფეხის მტვრის მლოცველი და მსგავსი დამამცირებელი ეპთეტები ეწერა. ჩინგის ხანის უზარმაზარი, მსოფლიოში ყველა დროის უდიდესი კონტინენტური იმპერია მაღე დაიშალა. მაგალითისთვის, საქართველოდან ისინი 70-80 წლის მერე წავიდნენ, ვენის ალყა სულ რამდენიმე თვე გაგრძელდა, თუმცა მანამდე მთლიანად დაიპყრეს აღმოსავლეთ ევროპა, კიევის სამეფოც, პოლონეთიც, უნგრეთიც. მაგრამ მონღოლ-თათართა ძლევამოსილი სახელმწიფო, „ოქროს ურდო“, ვოლგისპირეთისა და ანდროფაგების ყოფილ ტერიტორიებზე კიდევ 200 წლით შენარჩუნდა, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის ძლიერი ასიმილაცია გამოიწვია. კან-

იბალიზმს ახლა უკვე ჩინგისხანისეული მსოფლიოს დაპყრობის იდეაც დაემატა. XV საუკუნეში, როდესაც ბიზანტიის იმპერია ოსმალებმა გაანადგურეს, ადგილობრივი მთავრები ჯერ კიდევ მონღოლ-თათართა ვასალებად ითვლებოდნენ. მონღოლ-თათარებმა

დააარსეს ულუსი მოსკოვი, რომელიც სხვა ულუსებს შორის იმით გამოირჩია, რომ მისმა ადგილობრივმა ელიტამ პირველმა შესთავაზა ყაენს, ადგილობრივებისგან ხარჯის ასაკრეფად თქვენს ჯარს ნუ შეაწუხებთ, ჩვენ თვითონ ავკრევთო. საკუთარი ხალხის სულის ამორთმევის ფასად მოსკოველმა მთავრებმა სუვერენული უფლებები გარკვეულწილად გაიფართოვეს, თუმცა მაინც ყაენთა ყურმოქრილ მონებად ითვლებოდნენ. სწორედ ოქროს ურდოს მაშინდელი მმართველის, საიდ აჰმედ ხანის, ვასალი იყო მოსკოვის დიდი მთავარი, ყაენის ლანჩის ენით მლოცველი (ეს მის ოფიციალურ ტიტულატურაში შედიოდა) ივან ვასილიევიჩ III, რომელშიც ახალი ძალით იფეთქა სლავებისადმი ძველმა სიძულვილმა. მონღოლ-თათართა ჯარის დახმარებით მან გადაწვა ქალაქი ნოვგოროდი (კიევის რუსი, მონღოლთა შემოსევების შემდეგ დაიშალა, ხოლო ნოვგოროდი, როგორც რესპუბლიკური მართვის მქონე ქალაქ-სახელმწიფო, დიდხანს ასრულებდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრის ფუნქციას). სწორედ ივანე III-ის დროს ჩაისახა მოსკოვის სამთავროში ორი შიზოფრენიული იდეა - პირველი, რომ მოსკოვს საქრისტიანობი კონსტანტინეპოლი უნდა შეეცვალა და „მესამე რომად“ წოდებულიყო და მეორე, რომ მომხდარიყო ე.ნ. „რუსული მიწების“ შემოკრება მოსკოვის ირგვლივ. დაინყო პერმანენტული ომი და დაპირისპირება ევროპის ქვეყნებთან.



მოსკოვის დიდი მთავარი  
ივანე III, XVI ს-ის გრავიურა



ჩაინერქს რა სამთავრო ტიტულატურაში ძველი კიევის კუთვნილი სახელწოდება და „სრულიად რუსეთის მთავრები“ დაირქვეს, მოსკოვის მეფეებმა ამ იდეის განხორციელება ისევ ნოვგოროდით დაიწყეს. XVI საუკუნეში, მაშინ, როდესაც ევროპელებმა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა გახსნეს და საეკლესიო რეფორმაციით ახალ დროებას ჩაუყარეს საფუძველი, მოსკოვის მეფემ, ზემოხსენებული ივან III-ის შვილიშვილმა, აგრეთვე ივან ვასილიევიჩ IV-მ, მრისხანედ წოდებულმა, კიდევ ერთხელ დაანგრია, გადაწვა, გაანადგურა ნოვგოროდი და ამით დაასრულა ამ რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ამჯერად ივანე მრისხანეს მონლოლთა ჯარის დახმარე-



ბათო ყაენი,  
ირანული  
მინიატურა

ბა აღარ დასჭირვებია, მან თვითონ შექმნა ე.წ.“ოპრიჩინკა” არმია და სასტიკი დაუნდობლობით დაიწყო მეზობელი ეთნოსების დაპყრობა და მათი დამოუკიდებლობის განადგურება. ისტორიის მკვლევარი და ურნალისტი, საქართველოს დიდი მეგობარი, ოლეგ პანფილოვი, თავის წიგნში „ანტისაბჭოთა ისტორიები“ ავითარებს მოსაზრებას, რომ ივანე მრისხანეს მიერ დაწყებული „ოპრიჩინა“ არასდროს დამთავრებულა და რომ თანამედროვე რუსეთი ჩვეულებრივი, ტიპური წარმოშობის, ეთნიკური და ფეოდალური სუვერენიტეტის ისტორიულ საფუძველზე შექმნილი ქვეყანა კი არა, არამედ გრანდიოზული დაპყრობითი პროექტია, რომელსაც საფუძვლად ჩინგისხანისეული „მსოფლიო ბატონო-

ბის იდეა“ უდევს. მართლაც, ურალს აქეთ მიწების დაპყრობის შემდეგ ურალ-სიქეთის ჯერიც დადგა, 200-წლიან სისხლისმღვრელ ომებში უამრავი ციმბირის მკვიდრი ეთნოსი განადგურდა, მოსკოვიას ხელი ციმბირს იქით, კამჩატკაზე, ჩუკოტკასა და შორეულ აღმოსავლეთზეც მიუწვდა. მერე თურქესტანის (შუა აზიის) ჯერი დადგა. ევროპულ მხარესაც არანაკლები „მიწების შემოკრება“ გაჩაღდა. კავკასიის ქვეყნები, კარპატები, ბესარაბია, პოლონეთი, ფინეთი და სხვა კიდევ მრავალი ჩინგიზ ხანის განახლებულმა იმპერიამ შთანთქა.

მშთანთქმელი რუსეთად, ანუ *Россия*-ად, ჯერ ერთხელაც არ მოგვიხსენიებია. იმიტომ, რომ ქვეყნისათვის ეს სახელი მხოლოდ XVIII საუკუნეშია მოგონილი. მანამდე კი, თვით XVI- XVII საუკუნეების ევროპულ რუკებზე, იმ რუკებზე, რომლებსაც, მაგალითად, მეფე ლუდოვიკ XIV ათვალიერებდა, ამ ქვეყანას „ტარტარია“ ერქვა, ანუ თათრების ქვეყანა, რაც, ამავ დროს, ძველი ბერძნული ტარტაროზის (ანუ ჯოჯოხეთის) ასოციაციასაც იწვევდა. თვითონ ადგილობრივები თავის სახელმწიფოს მოსკოვიას ეძახდნენ. აქვე ბარემ ისიც უნდა აღვიშნოთ, რომ XVIII საუკუნემდე ტყეებსა და ჭაობებში უხვად შეხვდებოდით ქათმის ფეხების მსგავს წვრილ ჯირკებზე შეყენებულ ქოხებს, სადაც ლუმლებში გარდაცვლილთა კრემაცია ხდებოდა. მკვლევართა აზრით, ამ წარმართულ გადმონაშებში შესაძლოა ჯერაც შენარჩუნებული ყოფილიყო ადამიანის ხორცის ჭამის უძველესი ჩვეულება. აქედანვე წარმოდგება ზღაპრული პერსონაჟი ბაბა იაგა, ან უფრო ზუსტი გამოთქმით, ბაბაიალა („ბაბაი“ და „ალა“ თურქული წარმოშობის სიტყვებია და სავარაუდოდ მამა ბატონის აღმიშვნელია). საერთოდაც, მონღოლ-თათართა უდიდეს გავლენაზე ისიც მიუთითებს, რომ სიტყვა ნათეა – მამა, მამიკო - უშუალოდ ბათო ყაენის სახელიდან მომდინარეობს.

ბაბა იაგას პარაშის შეჩერება ევროპამოვლილმა მოსკოვიის მეფემ პი-

ოტრ პირველმა სცადა. იგი რომანოვების დინასტიის წარმომადგენელი იყო. მისი დიდი ბაბუა - მიხაილ ფიოდოროვიჩი მოსკოვიაში მრავალი ათეული წლის განმავლობაში ხელისუფლებისათვის ბრძოლით გამოწვეული „დიდი არეულობის“ შემდგომ თვითმარქია მეფის, ცრუ დმიტრი II-ის დამხობის შედეგად ავიდა ტახტზე. რომანოვებმა იმით დაიწყეს, რომ დმიტრი მეორესთან ერთად მისი მეუღლე, პოლონელი პრინცესა მარია მნიშვილი, და მათი 3 წლის ვაჟი სავაროდ ჩამოახრჩვეს კრემლის წინ. 3 წლის ბიჭუნას ასეთი უპრეცედენტო დასჯის გამოძახილად, 3 საუკუნის შემდეგ უკანასკნელი რომანოვი - მეფე ნიკოლოზ მეორე და მისი მცირენლოვანი შვილები კომუნისტებმა დახვრიტეს.

ახლა ისევ პიოტრ I-ს, ჩვენში პეტრე დიდად წოდებულს, მივუპრუნდეთ. სწორედ მან დაარქვა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში თავის ქვეყანას ოფიციალურად მოიხსენიერდა, რომ ქვეყნის უძველეს დასახელებაში (Киевская Русь) და შემდეგდომინდელ ტერმინოლოგიაში ეს სიტყვა მუდამ ასო „უ“-თი წარმოითქმოდა და საკითხავია, საიდან გაჩნდა აქ „ო“. ცხადია, ბერძნულიდან, რადგან ბერძნულ ანბანში ასო „უ“ არ არსებობს და ბიზანტიურ დოკუმენტებში ეს სიტყვა ასო „ო“ გამოყენებით იწერებოდა (ახლაც ასე იწერება – რასია). პეტრემ, რომელიც ველური ქვეყნის ევროპეიზაციას ცდილობდა, ერთი მხრივ, მითვისა კიევის ძევლი სამეფოს სახელწოდება და თან უცხოურ მანერაზე მოაცქია, რითაც თავისი ქვეყნის ვითომდა ბიზანტიურ კავშირებს გაუსვა ხაზი. ეს, რაღა თქმა უნდა, ტყუილი იყო, ევროპის თვალში პრესტიუს ასამაღლებლად. ამავე მიზნით, მან ევროპასთან ახლოს, მოწვეულ ევროპელთა ხელით, ააშენა სრულიად დასავლური ქალაქი, დასავლურსავე ყაიდაზე პეტერბურგი დაარქვა და დედაქალაქი მოსკოვიდან აქ გადმოიტანა. ამავე მიზნის შესაბამისად, პეტრემ საფუძველი ჩაუყარა „რუსეთის“ ისტორიის გადაწერასა და

მითოლოგიზება-გაფეიკებას. მან არის-ტოკრატიას (ბოიარებს) წვერი იძულებით გააპარსვინა და ჰიგიენის ელემენტარული ნორმების დაცვა მოსთხოვა, თუმცა უბრალო ხალხის ყოფაში ამით არაფერი შეცვლილა (ბატონ-ყმობა რუსეთში მხოლოდ 1861 წელს გაუქმდა). პეტრემ ეკლესიასაც „მიხედა“, მოსკოვის საპა-



მარინა მნიშვილის  
3 წლის ვაჟის  
ჩამოხრჩობა  
მოსკოვში 1614  
წელს, XX ს-ის  
ილუსტრაცია

ტრიარქო გააუქმა და რელიგიის მართვა კოლეგიას დაავალა, რომელსაც ობერპროკურორი განაგებდა. XVIII საუკუნეში ქვეყნის იძულებით ევროპეიზაციასთან ერთად მიმდინარეობდა ენის დიდი რეფორმა, რადგან მოსკოვის მკვიდრთა ენა ფინო-უგრული, თათრული, თურქული, მონღოლური და ქრისტიანობასთან ერთად მოსული ძველი სლავურის ნაზავს წამოადგენდა. იმიტომაა თუნდაც XVII საუკუნის იქაური ტექსტები დღევანდელი რუსი მეითხველისთვის სრულიად გაუგებარი. რეფორმა მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისისთვის დასრულდა და რუსული ენა თანამედროვე პარამეტრებში მოექცა. აღიარებული მოსაზრების თანახმად, თანამედროვე რუსული ენის შექმნას ძირითადად ერთ კონკრეტულ პიროვნებას - აღექსანდრ პუშკინს უკავშირებენ. იმპერიის ევროპეიზაციამ XIX საუკუნეში კულტურის დიდი აღმავლობა გამოიწვია, თუმცა ამ ყოველივემ, რეალურად, საუკუნეზე ოდნავ მეტ ხანს გასტანა. ბოლშევიკებმა, რომლებმაც სისხლიანი გადატრიალებიდან მალევე დედაქალაქი პეტერბურგიდან





პეტრე I, XVIII ს-ის ნახატი

კვლავ მოსკოვში გადაიტანეს, კულტურის სწრაფი დეგრადაცია გამოიწვიეს, ხოლო თანამედროვე რუსეთმა რუსული კულტურა ისევ ყოველივე დასავლურის საპირიპისოდ წარმოაჩინა. საბოლოოდ, პეტრე დიდის მიერ განხორციელებული ევროპეიზაციის პროექტმა კრახი განიცადა (თუ ევროპიდან იმპორტირებულ და უპრეცედენტო სისასტიკით დანერგილ კომუნიზმის იდეას არ ჩავთვლით). ამ სახელმწიფოს მთავარ არსად და

საქმედ ისევ და ისევ „რუსული მიწების“ „შემოკრება“ და დაპყრობითი ომების წარმოება დარჩა.


ამჯერად „როსსია“ უკრაინის „დაბრუნებას“ ცდილობს. ყოველივე ზემოთქმულიდან კარგად ჩანს, თუ რაოდენ უსაფუძვლოა მოსკოვიტების სლავური წარმოშობის იდეა და სლავურ სახელმწიფოთა გამართიანებლობაზე პრეტენზია. თუმცა ესეც მხოლოდ კანიბალური ტაქტიკის ერთი რგოლია. თანამედროვე რუსეთის ისტორიის ცრუ, პროპაგანდისტულმა ვერსიამ უკვე ღრმად გაიდგა ფესვი რუსეთის მოქალაქეთა ცნობიერებაში. შემზარავ შთაბეჭდილებას ტოვებს ინტერნეტსივრცეში გავრცელებული მოსკოველი თინეიჯერის ინტერვიუ, სადაც ის ამბობს, რომ რუსეთმა არა მხოლოდ ევროპა, არა მხოლოდ მსოფლიო, არამედ მთელი მზის სისტემა უნდა დაიპყროს. გაოცებული უურნალისტის შეკითხვაზე, ეგ როგორ, რუსეთის არმია, მაგალითად, პარიზში შევა და თქვენ იქაურ შადრევნებში იბანავებთო, თინეიჯერი გულწრფელად პასუხობს, ყველა ფრანგი და საერთოდ ყველა ადამიანი რუსი იქნება, მზის სისტემას დავიპყრობთ და ყველაფერი კარგად იქნება. ეს შემზარავი პროპაგანდისტული საწამლავი კრემლში მზადდება. კრემლში, სადაც ჯერჯერობით კვლავაც ზის მთავარი ანდროფაგი. ■





## ლევან გურიელიძე

# 90-იანი წლების თბილისში ქორიპები



## „იტალიური ეზოს“ სამაზრბჯო

„კოჯორის კარს“ ზემოთ - სოლოლაკის, იმის იქით მთაწმინდის, ხოლო კიდევ იმის იქეთ ვერეს უბნებში არაერთი ეზოა, რომელთაც, იტალიური ნეორეალისტური კინოხელოვნების სურათებთან მსგავსების მიხედვით, „იტალიურ ეზოს“ ეძახიან თბილისელები. ერთ ასეთ ეზოში, თუ არ დავბადებულვარ, მთელი ბავშვობა და ახალგაზრდობა მაქვს გატარებული და სულ კარგად ვიცი - დღეს რომ ლამის ერთ ოჯახად ცხოვრებას აბრალებენ ამ ეზოებს, მთლად ასე არ გახლდათ, მა-

გრამ ჭირისა და ლხინის მოზიარეობა დიდი იყო - მტერსა და ავს, თუ ვინმე გარდაიცვლებოდა, მეზობელი ვერ ჩართავდა ტელევიზორს; თუ ვინმეს ავადმყოფობა სჭირდა - ერთად ზრუნავდნენ მისი ფეხზე დაყენებისათვის და თუ ქორწილის უამი დაჰკრავდა - ჯერ მეზობლებს პატიუებდნენ და მერე ნათესავებს!

ასეთი იყო ცხოვრების დუნე და, იმავდროულად, ტრადიციული მდინარება ჩვენს ეზოშიც, რაც ზვიად გამსახურდიას ეროვნული მოძრაობის მოვარდნილმა ქარიშხალმაც კი ვერ შეცვალა - ისევ ისე თამაშობდნენ ფანჩატურში ნარდსა და დომინოს, ისევ ისე საუ-

ბრობლნენ სპორტსა და ამინდზე და ისევ ისე წრეპავდნენ საღამოობით ერთი რომელიმე მეზობლის ჩამოტანილ ლვინოს - ეგ იყო მხოლოდ, „ჩვენი წითელი ლობის“ სადლეგრძელოს ზოგჯერ „შინდისფერი დროშის“ სადლეგრძელო ენაცვლებოდა ხოლმე, შავ-თეთრი ზოლებით. გაზეთები გადაჭრელებული იყო მანამდე უცნობი და აკრძალული პოლიტიკური თემებით, ჰაერს არყევდა პროსპექტიდან მომდინარე შეძახილების ხმები, მაგრამ ჩემი მეზობლებისგან, ბატონი ვიქტორის გარდა, არცერთი თანამომიტინგე და თანამანი-



1992 წლის 3 იანვარი, აქციის დახვრეტა

ფესტანტი არ მყოლია. ჩვენი ეზო კვლავ ძველებურად, თავისი დუნე ცხოვრებით ცხოვრიბდა და მე გულწრფელად მიკვირდა - თუ თბილისის თითო ეზოდან, ჩემი და ბატონი ვიქტორის მსგავსად, მხოლოდ ორი კაცი გამოდიოდა სამიტინგოდ, ეს ამოდენა მრავალათასიანი მანიფესტაციები როგორ გროვდებოდა თბილისში.

ბატონი ვიქტორი მარტოხელა, ხნიერი კაცი იყო. აქამდე მოსკოვში გადაცხოვრებულს, დაკეტილი ჰქონდა ბინა და ახლა ყველაფერი მიეტოვებინა თავის სამსახურიანად მოსკოვში და თბილისში ჩამობრუნებული, რომელიდაც კორპორაციაში მსახურობდა. მე და ბატონი ვიქტორი არ ვაცდენდით არცერთ მიტინგსა და მანიფესტაციას, ზვიადისა და მერაბის მიერ ახმიანებულ ყველაზე უკიდურეს მივარდნილ თბილისურ უბნებსაც კი ვსტუმრობდით და გვიან საღამოს ვპრუნდებოდით სახლში, მისა-

ვათებულნი. ხანდახან ჩვენთან მოდიოდნენ მიტინგებზე ახლად გაცნობილი მეგობრები, რომელთა შორისაც ტელევიზორებიდან ცნობადად გამხდარი სახეებიც აღმოჩენილან და ჩვენი მეზობლები მათ აუცილებლად პატიუებდნენ სუფრასთან; მათ სადლეგრძელოებს განსაკუთრებული სასმისებით სვამდნენ და ამ სადლეგრძელოებში ჩვენც, მე და ბატონ ვიქტორსაც, საგანგებოდ მოგვაყოლებდნენ ხოლმე.

მაგრამ მოგეხსენებათ, დიდხანს არ გასტანა ზვიადის ხანამ და დაემხო ეროვნული ხელისუფლება. შეწყდა გამარჯვების ყიუინის ხმა პროსპექტიდან, თუმცა არ განელებულა მიტინგები და მანიფესტაციები - ახლა უკვე სამხედრო საბჭოს წინააღმდეგ. 3 იანვარს დაარბიეს და დახვრიტეს მიტინგი დიდუბის მეტროსთან, 7 იანვარს - დელისის მეტროსთან. 1 თებერვლის მიტინგზე მე და ბატონი ვიქტორი კვლავ ერთად ვიყავით - ვაგზლის მოედნიდან დაძრულ მანიფესტანტებს თავი რომ უნივერსიტეტთან გვქონდა, კუდი ჯერ კიდევ ვაგზლის მოედანზე იყო - „ქაჯეთის ციხიდან“ სპეცდანიშნულების მანქანებიდან წყლები გვასხეს და დაგვშალეს. მეორე დღეს კი ისევ დავიძარით ვაგზლის მოედნიდან - მაშინდელი ჩელუსკინელების ქუჩის მარცხენა მხარეს, მრავალსართულიანი სახლების მცხოვრებლები ფართოდ აღებდნენ ყველა სართულზე კარებსა და ფანჯრებს: კაცები, ღვინიანი ჭიქებით ხელში, გვადლეგრძელებდნენ, ხოლო ქალები ყვავილებს გვესროდნენ, დაუფარავად იცრემლებოდნენ და მუჭით ისრესდნენ თვალებს. ჩვენ მანიფესტანტთა პირველ რიგებში მივდიოდით. როდესაც ჩელუსკინელების (ახლანდელ თამარის) ხიდს მივუახლოვდით, ბატონ ვიქტორს ნაცნობმა დაუძახა და გვერდზე გაიხმო. მეც ტროტუარს გადავაბიჯე და დაველოდე. გავიდა სულ რამდენიმე წუთი და გამაყრუებელი სროლა გაისმა. როგორც მერე გაირკვა, ცირკიდან წამოსულმა კონონადამ მოცელა პირველი რიგები და უკან დაძ-

რულმა ტალღამ ჩვენც მოგვიყოლა და მტკვრის განაპირა ფერდობით ქვემოთ-კენ ჩაგვყარა.

იმ დღეს მრავალი ადამიანი დაიჭრა და დაიღუპა. 2 თებერვლის შემდეგ კარგა ხნით დადუმდა მანიფესტანტური უივილ-ხივილი. მიწყდა მგრგვინავი საპროტესტო ხმა, მაგრამ ჩვენ, თავისუფლების ერთგული „ზვიადისტები“, მაინც კიდევ რაღაცას ვცდილობდით და ვცოდვილობდით - ვისაც როგორ შეგვეძლო, ისე ვუწევდით წინააღმდეგობას ხუნტას - საგაზეთო პროტესტებით თუ ხეებზე გაკრული პროკლამაციებით. ჩვენი ეზო კი კვლავინდებურად მიმკვდარებული იყო და ყველა ამ ჩვენი ღია თუ ფარული პროტესტის ერთადერთი გამზიარებელი ისევ ბატონი ვიქტორის სახითდა მყავდა.

პრეზიდენტის ჩამოსვლასთან ერთად, ისევ გაიღვიძა თბილისში წინააღმდეგობის სულმა. მანამდე შეგუბებულმა პროტესტმა არტახები გაარღვია და კვლავ იხუვდა ხალხმა. ხუნტა შემფოთდა და, იმის შიშით, რომ დასავლეთ საქართველოდან დაძრული ძალა თბილისს მოადგებოდა, დაინტერეს პრევენციული დაპატიმრებები და დილეგში ჩაყრა, რათა თბილისში ბრძოლით შემოსული ეროვნული ძალებისთვის ცოცხალ ფარად წინ აეფარებინათ. არ ერიდებოდნენ არც ქალებს და არც დავრდომილ მოხუცებს.

ერთ საღამოს ჩვენთან აქოშინებული მოიჭრა ჩემი შორეული ნათესავი, რომელიც პოლიციაში მსახურობდა - გვერდზე გამოხმო და ჯერ წერილი მაჩვენა, რომელიც ხელში ეკავა, და მერე სხაპასხუპით ამიხსნა, რომ ყველა ეზოში თითო დამსმენი ჰყოლიათ: პოლიციასაც და უშიშროების კომიტეტსაც, მერე დასძინა, რომ ეს-ესაა მათ განყოფილებაში შესულა ეს წერილი, გამოიღო კონვერტიდან მოკეცილი ქალადდი და წამიკითხა, სადაც ენერგა პატაკი პოლიციის უფროსის სახელზე, რომ ჩვენს ეზოში, სადაც 50 ოჯახი ცხოვრობდა, დაახლოებით 5 ოჯახი იყო საეჭვო, გამსახურდიას მიმართ სიმპათიის დამოკიდებულებით, ხოლო სამეზობ-

ლოს ერთი წევრი, ლევან გურიელიძე, თავისი ოჯახითურთ, პრეზიდენტის აქტიური და განსაკუთრებულად სახიფათო მხარდამჭერი იყო. წერილს ხელს აწერდა ბატონი ვიქტორი.



1992 წლის 2 თებერვლის დემონსტრაცია

ნათესავის წინაშე მდგომს, თვალ-დათვალ მეკარგებოდა სამყაროს რეალობის შეგრძნება, რადგან მან ხელი მკიდა და მითხრა - ახლა გულის ნასვლების დრო არ არის, სწრაფად ჩაიცვი და ცოლ-შვილთან ერთად ჩაჯექი ჩემს მანქანაში! ჩაგვსხა მანქანაში და გაგვიყვანა ქალაქებარეთ, სადაც პატარა სააგარაკო სახლი ჰქონდა. ყოველი შემთხვევისათვის დამარიგა, სახლიდან თავი არ გამომყო... ერთ თვეში ეს ნათესავი ჩემს წინადადებაზე დამთანხმდა და დაჩქარებული წესით ჩემი სახლ-კარი გამაყიდინა. იმ ფულით იქვე, ქალაქებარეთ, მისი სახლის გვერდით, მრავალსართულიან კორპუსში შევიძინე ბინა. მას შემდეგ სამი ათეული წელია აქ ვცხოვრობ - ვიცი მხოლოდ ჩემი სახლის და ბინის, კორპუსის და კვარტალის ნომერი - არ ვიცი სხვა კორპუსებისა და კვარტლების რაოდენობა, არ ვიცი მეზობლების ვინაობა და არც ერთ მეზობელს არ ვიცნობ. ვიცნობ ჩემი სახლის შესასვლელთან ბუდრუგანაში მომუშავე მეწალეს.

ნათესავმა მითხრა, რომ სახლის სიახლოეს მომუშავე წვრილმანი მოხელეები, ამხანაგობების თავმჯდომარეები, სახლში მცხოვრები გამყიდვლები და მეწვრილმანები ყველაზე ხშირად არიან სწორედ პოლიციისა და უშიშროე-

ბის დამსმენები, ამიტომ მე საგანგებოდ ვეცრუე მეწალეს, რომ დროებით ვცხოვრებ ახლობლის ბინაში ქირით და ყოველ წელს ვახსენებ, რომ პა და პა - აი, საცა არის უნდა გადავიდე! თუმცა, მეწალეს კი არა, თავს ვიტყუებ, თორემ, თუ მართლა დამსმენია ეს მეწალე, განა ჩემზე კარგად არ ეცოდინება ჩემი ვინაობა და ბინადრობა?

P.S. როგორც მკითხველი მიმიხვდებოდა, ამ ნამდვილ ამბავში მხოლოდ ბატონი ვიქტორის სახელი გახლავთ შეცვლილი.

## ქორწინების პეჩადი

ქორწინების ბეჭედი, რომელიც წრიული ფორმისაა და არც თავი და არც ბოლო არ გააჩნია, მარადიული სიყვარულის სიმბოლოა. ჩემთვის ყოველთვის ბუნებრივი გახლდათ ქალბატონების თითზე ასეთი ბეჭედი, რომელიც ემსახურებოდა მისი მატარებლის ოჯახის დედობისა და კდემამოსილების ხაზგასმას და, ამასთანავე, ზღუდავდა უცხო მამაკაცისაგან ზედმეტ სითამამეს - ჩემი გული და ჩემი სხეული დაკავებულია და ამაოდ ნუ გაირჯებიო! მაგრამ ყოველთვის მაღაზიანებდა ქორწინების ბეჭედი მამაკაცის თითზე, რადგან მიმაჩნდა, რომ ეს ნიმნავდა მასკულინურად შეუძგარ პიროვნებათაგან გარეგნული, საჩვენებელი მამაკაცობის დემონსტრაციას ან თანამეცხედრისადმი ერთგულების ხაზგასმას, სინამდვილეში ამ ერთგულების დამარღვეველთაგან.

ვერ ვიფიქრებდი, თუ ოდესმე თავად ვატარებდი ქორწინების ბეჭედს, რომ არა მოვლენათა მოულოდნელი თანამიმდევრობა. ვისაც დღემდე ახსოვს 90-იანი წლების საქართველო, ისიც ემახსოვრება, რომ პრეზიდენტის ერთგულ მოქალაქეებს უმიზეზოდ ითხოვდნენ სამსახურებიდან. მეც დამითხოვეს. ორი ბავშვის საზრდოობა დედის იმედად დარჩა, რომელიც ძინად მუშაობდა პუტინისტების ოჯახში. მე კი ბავშვები მყავდა დატოვებული. უმუქობაში, ერთეულ

მდიდარ ოჯახებს „დვიუმკები“ ჰქონდათ ჩართული და გაზის ბალონებით იმზადებდნენ საკვებს, ხოლო ღარიბები სანთლის შექმზე ვჯახირობდით და „უსატის ფეჩები“ გვედგა, რომლებსაც ფანჯრის სარკმლებიდან ვაყოფინებდით თავებს და მათი კვამლით შენობები გარედან იყო გამურული. შეშა ძვირი ღირდა და მე და ბავშვები სახლთან ახლოს, წინვოვან სკვერში, მივდიოდით, სადაც მათ ვუქმნიდი თამაშის ილუზიას და ერთმანეთს ვეჯიბრებოდით - ვინ რამდენ გირჩს მოაგროვებდა. ქარისგან ჩამოყრილ გირჩებს და წვრილ ტოტებს მერე ფეჩში ვუკეთებდით. საკვებად მეუღლეს საძირაო ოჯახიდან მოჰკონდა ნასუფრალი, ხოლო ჩასაცმელს ახლო ნათესავების, ასაკით უფროსი ბავშვების გამონაცვლებში აგროვებდა. ამ დამცირებას კიდევ ვეგუებოდი, მაგრამ ჩემთვის ის უფრო მძიმედ გადასატანი იყო, მენაყინე რომ შემოდიოდა ეზოში და ნაყინს არ მთხოვდნენ ჩემი შვილები, ან - სათამაშოების დახლებს რომ ჩავუვლიდით ქუჩაში და დახლებისკენ არ იხედებოდნენ!

გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში დაენიაო, ისე დაგვემართა - მეუღლეს ძინაობის ვადა ამოენურა და დავრჩით სულ ულუქმაპუროდ - ჩვენს თავს ვინ ჩიოდა, ბავშვები გვრჩებოდა მშიერი. გაზითში ბუკინისტის განცხადება ამოვიკითხეთ და გამოვიძახეთ - სხვა გზა არ იყო, ბიბლიოთეკის გარკვეულ ნაწილს უნდა შევლეოდი. მოვიდა ზონზროხა ბუკინისტი, ფურგონიანი მანქანა ეზოში გააჩერა, როგორც იყო, ხვენება-ხვენეშით ამოვიდა ჩემის სართულზე და ორი ტომარა ამოათრია. მიიდგა ტაბურეტი და დაინუო თაროებიდან წიგნების გადმოლაგება. მე კედლის კუთხეში ვიდექი და, მისი ეს ქმედება რომ არ დამენახა, ფანჯარაში ვიყურებოდი. მხოლოდ ერთი წუთით მოვტრიალდი მისკენ და დავინახე, როგორ ატრიალებდა ხელში „დონ-კიხოტის“ ორ ტომს - საჩვენებელ თითს ინერციავდა და ფურცლავდა - ეტყობა წიგნების სიმრთელეს ამონებდა. ეს იყო 50-იან წლებში გამოცემული ორ-


ტომეული, ჩემი ბებიას ბიბლიოთეკიდან, ნიკო ავალიშვილის თარგმანით და სახა-სიათო ილუსტრაციით გარეკანზე. მერვე კლასში ეს ორი მსხვილი წიგნი სოფელში მქონდა წალებული და იდალგოს თავგა-დასავლებით გატაცებულს, მთელი თვის განმავლობაში არც მდინარე მახსოვ-და, არც ნადირობა და არც ფეხბურთის თამაში ნამდვილ ბალახიან მოედანზე - მთელი დღეები ამ წიგნებს ვუჯექი და სიამოვნებისგან ხან ვერუტუნებდი და ხან ხელებს ვიფშვნეტდი!

„სდექ!“ - შევძახე უცებ და ბუკინისტს მოულოდნელობისაგან ხელები აუკან-კალდა და წიგნები გაუცვივდა. - სდექ! - აღარ ვყიდი წიგნებს! შეშინებულმა ბუ-კინისტმა წიგნები გადმოყარა ტომრი-დან, ტომრები იღლიაში ამოიჩარა და სახლიდან გავარდა. მე მეუღლეს მისი პატარა ზარდახშა გავახსნევინე, იქიდან ჩემი ქორწინების ბეჭედი ამოვიდე და უახლოეს ლომბარდში მივიტანე. მომცეს ფული და ერთი თვის ვადა ბეჭდის დასახსნელად. ეს ერთი თვე ელიაგას ბა-

ზრობას შევაფარე თავი. რადგან ხელებს მანამდე კალმის მეტი არაფერი სჭერო-და, ხელების ნაცვლად, მთელი სიმძიმე წელს ადგებოდა და ჯაფა ამ წელის მოწყვეტამდე გრძელდებოდა. გასამრჯე-ლო კი მაინც იმდენად მცირე იყო, რომ თვის ბოლომდე გაჭირვებით მოვუყარე თავი საჭირო თანხას და დათქმულ ვადას ერთი დღე გადავაცილე.

როდესაც ლომბარდის სარკმელ-ში შევყავი თავი და ქვითარი წარვადგ-ინე, მევახშე ქალმა დახედა და თვალე-ბი შემომანთო - უი, თქვენა ხართ? აი, თქვენი ბეჭედი მიჭირავს ხელში, სწორედ ახლა მიმქონდა ჩასაბარებლად! „მომე-ცით ბეჭედი!“ - ცერითა და საჩვენებე-ლი თითით გამოვგლიჯე ბეჭედი, ვიდრე მას ბეჭდების აცმას შეუერთებდა, გა-მოვგლიჯე და თითზე წამოვიცვი. მას შემდეგ მოუხსნელად მიკეთია. არ ვიცი, ჩემებრ დაფარულ საიდუმლოთა მჩხრე-კელნი რა ნაკლში მითვლიან ამას და რას ფიქრობენ ჩემზე, მაგრამ რაც უნდათ, ის იფიქრონ - აღარ მენალვლება! ■





გიგი გიგინეიშვილი

# გუმისთის ბრძოლა

16-19 მარტი, 1993 წელი

1993 წელმა აფხაზეთში უჩვეულო, სისხლით გაუქცენთილი სიცივით შემოაბიჯა. 1992 წლის ოქტომბერში გაგრაში მომხდარი ქართველთა გენოციდის შემდეგ, საზოგადოება ყოველდღიურად იგებდა შემზარავ დეტალებს იმის შესახებ, თურა ჩაიდინეს გაგრაში, განთიადში, ლესელიძესა და სხვა დასახლებებში რუსებმა და მათი ზურგით მოქმედმა სეპარატისტებმა. აფხაზეთის მოსახლეობაში იმ პერიოდში გარკვეულ დონეზე ქიშპი და დაპირისპირება მუდმივად იყო, მაგრამ ასეთ სისასტიკეს საკუთარი მეზობლებისგან მაინც არავინ ელოდა. თბილისში შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა გაგრის დაცემის მიზეზები, თუმცა წინასწარვე ცხადი იყო, რომ კომისიის საქმიანობა არანაირ რეალურ შედეგს არ მოიტანდა. გაგრის გენოციდის შემდეგ

უკვე არაერთი მტკიცებულება არსებობდა იმისა, რომ პროცესებში რუსეთის ფედერაცია ჩაერთო, ხოლო ქართული საგამოძიებო კომისიის წევრები და ზოგადად ხელისუფლებაში მყოფი პირების დიდი ნაწილი არ იყვნენ მზად, რუსეთი-სათვის მტერია ან ოკუპანტი ეწოდებინათ. სწორედ ამ აჭრილი პოზიციის ნაყოფია ქართულ მედიაში რუსეთის ფედერაციის ნაცვლად ჩეჩენების მიმართ სიძულვილის არნახული პროპაგანდა, ცნობისათვის, მთელი აფხაზეთის ომის განმავლობაში არა უმეტეს 350 ჩეჩენი თუ მიმხრო რPY-ს აგენტება, შამილ ბასავემა, ჩეჩენ მებრძოლთა უდიდესმა ნაწილმა უარი განაცხადა აფხაზეთში რუსეთის არმიასთან მხარდამხარ ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაზე (სამჯერ მეტი ადილელი იბრძოდა ჩვენ წინააღმდეგ). ქართულ-



მა პოლიტიკურმა ელიტამ კი, ოღონდ რუსეთზე აუგი არ წამოსცდენოდათ და თან ზვიად გამსახურდია გაეშავებინათ (რომელიც იმ დროს გროზნოში, დევნილობაში, იმყოფებოდა), მთელი სიმძიმის ცენტრი სწორედ ჩეჩენებისკენ მიმართა. მაშინ გაიგებდით აბსურდულ ამბეჭს, რომ: „ჩეჩენებმა სალვოთო ომი - ჯიპადი გამოუცხადეს საქართველოს“; „5000 ფაფახიანი ჩეჩენი გადმოისროლეს აფხაზეთში“ და ა.შ.

გაგრის ტრაგედიის შემდეგ, 1992 წლის დეკემბერში, ტყვარჩელის სიახლოვეს, სოფელ ლათასთან, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი ვერტმფრენი ჩამოაგდეს, ქართველების მიერ კონტროლირებად სივრცეში. დატრიალდა უდიდესი ტრაგედია, რომლის შედეგადაც უდანაშაულო ქალები და ბავშვები დაიღუპნენ, მათ შორის, ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახებიდან. რუსულ ვერტმფრენს, რომელიც ტყვარჩელიდან გუდაუთაში მიფრინავდა, შეთანხმების მიხედვით, ჯერ სოხუმში უნდა გაევლო ქართული მხარის კონტროლი და მხოლოდ შემდეგ გაეგრძელებინა გზა გუდაუთისკენ. ვერტმფრენის რუსულმა ეკიპაჟმა მიზანმიმართულად დაარღვია ქართველებთან შეთანხმებული მარშრუტი იმის გამო, რომ ბორტზე 12 შეიარაღებული ბოევიკი დაუშვა და კოდორის ხეობით დააპირა გუდაუთაში „გადაპარვა“. შედეგად სოფელ ლათასთან რუსული სამხედრო ვერტმფრენი - როგორც საომარი მოქმედებების თავზე მფრინავი ლეგიტიმური სამიზნე - დღემდე დაუდგენელმა პირებმა ჩამოაგდეს.

აფხაზები ამ რეისს „პუმანიტარულ რეისად“ მოიხსენიებენ, თუმცა ქალებსა და ბავშვებთან ერთად იმავე ვერტმფრენში მსხდომ რუს და აფხაზ ბოევიკებსაც ცხარე ცრემლით ტირიან. ეს შემთხვევა, სამწუხაროდ, დღემდე გამოუძიებელია და, შედეგად, რუსულ-აფხაზურ მხარეს ეძლევა საშუალება საკითხი გამოიყენოს ქართველებისადმი სიძულვილის პროპაგანდისათვის.

მიუხედავად დეტალებისა, გაგრის გენოციდმა და ლათას ტრაგედიამ აფხაზეთში შეტაკებებს მანამდე გაუგონარი და წარმოუდგენელი სისასტიკე შესძინა. 1993 წლის იანვარში, ნაახალწლევს, აფხაზები შეეცადნენ, სოხუმის მიმართულებით ორჯერ შემოეტიათ, თუმცა ორივეჯერ დამარცხდნენ და ასამდე მებრძოლის დაღუპვის გამო შეაჩირეს შეტევა. შემდეგ რუსებს სოხოვეს დახმარება, რათა, როგორც გაგრაში ულიტეს დაუცველი ქართველები, ახლა სოხუმშიც მისცემოდათ ანალოგიურის ჩადენის საშუალება. რუსულმა გენერალიტეტმა სოხუმის შტატშისთვის მზადება 1993 წლის იანვრის ბოლოს დაიწყო. ამ პროცესის ფარგლებში, აფხაზეთში, 9 თებერვალს, შეიქმნა ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი, რომლის დამფუძნებელი იყო რუსული სპეცსამსახურების აგენტი, ალბერტ ტოპოლიანი.

ბატალიონის შემადგენლობა, ჯამურად, 1500 კაცს ითვლიდა, მისი დაფინანსება დაევალა რუსეთში მომუშავე სომხური წარმოშობის

ბიზნესმენთა ჯგუფს. ბატალიონის რიგებში, გარდა აფხაზეთში მცხოვრები სომხებისა, იყვნენ როგორც ყარაბაღელი, ისე ერევნელი ბოევიკები. ბატალიონი ძირითადად იბრძოდა სომხეთის სახელმწიფო დროშით ბაგრამიანის ბატალიონის მეომრები და გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის მიმართ.

1992 სექტემბერშივე რუსეთის ფედერაციაში საქართველოს გამოუტანეს საბოლოო განაჩენი აფხაზეთთან მიმართებით. შედეგად, მთელი საქართ-



ალბერტ ტოპოლიანი



ბაგრამიანის ბატალიონის მეომრები და გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის მიმართ.

ველოს ტერიტორიაზე და, ასევე, მთელ კავკასიაში დისლოცირებული რუსული ბაზები და გენერლები, განსაკუთრებით, ვიქტორ სოროკინი და ალექსანდრე ჩინდაროვი (რომლებიც იყვნენ რ.ფ. თავდაცვის მინისტრის, პაველ გრაჩოვის, უახლოესი გარემოცვა) უკვე ღიად ჩაერთვნენ საქართველოს წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებებში.



გენერალ-პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩინდაროვი (რ.ფ. საპარო სადესანტრო ძალების მეთაურის მოადგილე, მინიჭებული აქვს ე.ნ. „აფხაზეთის გმირის“ წოდება,, ოფიციალური რუსული ვერსიით, ენეოდა სამშვიდობო საქმიანობას აფხაზეთში) და ვლადისლავ არძინბა.



ვლადისლავ გრაჩოვი, იური სკოკოვი და  
ევგენი პრიმაკოვი

სპეციალურად ამ ოპერაციისათვის აფხაზეთში მებრძოლ რუსულ-აფხაზურ შენაერთებს დამატებით გადაეცათ 4 ერთეული „გრადის“ დანადგარი, 15 ერთეული BMP, ათამდე D-44 ქვემეხი და დიდი რაოდენობით 120-მმ იანი და 82-მმ იანი ყუმბარმტყორცნები, ტყვიამფრქვევები, ავტომატური ცეცხლსასროლი იარა-

ლი დიდი ოდენობით, კავშირგაბმულობის საშუალებები, მდინარის ფორსარებისათვის საჭირო სპეცსაშუალებები, აღჭურვილი სამედიცინო მანქანები და ა.შ. ყველაფერი, რაც საჭირო იყო კონკრეტული ოპერაციისათვის.

რუსეთის ფედერაციის აქტიურად ჩართვას და საქართველოს წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებებს პირადად ხელმძღვანელობდა რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანი, იური სკოკოვი, რომლის შესახებაც ქართველ საზოგადოებას ნაკლები ინფორმაცია აქვს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ იგი იყო აფხაზეთის საქართველოდან მოგლევის მრავალსვლიანი გეგმის მთავარი ინიციატორი. საკითხი არ წყდებოდა რომელიდაც თავნება რუსი გენერლის დონეზე, როგორც ამას რუსული პროპაგანდა ამტკიცებდა, როდესაც საუბარია აფხაზეთში რუსული არმიის უტყუარ მონაწილეობაზე. გარდა სკოკოვისა, სეპარატისტი ლიდერები აქტიურ სატელეფონო კომუნიკაციაში იყვნენ პირადად რ.ფ. პრეზიდენტ ბორის ელცინთან და ერთნებისანი ომის განმავლობაში მასთან რამდენჯერმე პირადი აუდიენციიაც მოაწყვეს.

სოხუმზე თავდასხმის გეგმის შემუშავება რუსი გენერლის, ა. ჩინდაროვის, ბრძანებით დაევალა გუდაუთის რუსული ბაზის შტაბს და სულთან სოსნალიერს (რუსეთის ფედერაციიდან მოვლენილი პოლკოვნიკი, რომელიც ΓΡΥ-ს რეკომენდაციით დაინიშნა აფხაზეთის ე.ნ. თავდაცვის მინისტრად). გეგმა შემუშავდა რუსი ოფიცრების მიერ და შემდეგ გასაცნობად გადაეცა აფხაზებსაც, რომელმაც ფორმალურად მოიწონეს გეგმა და ყველაფერს დაეთანხმნენ. გარდა შეიარაღების გადაცემისა, მდინარე ბზიფზე, გაგრის ზონის სიახლოეს, გუდაუთის 345-ე რუსული საპარაშუტო-სადესანტრო პოლკის ოფიცრები, საერთო გეგმის ფარგლებში ავარჯიშებდნენ აფხაზ ბოევიკებს მდინარის ფორსირებასა და ოპერაციის სხვა სამსედრო დეტალების დახვენაში.

13 მარტს მთელი სოხუმი მოიცვა ამ-




1993 წლის მარტი,  
მდინარე ბზიფი

ბავშვა, რომ გუმისთის მარჯვენა სანაპიროს მხრიდან ქართული პოზიციების მისამართით მზადდებოდა დიდი შეტევა, ამის გამო ედუარდ შევარდნაძეც და მინისტრთა კაბინეტის დიდი ნაწილი პირადად ჩაერთო დაცვის ხაზის ორგანიზებაში.

14 მარტს, გამოისას, გეგმის მიხედვით, რუსულმა ავიაციამ მდინარე გუმისთის ფრონტის ხაზის მთელ პერიმეტრზე, ქართული თავდაცვითი ზოლის სიახლოვეს, ჩამოყარა 49 ერთეული 500-კილოგრამიანი ბომბი, საათის მექანიზმით, ყველა მათგანი 16 მარტს 00:05 საათზე იყო მომართული და მათი აფეთქებით უნდა დაწყებულიყო სოხუმზე შტურმი. თუმცა დღემდე გაურკვეველი მიზეზებით დათქმულ დროს არც ერთი ბომბი არ აფეთქდა, ამან გამოიწვია გარკვეული დაბნეულობა მტრის ბანაკში. შტურმის დაწყება შეფერხდა, ვინაიდან შეტევაზე გადასული სეპარატისტები შესაძლებელი იყო თავიანთივე ჩამოგდებული ბომბების დეტონაციის მსხვერპლი გამზღარიყვნენ. რუსმა გენერლებმა განაცხადეს,

რომ მალე ამოქმედდებოდა ბომბების ქარხნული თვითლიკვიდატორები, თუმცა არც თვითლიკვიდატორები არ ამოქმედდა, ამან უკვე წარმოშვა უთანხმოება რუს და აფხაზ მებრძოლებს შორის, აფხაზეთის ე.წ. გენშტაბის უფროსი სერგეი დაბარი უარს აცხადებდა შეტევის დაწყებაზე, მას მხარს უჭერდნენ სხვა აფხაზი სარდლები, თუმცა რუსმა გენერლებმა შეძლეს დაერწმუნებინათ აფხაზი ბოეკიები, რომ იმ მომენტში იყო შტურმისათვის და წარმატებისთვის იდეალური შანსი და სხვა ასეთი შანსი მათ აღარ მიეცემოდათ, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტრო მასირებული საავიაციო დარტყმებით მოახდენდა აუფეთქებელი ბომბების კომპენსაციას და დამატებითი საარტილერიო დამუშავებაც იქნებოდა საჭიროზე მძლავრი, აფხაზები დაწანხმდნენ. ლამის 03:00 საათზე მართლაც დაიწყო ქართული პოზიციების გააფთრებული შტურმი შავი ზღვიდან დაწყებული, დამთავრებული მდინარე გუმისთის ზედა საავტომობილო ხიდამდე (აჩადარის მიმართულება), ჯამურად, დაახლოებით 10-კილომეტრიან მონაკვეთზე,



რუსულმა ავიაციამ მანამდე არნახული ინტენსივობის იერიში მიიტანა ქართულ პოზიციებზე, ასევე მათ პირველად გამოიყენეს ე.წ. „სამხედრო გირლიანდები“, რომლითაც შეუძლია მათ გაანათეს ქართული პოზიციები, ესეც სიახლე და მოულოდნელობა იყო ქართული თავდაცვის ზოლისათვის, ვინაიდან ქართველ მებრძოლთა უმრავლესობა არაპროფესიონალი იყო.



საავიაციო ჭაღი (გირლიანდა)

უზრუნველყოფდა ფსკოვის დივიზია. საარტილერიო დაბომბვასაც მანამდე უპრეცედენტო მასშტაბი ჰქონდა, 20 ერთეული სხვადასხვა სახეობის საარტილერიო დანადგარი შეუჩერებლად მუშაობდა დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში. თანამედროვე საქართველოს ისტორიაში ამ ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ბრძოლას, ტრაგი-კომედიის ელემენტიც არ დაჰქლებია: სოხუმის შეუგულში, შუქურას რაიონში დისლოცირებული რუსული 901-ე სადესანტო-მოიერიშე ბატალიონის ოფიცრები, რომლებიც ოფიციალურად სოხუმელების უსაფრთხოებას უზრუნველყოფნენ, წყნარად და უდრტვინველად ცეცხლის კორექციაში ეხმარებოდნენ გუმისთის გაღმა ნაპირზე განლაგებულ ფსკოველ არტილერისტებს (ბუნებრივია, მტკურმის გეგმის შემუშავებისასაც სწორედ ისინი აწვდიდნენ სოხუმიდან სადაზვერვო ინფორმაციას). შუნებრივია, ეს ერთმორწმუნე მედესანტეები ძალიან გულისხმი-



1993 წლის 16 მარტი, გუმისთის ხაზი

ერ, მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ ადგილობრივ ქართველ მოსახლეობასთან, იყო მიმოსვლა და პატივისცემა, ამიტომაც ასე უანგაროდ ეხმარებოდნენ ქართველებს სიკვდილში. ცნობისთვის, თბილისის 3AKBO-ს ბაზაც აქტიურად იყო ჩართული აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის ლოგისტიკაში, ბუნებრივია, ჩვენ ნინააღმდეგ, თუმცა ისინიც სამეზობლოსა და ზოგადად ქალაქის „დიდი მოყვარულება“ ბრძანდებოდნენ.

შტურმის გეგმა ასევე მოიცავდა ზღვის მხრიდან, მდინარე კელასურის სიახლოვეს, სოხუმის ყურეში, მებრძოლების დესანტირებას. ამისათვის გუდაუთის პორტიდან 03:00 საათზე 5 მცირე ზომის კატარლა გამოემართა ქართული პოზიციების ზურგში.

05:00 საათზე რუსულ-აფხაზური ქვეითი ნაწილების ჯერიც დადგა, შეტევაში მონაწილეობდნენ რუსული რეგულარული ჯარის ოფიცრებისგან დაკომპლექტებული ნაწილები, მათ შორის რუსეთის არმიის 365-ე სადესანტო-მოიერიშე პოლკის მებრძოლები, დაჯგუფება „ტაპირი“, კაზაკების დაჯგუფება, სლავური ბატალიონი, ახლად დაფრთიანებული „ბაგრამიანის“ ბატალიონი, ჩეჩენური დაჯგუფება, კონფედერატთა ბატალიონი, დაჯგუფებები „კატრანი“, „ბერკუტი“, „ევკალიპტი“, „გრადი“ და რიგის რუსული ომონის მებრძოლები. მიუხედავად იმისა, რომ ქართული შეიარაღებული ძალები შეტევის მოლოდინის რეზიმში იყვნენ, ასეთი მასირებული დარტყმების პირობებში გამოხინავის მონიაღმდეგებმა მაინც შეძლო ქართული წინააღმდეგობის დაძლევა და ფრონტის ხაზი რამდენიმე ასეულმა მებრძოლმა გაარღვია, ჩრდილოეთით, გუმისთის ხიდთან, სოფელ აჩადარის სიახლოვეს (ხიდი რუსულმა სპეც. ჯგუფმა განაღმა), ცენტრში სარკინიგზზო ხიდთან და კიდევ ორ ადგილას მდინარის ფორსირებაც მოახდინეს.

ზოგიერთ მონაკვეთში სანგრებში ხელჩართული ბრძოლა მიმდინარეობდა, მტკური სოხუმის ახალ რაიონში გამოჩინ-



და, ქართველმა მებრძოლებმა წარმოშობილ ქაოსში მარცხენა ხელზე თეთრი სახვევები შეიძნიეს, რომ თანამებრძოლი და მტერი არ არეოდათ ერთმანეთში.

საერთო გეგმის მიხედვით, გუდაუთის პორტიდან გამოსული ხუთი კატარდა შეუმჩნევლად შევიდა სოხუმის ყურეში დილის ექვსი საათისთვის და გეზი მდინარე კელასურისკენ აიღო, ეს ფაქტი სრულიად შემთხვევით დაინახეს აგუმერაში დისლოცირებულმა ბატალიონ „თეთრი არნივის“ არტილერისტებმა, კერძოდ კი, ოფიცერმა ალექსანდრე პაპაშვილმა და მისმა ჯგუფმა, რომლებმაც შესაბამისი ბრძანების არარსებობის პირობებში, საკუთარი რისკით ცეცხლი გაუხსნეს მტრის ხომალდებს, ნახევრად დაშლილი საარტილერიო დანადგარებიდან (ა. პაპაშვილის ქვედანაყოფი იმ დროს ზურგში იქნა გადაგზავნილი საარტილერიო დანადგარების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების წარმოებისათვის), ქართველმა არტილერისტებმა რამდენიმე

წუთში 2 კაპარჭი ჩაძირეს, ხოლო 1 დაზიანეს, რის შემდეგაც დარჩენილმა ორმა გეზი შეიცვალა და ისევ გუდაუთისკენ გაცურა. რუსების მზაკვრული გეგმა ქართული ნაწილების ზურგში დესანტის გადასხმისა ამჯერად ჩაიმალა (თუმცა, იგივე მანევრი მათ წარმატებით განახორციელეს უკვე რამდენიმე თვეში ე.ნ. ტამიშის დესანტისას).

გუმისთის ფრონტზე უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა, თუმცა იერიშზე გადმოსულ რუსულ და აფხაზურ ნაწილებს აქაც ქართველი არტილერისტები, პოლკოვნიკ თემურ ლომთათიძისა და პოლკოვნიკ ემზარ ჭოჭუას მეთაურობით, მომზადებულები დახვდნენ. მათ დილიდანვე დაიწყეს გუმისთის გაღმა, მარჯვენა ნაპირზე, უზუსტესი დარტყმების განხორციელება მონინაალმდეგის რეზერვებისა და საცეცხლე წერტილების მიმართულებით. შედეგად, რამდენიმე საათში გაანადგურეს მებრძოლებითა და შეიარაღებით სავსე 7 სატვირთო მანქა-



გუმისთის ხიდები, ე.ნ. "ზედა" და სარკინიგზო

ნა, 5 ერთეული ჯავშანტექნიკა, საარტილერიო დანადგარების საცეცხლე წერტილები, რამდენჯერმე ზუსტი გასროლით გაანადგურეს ერთად შეჯგუფებული რუსი მებრძოლები, რომლებიც უკვე პანიკურად ცდილობდნენ ახალი თავშესაფრის მოძიებას, ხოლო ქართული არტილერია იმ ახალ ადგილასაც ეფექტიანად ურტყამდა მონინააღმდეგ-



რუსული Su-27 სოხუმის ცაზე

ეს. 16 მარტს, დაახლოებით დღის 2 საათისათვის, სეპარატისტული ფორმირებები გუმისთის მარჯვენა ნაპირზე (რუსული კონტროლის ქვეშ არსებული ნაპირი) უფრო მძიმე დღეში აღმოჩნდნენ, ვიდრე მდინარე გუმისთის მარცხენა მხარეს შეტევაზე გადმოსული ბოევიკები. შედეგად, მონინააღმდეგის სამტურმო ჯგუფები ე.წ. ზურგის გარეშე დარჩნენ და მათი წინსვლა შეჩერდა. რეალურად, სწორედ ამ ფაქტორმა გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. დამხმარე რაზმების ამაო მოლოდინისა და მნიშვნელოვანი



რ.ფ. სამხედრო საპარო ძალების  
მაიორი ვ. შობური და მისი პირადობის  
დამადასტურებელი დოკუმენტები



დანაკარგების გამო რუსულ-აფხაზურმა ფორმირებებმა დღის მეორე ნახევარში უკან დახევის გადაწყვეტილებაც მიიღეს, იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ შენაერთებს იმ დროის ათვის ფრონტის ხაზი უკვე შეკრული და დასტაბილურებული ჰქონდათ და მოწინააღმდეგის განლაგების შესახებაც ზუსტ ინფორმაციებს ფლობდნენ, უკან დახეული მოწინააღმდეგე ძალიან მძიმე დღეში ჩააგდეს ინტენსიური ცეცხლით, სწორედ ამ დროს დაედუპათ ყველაზე მეტი ბოევიკე რუსებს და აფხაზებს და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, სეპარატისტებმა ყველაზე დიდი დანაკარგები სწორედ მაშინ განიცადეს, როდესაც თვითონ ესხმოდნენ თავს ქართველებს. მოწინააღმდეგის რიგებში სრული ქასი წარმოიქმნა, რუსულ-აფხაზური არტილერიის გადარჩენილი საშუალებები უწესრიგოდ ისროდნენ, არაერთი აფხაზი მებრძოლი აღნიშნავს, რომ რამდენჯერმე საკუთარ საარტილერიო დაბომბვაში მოყვნენ გუმისთის მარცხენა ნაპირზე. 16 მარტს, საღამო ხანს, ბრძოლები შემცირდა, თუმცა მცირე შეტაკებები 18 მარტის ჩათვლითაც გრძელდებოდა გუმისთის მარცხენა სანაპიროზე ჩარჩენილ ჯგუფებთან, აქტიური საბრძოლო მოქმედებები შეწყდა 19 მარტს, რა დროსაც ქართული საჯარისო ნაწილების მიერ სოხუმის სიახლოეს ჩამოგდებულ იქნა რუსული სამხედრო საპარო ძალების

**რაც ძალიან მნიშვნელოვანია,  
სეპარატისტებმა ყველაზე დიდი  
დანაკარგები სწორედ მაშინ  
განიცადეს, როდესაც თვითონ  
ესხმოდნენ თავს ქართველებს.**

Cy-27 ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავი, საბორტო ნომრით №11, რომელიც იერიშზე გადმოვიდა და საბრძოლო პოზიციებთან ერთად დასახლებულ პუნქტებსაც ბომბავდა ტრადიციული რუსული მეთოდით. თვითმფრინავს მართავდა

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ავიაციის მაიორი ვაცლავ შიპკო.

ოფიცერს ყველა სახის დოკუმენტი თან აღმოაჩნდა, იგი ქართველმა სამართალდამცავებმა გარდაცვლილი იპოვეს თვითმფრინავის კაბინაში და საგამოძიებო პროცედურების განხორციელების შემდეგ გადასცეს რუსულ მხარეს. ეს პირველი უტყუარი და ისტორიული მტკიცებულება იყო, რომელიც შეტაკებების დაწყების დღიდან ქართულმა მხარემ მოიპოვა. იმ პერიოდის ქართული პოლიტიკური ელიტის მნიშვნელო-

ბისა და აფხაზებისათვის ცხადი: პირველი, წმინდა ტაქტიკური თვალსაზრისით გუმისთის მხრიდან სოხუმზე პირდაპირი დარტყმით წარმატების მიღწევა შეუძლებელი იყო. მეორე ის, რომ ქაოსისა და უსახსრობის მიუხედავად, ქართველები მანც ახერხებდნენ განსაცდელისას გაერთიანება-კონცენტრაციას და ამიტომ სეპარატისტებისათვის, გარდა შეიარაღების მიწოდებისა, ეფექტური შედეგის მისაღწევად საჭირო იყო გაგრის დაკავების მსგავსი სცენარის გამეორება,



ვანი ნაწილისათვის ეს მტკიცებულება უდიდესი მორალური თუ ფსიქოლოგიური დილემის საფუძველი გახდა. უნდა აღინიშნოს, რომ თანაგუნდელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, სახელმწიფო მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ქართველი და უცხოელი უურნალისტების თანხლებით სოხუმის მიმდებარე მაღალ მთებში მოინახულა სამხედრო თვითმფრინავის ჩამოვარდნის ადგილი და ბრძანება გასცა, ფართოდ გაშუქებულიყო მომხდარი ფაქტი.

რამდენიმე დღეში მთელ მსოფლიოს მოედო ჩამოგდებული რუსული სამხედრო თვითმფრინავის ფოტო და ვიდეო კადრები, შედეგად, 1993 წლის 19 მარტიდან „ერთმორწმუნე ძმებმა“ კიდევ ერთხელ დამსახურებულად მოირგეს სისხლისმსმელი, ვერაგი მტრის სახე იმ პერიოდში ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ქართველების თვალში.

ანუ სამშვიდობო შეთანხმების გაფორმება და შემდეგ, რუსული მეთოდით, ხელსაყრელ დროს მისი დარღვევა. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ სამშვიდობო შეთანხმების დარღვევის ეფექტით იქნა რუსულ-აფხაზური მხარის მიერ მზაკვრულად დაკავებული გაგრის ზონა (03.09.1992 წლის შეთანხმების დარღვევის ეფექტით), სოხუმის ჩრდილოეთ სიმაღლეები, შრომა, კამანი (14.05.1993 წლის შეთანხმების დარღვევის ეფექტით).

**რამდენიმე დღეში მთელ მსოფლიოს მოედო ჩამოგდებული რუსული სამხედრო თვითმფრინავის ფოტო და ვიდეო კადრები, შედეგად, 1993 წლის 19 მარტიდან „ერთმორწმუნე ძმებმა“ კიდევ ერთხელ დამსახურებულად მოირგეს სისხლისმსმელი, ვერაგი მტრის სახე იმ პერიოდში ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ქართველების თვალში.**

დაბოლოს, სოხუმი, ოჩამჩირე და გალი (27.07.1993 წლის შეთანხმების დარღვევით). მესამე ფაქტორი ეს იყო ქართული არტილერია, რომელიც საოცარი სიზუსტით მუშაობდა და ყველა დუღლს უგებდა უფრო უკეთესი და მრავალრიცხოვანი შეთანხმების მქონე მოწინააღმდეგეს. სწორედ ამიტომ, ქართული მხარის საარტილერიო დანადგარები, 27.07.1993 წლის სამშვიდობო შეთანხმების საფუძველზე, ნაცვლად გულრიფშის რაიონისა (როგორც ეს თავდაპირველად შეთანხმდა), დღემდე გაურკვეველი მიზეზებით, მაქსიმალურად შორს აფხაზეთიდან, კერძოდ, ფოთში იქნა გატანილი რუსი გენერლების მიერ, საკუთარი გემებით (ეს საკითხი აუცილებლად გამოსაძიებელი აქვს ქართულ სახელმწიფოს).

**სწორედ სამშვიდობო შეთანხმების დარღვევის ეფექტით იქნა რუსულ-აფხაზური მხარის მიერ მზაკვრულად დაკავებული გაგრის ზონა (03.09.1992 წლის შეთანხმების დარღვევის ეფექტით), სოხუმის ჩრდილოეთ სიმაღლეები, შრომა, კამანი (14.05.1993 წლის შეთანხმების დარღვევის ეფექტით) დაბოლოს, სოხუმი, ოჩამჩირე და გალი (27.07.1993 წლის შეთანხმების დარღვევით).**

უკანასკნელ წლებში გამოიცა ასზე მეტი რუსულ-აფხაზური წიგნი, რომლებიც ასახავენ ე.წ. აფხაზური ჯარის ტრიუმფალურ სამხედრო ოპერაციებს, მაგალითად, რომ თითქოს 250-კაციანმა აფხაზურმა დაჯგუფებამ დაამარცხა გაგრაში 5000-კაციანი ქართული შენაერთი, ასევე სოხუმში 25000 ქართველი ჯარისკაცი როგორ დაამარცხა 1200-მა აფხაზმა მებრძოლმა და ა.შ. თუმცა ამ ნაშრომებში საერთოდ არ ახსენებენ იმ მთავარ გარემოებას, რომ სამშვიდობო ხელშეკრულების გამო ქართული ბრძოლისუნარიანი ნაწილები და არტილერია ამ დროს გაყვანილი იყვნენ აფხაზეთიდან, ხოლო მაშინ, როდესაც არ იყო სამშვიდობო შეთანხმება გაფორმე-

ბული და საბრძოლო მოქმედებები აქტიურად მიმდინარეობდა, როგორ მთავრდებოდა მათი „კონგრენიალური“ შეტევები 93 წლის იანვარშიც, მარტშიც და სხვა დროსაც, ეს ამ სტატიიდანაც ჩანს და სხვა საინფორმაციო რესურსებიც მრავალად მოიპოვება.

საბოლოოდ, გუმისთის 16-19 მარტის ბრძოლებში რუსულ-აფხაზურმა მხარემ 500-მდე ბოლევიკი დაკარგა, ასამდე ბოევიკი ტყვედ ჩაუვარდა ქართულ მხარეს. დიდი მსხვერპლით გამოწვეული პანიკის გასანეიტრალებლად სეპარატისტულ-მა პროპაგანდისტულმა საშუალებებმა ადვილად დასამახსოვრებელი, გარდაცვლილთა შემცირებული/გაყალბებული რიცხვი 222 დაასახელა ოფიციალურად და დღემდე ყველა სტატიასა თუ დოკუმენტში ამ 222 რიცხვს ახსენებს და ატრიალებს. თუმცა თავად აფხაზებმა კარგად უწყიან, რომ ეს რიცხვი არ შეესაბამება რეალურ დანაკარგებს. სამუხაროდ, მარტის შეტაკებებს ქართული მხრიდანაც საკმაოდ მძიმე დანაკარგები მოჰყვა: 135 მებრძოლი და 40-მდე მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა სოხუმში ვერაგ თავდასხმას. დაზიანდა და დაინგრა არაერთი შენობა (ნიშანდობლივია, რომ დღეს აფხაზი ტურისტული გიდები ამ ნანგრევებს, როგორც ქართული სისასტიკის მაგალითებს, ისე ასალებენ ტურისტებზე). თავად ეს სამხედრო ოპერაცია თავისი განვითარებით წააგავს რუსთაგან ნაღალატევი ერეკლე მეორის მიერ წარმოებულ ასპინძის ბრძოლას, რა დროსაც ერეკლემ ოსმალთა ჯარის ნახევარს საშუალება მისცა, მდინარე მტკვარზე გადმოსულიყო, შემდეგ ხიდი გადაკეტა/დააზიანა და ჯერ მდინარეზე გადმოსული ნაწილი გაანადგურა, შემდეგ გაღმა ნაპირზე დარჩენილები.

19 მარტს მტერი ბრძოლის ველიდან გაიქცა. სოხუმში ქართველთა აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან საფრთხე მართლაც ძალიან დიდი იყო. თუ არ არსებობს სრული განადგურების საფრთხე, მაშინ არ არსებობს გამარჯვე-

ბით გამოწვეული დიდი აღტაცებაც. სოხუმში თავი მოიყარეს საქართველოს ყველა კუთხიდან მოხალისეებმა, დაიგეგმა დიდი კონტრშეტევა, გაჩნდა იმედი, რომ ყველაფერი მაღლე დასრულდებოდა, გუდაუთა კი უკიდურესმა სევდამ და უიმედობამ მოიცვა, თვითმხილველთა განცხადებით, აფხაზეთის ანექსის რესული პროექტის მთავარი შემსრულებელი, ვლ. არძინბა, მწვავე დე-

**სიტუაცია მართლაც  
გარდამტები იყო, თუმცა  
ქართველ მებრძოლთა  
მოლოდინისა და კატეგორიული  
მოთხოვნის მიუხედავად,  
დღემდე გაურკვეველი  
მიზეზებით, გუდაუთის  
მიმართულებით კონტრშეტევა  
არ განხორციელდა.**

პრესის გამო, კინალამ თვითმკვლელობამდე მივიდა. სიტუაცია მართლაც გარდამტები იყო, თუმცა ქართველ მებრძოლთა მოლოდინისა და კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, დღემდე გაურკვეველი მიზეზებით, გუდაუთის მიმართულებით კონტრშეტევა არ განხორციელდა. ამან, ბუნებრივია, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და სიტუაციის განსამუხტად დაიგეგმა არა გუდაუთის, არამედ ტყვარჩელის გასათავისუფლე-

ბელი სამხედრო მოქმედებები. ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები, არტილერიის ნაწილებმა გაიარეს ურთულესი მონაკვეთები და დაიკავეს მიუვალი სიმაღლეები ტყვარჩელის გარშემო, თუმცა 20 მარტს, 19:40 საათზე, აქაც მიიღეს ბრძანება, უკან დაბრუნებულიყვნენ, ქართველი მებრძოლები დიდად გაკვირვებული დარჩნენ, თუმცა მითითება ძალიან მქაფიო იყო: „შეტევა აღარ იქნება!“. ეს საკითხიც დღემდე დიდი ბურუსით არის მოცული. ზოგი აცხადებს, რომ რუსი მაღალჩინოსნების მუქარის გამო არ განხორციელდა კონტრშეტევა, ზოგი ჭარის მოუმზადებლობას იმიზეზებს, თუმცა ფაქტი რჩება ფაქტად - საქართველო დაბრუნებით გადასვენდა.

**იმ სიტუაციაში შეტევაზე  
არგადასვლა იყო დიდი  
შეცდომაც და დანაშაულიც,  
რამაც თავისი შედეგი ზუსტად  
ექვს თვეში, 1993 წლის  
სექტემბერში, გამოიღო.**

ველომ იმ დღეებში დაკარგა ყველაზე რეალური შანსი, აფხაზეთში მიმდინარე სამხედრო კამპანია გამარჯვებული მშვიდობით დაესრულებინა. იმ სიტუაციაში შეტევაზე არგადასვლა იყო დიდი შეცდომაც და დანაშაულიც, რამაც თავისი შედეგი ზუსტად ექვს თვეში, 1993 წლის სექტემბერში, გამოიღო. ■





ამირან ფაჩუაშვილი

# კედლებზე ნანახი ნიშნები

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ ყოველდღე ტიროდა, ხშირად დღეში რამდენჯერმე. ტიროდა, როდესაც ტელევიზორს უყურებდა, ტიროდა, როდესაც ფეისბუქს სქროლავდა, ტიროდა, როდესაც მეგობრებს, მეზობლებს, ნათესავებს, ნაცნობებს ესაუბრებოდა იმაზე, რაც უკრაინაში ხდებოდა. თავს ვერ იკავებდა და არც ცდილობდა, ანდა, როგორ არ უნდა ეტირა ამ უბედურებაზე, როგორ არ უნდა მიეტანა გულთან მეგობარი ხალხის ტრაგედია, მოძმე ერის ტკივილი?!? ეს შეუძლებელი იყო და სწორედ ამიტომ ტიროდა, ცხარე ცრემლით, ხშირად - ჩუმად, იშვიათად - ხმით. ცრემლები უკონტროლოდ ჩამოსდიოდა ლოკებზე და ელვრებოდა ყელზე, ალარც იწმენდდა, იდგა, იჯდა, იწვა და ტიროდა. ცდილობდა, თავისი 14 წლის ქალიშვილისთვის არ ეჩვენებინა, მაგრამ ხანდახან ესეც არ გამოსდიოდა. გარდატეხის ასაკში მყოფ გოგონას უნდოდა მიალერსებოდა დედას, დაემშვიდებინა, ენუგეშებინა, მაგრამ რაღაცნაირი თინეიჯერული უხერხულობა თუ მოუხერხებლობა ხელს უშლიდა ამაში და დედა საბოლოოდ უნუგეშოდ რჩებოდა.

თინა და საშა ჩვეულებრივ თბილისურ კორპუსში ცხოვრობდნენ ჩვეულებრივ თბილისურ უბანში და თან საკმაოდ ჩვეულებრივად. ომის დაწყებამდე ბევრი არც არაფერი ანუხებდათ, თინა მუშაობდა, საშა სწავლობდა. პანდემიამდე დღისით გარეთ იყვნენ, ლამით - სახლში. პანდემიამ კიდევ უფრო მეტი დრო მისცა სახლში გასატარებლად და ისინიც სხვებივით დამორჩილდნენ არარსებული კომენდანტის ნებას. ჯერ კიდევ ახალი შემთხვევების და გარდაცვლილების თვლაში და მესამე ბუსთერ დოზის ავ-კარგის განხილვაში იყვნენ, უცებუკრაინის უბედურება რომ დაატყდა თავს მთელ მსოფლიოს, მთელ საქართველოს და მათ ორსულიან ოჯახსაც. საშა უკვე საკმაოდ დიდი იყო, სრული სიმძაფრით რომ აღექვა ომის საშინელება, მაგრამ როგორც ჩანს, ფსიქოლოგიური იმუნიტეტი იცავდა და უკრაინელი თანატოლების ხოცვა-ულეტისა და გაუბატოურების შესახებ ინფორმაციას ისე კატასტროფულად არ აღიქვამდა, როგორც დედამისი. ბუჩის საზარელმა კადრებმა და შემზარავმა ისტორიებმა საბოლოოდ შეარყიეს თინას ფსიქი-

კა, რამდენიმე დღე ლამის დილიდან  
სალამომდე გაუჩერებლად ტიროდა და  
შუალედებში ხან დაუნდობლად წყევლ-  
იდა და ხან უპანასკრელი სიტყვებით  
ლანძღვდა იმ არაადამიანებს, რომლებ-  
მაც ნამდვილი ჯოჯოხეთი დაატრიალეს  
კიევის ოლქის ქალაქებში და გენოციდი  
მოუწყეს უკრაინელ ხალხს.

თინას და საშას ჩვეულებრივ თბილი-სურ კორპუსს ჰქონდა ჩვეულებრივი თბილისური სარდაფი, რომელიც ნაგვით იყო სავსე და რომლიდანაც კანალი-ზაციის საშინელი სუნი ამოდიოდა. კარი, რა თქმა უნდა, ჩაკეტილი იყო და იქ მხოლოდ რწყილებიანი კატები ჩადიოდნენ. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ახალი დაბრუნებულები იყვნენ ბუჩიდან და ქართველი გმირები: არკადი კასრაძე, ზაზა ბინაძე და ალიკა ცაავა ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩამოსვენებული საქართველოში, როდესაც „ნიკორადა“ სახლში დაბრუნებულმა თინამ თავისი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კედელზე უცნაური ნახატი აღმოაჩინა. არ იცოდა, ეს რა იყო, თითქოს ადამიანის თავს ჰგავდა, ამოტრიალებული სამკუთხედის მაგვარ ხუთკუთხედს თვალები და პირი ჰქონდა მიხატული და შუბლის ადგილას ამოტრიალებული ჯვარიც ჰქონდა გამოსახული რქების ფუძეებს შორის. ლურჯი კონტური წითელი ფერით იყო შევსებული. იქვე იყო გაკრული ხელით, სავარაუდოდ კირილიცით, შესრულებული წარწერაც და არაბული შეიციანიკ.

თინა შეცდა, არ მოეწონა ნანახი, გაახ-  
სენდა, რომ გაგონილი ჰქონდა, როგორ  
ნიშავდნენ უკრაინაში ომამდე ცოტა  
ხნით ადრე ჩასახლებული დივერსანტები  
სხვადასხვა ობიექტს გარკვეული ნიშნე-  
ბით. თინას შეეძინდა და 112-ზე დარე-  
კა, უთხრა, რაც იხილა, ოპერატორმა კი  
უპასუხა, რომ მსგავსი ნახატები დედაქა-  
ლაქის სხვა ადგილებშიც ნახეს და რომ  
საგანგაშო არაფერი იყო, როგორც ამბო-  
ბენ, მელიებს ხატავს ვიღაცო, „დაამშვი-  
და“ ოპერატორმა თინა, რომლისთვისაც  
მოსმენილი არ აღმოჩნდა დამატაყო-

ფილებელი, მაგრამ, სახლში დაპრუნების გარდა, იმ მომენტში ვერც ვერაფერი გააკეთა. სახლში შესულს რატომდაც Kadebostany-ს Mind If I Stay გაახსენდა და ლეფთოფუში ჩართო, მერე ფანჯარას მიუახლოვდა, ფარდა გადასწია და გარეთ გაიხედა. მის წინ რვასადარბაზიონი და რვასართულიონი მასიური, ოდესლაც - თეთრი, ახლა კი ნაცრისფერი კორპუსი იდგა. გამოკვეთილად საბჭოთა შესახედ-აობის მიუხედავად, იყო მასში რაღაც ძალიან ნაცნობი და თან ცოცხალი. ზოგი მაცხოვრებელი აივანზე იდგა, ზოგი ფანჯრიდან იყურებოდა, ზოგან ფერადი სარეცხი იყო გაფენილი, ზოგან სინათლე ანთებული იმის მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ დღე იყო. თინამ უცემ წარმოიდგინა და ცხადად დაინახა კიდეც, როგორ მოხვდა ამ კორპუსს რაღაც დი-დი და მძიმე რაკეტა და როგორ გამოანგრია ზუსტად ცენტრში, დაინახა, როგორ მოეკიდა სახლს ცეცხლი და ხალხის განწირული კიბილიკ გაიგო.

ძალიან შეეშინდა, გაშეშდა, ადგილ-იდან ვერ იძვროდა, უყურებდა, როგორ შავდებოდა კორპუსი, როგორ ასდილოდა კვამლი, როგორ ხტებოდნენ ადამიანები ფანჯრებიდან და აივნებიდან და ის-ეს ცრემლები მოსდილოდა, ამჯერად უფრო მეტი და უფრო ინტენსიურად. „ამას რა გასმენინებს“, გაიგო ოთახში შესული ქალიშვილის ხმა და გამოფხიზლდა. დახუჭა და გაახილა თვალები და დაინახა, რომ კორპუსი, რომელსაც უყურებდა, ჯერ კიდევ არ იყო დაბომბილი. გაუხარდა, ცრემლები მოიწმინდა და შვილისკენ შეტრიალდა. ჩამებუტეო სთხოვა და ხელები გაშალა, მაგრამ გოგოსგან ცივი უარი მიიღო და ფრუსტრირებულმა ხელები ჩამოყარა.

ფეისსბურგი დიდი ამბავი ატყვდა ამ მნებათან დაკავშირებით. ზოგი ამტკებდა, ბოლო დროს საქართველოში მოსული რუსები ხატავენ, ზოგი ამბდა პრორუსული ტელევიზია-პარტიი წევრები ატერორებენ ხალხს ამ ნიშანით, ზოგი ვარაუდობდა, რუსულ კუსამსახურებთან მოთანამშრომლი



ქართული სპეცსამსახურები აკეთებენ ამასო, ზოგი მელისას ხედავდა, ზოგი კატას, ზოგი ჰაგი-ვაგის, ზოგი ქისი-მისის, ზოგი ემოს და ზოგი - გოთს. დედაქალაქი და შესაბამისად ქვეყანაც პანიკამ მოიცვა. დაიზაფრა ხალხი, ყველაზე მეტად ის აშინებდათ, რომ ომის დაწყებამდე უკრაინაშიც იხატებოდა რაღაცნაირი ნიშნები (ძირითადად წრეში ჩასმული ჯვრები, თუმცა ეს ბევრმა არ იცოდა) და ისედაც ომზე მოფიქრალ ხალხს მრავალომნაგებულის პესიმისტური ფანტაზია ცუდი მიმართულებით მიაქროლებდა.

თინამ საშას ჩიზბურგერების ჭამა შესთავაზა, რაზეც თანხმობა მიიღო. მსუბუქად ჩაიცვეს და გარეთ გავიდნენ. უსასრულოდ განელილი და გაზაფხულის იკუპანტი ცივი ზამთარი ახალი დასრულებული იყო, უკვე თბილოდა და ქუჩაში სეირნობა სასიამოვნო გამხდარიყო. ფეხით მივიდნენ სწრაფი კვების ობიექტთან, შევიდნენ, სენსორული ეკრანის მეშვეობით საკვები შეუკვეთეს და გარეთ დასხდნენ. არ საუბრობდნენ, საშატელეფონში ჩაძრა, თინამ ზემოთ აიხედა, პოლიციის შუშებიანი შენობა დაინახა, აი, ისეთი, ნაცების მმართველობის დროს რომ შენდებოდა და ხუმრობით „სუპერმარკეტების ქსელ პოლიციას“ რომ ეძახდა. ისევ რაკეტამ ჩაინულა და ამჯერად პოლიციის განყოფილებას მოხვდა. ყველა შუშა ჩამოიშვრა, ქუჩაში მოსიარულე ხალხს დაეცა და დაჩეხა. შენობიდან ცეცხლმოკიდებული ფორმიანები გამოცვიდნენ და ასფალტზე დაიწყეს გორვა. ხალხი მისცვივდა, ცეცხლს წიბლებით აქრობდა. უცებ საშინელი ხმაური გაისმა და პოლიციის განყოფილების შენობა მთლიანად ჩამოიშვა, საშინელი მტვერი ავარდა ჰაერში. „ჩიზბურგერის ორი მერიუ თქვენია?“ - ჩაესმა ყურში და გამოფხიზლდა. დიას ჩვენია, უპასუხა და ისევ პოლიციის შენობას გახედა. შენობას დაზიანება არ ეტყობოდა, დაინახა უალუზები, რომლებიც ქოცებმა დააყენეს ნაცების მიერ სპეციალურად გამჭვირ-

ვალედ აშენებული შენობის ვიტრინებზე იმისათვის, რომ ეს შენობა გამჭვირვალე აღარ ყოფილიყო და დამშვიდდა.

ფეისბუქში ნახა, რომ „ლელოს“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა ჩამორეცხეს ზოგან ის ნიშნები სპეციალური ხსნარებით და გაუხარდა, თუმცა ის მაინც ანუხებდა, რომ სხვა ბევრ ადგილას ეს ნახატები რჩებოდა და რაც მთავარია, პოლიცია, ერთი მხრივ, არაფერს აკეთებდა ამ ნიშნების დამხატვთა გამოსავლენად, მეორე მხრივ, არ აჯარიმებდა ან/და აკავებდა ამ ნიშნების დამხატვებს იმ მარტივი მიზეზით, რომ „არ იცოდა“ ვინ იყო სამართალდამრღვევი მაშინ, როცა ხუთსანტიმეტრიანი რადიუსის მქონე სტიკერების ასფალტზე (დიას ასფალტზე და არა კედელზე) დაკვრის მცდელობისთვის უკანონოდ აპატიმრებდა „სირცხვილიას“ და სხვა ორგანიზაციების სამოქალაქო თუ პოლიტიკურ აქტივისტებს, იმავდროულად, საზოგადოებას ამყოფებდა საინფორმაციო ვაკუუმსა და ამოუცნობის შიშმი. ვიღაც წვერებიანი და სათვალეებიანი ქართულად მოსაუბრე რუსის ვიდეოც დაიდო. ქართველებმა წაასწრეს, როგორ ხატავდა იმ იდიოტიზმს და პასუხს სთხოვდნენ, ოკუპანტი კი აქცენტით უსხინდა, კედლებზე ხატვა კულტურაა და უპრალოდ ვხატავდიო. უკრაინაში ასეთებს თავპირს უერთიანებდნენ, ამას კი შერჩა ხახვის და არჯნის არომატიანი ჩიფსივით, პოლიცია მივიდა და გაუშვა ალბათ.

სახლში დაბრუნებული აბაზანაში შევიდა, ხელები დაიბანა, გაიხადა და სარეცხის სათავსოში ჩააგდო მაისური, რომელიც ეცვა, აღმოაჩინა, რომ სათავსო გავსებულიყო, სარეცხი მანქანის ილუმინატორი გამოაღო და დაინახა ნაღმი, რომელიც აფეთქდა... ქალიშვილის კივილმა გამოაფხიზლა, თვალები გაახილა, გააცნობიერა, რომ სარეცხი მანქანაში ნაღმი არ იყო და შესაბამისად არ აფეთქებულა, მაგრამ გოგოს კივილი კვლავ ჩაესმა და სასწრაფოდ აბაზანის კარი გააღო. მისაღებ ოთახში 5 რუსი საღდა-


ფონი დაინახა, ორს გაშლილი ხელებით ეჭირა მისი ქალიშვილი, ერთი ტანსაც-მელს გავეშებული ახევდა, ორი კი შარ-ვალს იხსნიდა. გაშეშდა, ნაბიჯიც კი ვერ გადადგა, ყვიროდა, მაგრამ მისი ხმა არ-ავის ესმოდა. ქალიშვილი შეშინებული თვალებით უყურებდა და დახმარებას სთხოვდა. ამასობაში გოგონა სრულად გააშიშვლეს, შეატრიალეს და მაგიდაზე გადააწვინეს. შარვალჩახდილი ყაბე-ბი სიცილ-ხორხოცით დაიძრნენ გოგო-ნასკენ, ამასობაში იმან, ვინც ტანსაც-მელი გახადა, საიდანლაც პრტყელტუჩა მიიტანა და სხვა ჯალათებს უთხრა, რომ საქმის გამარტივების მიზნით გოგო-ნას კბილებს დააძრობდა. ის იყო, მო-ძალადები საქმეს უნდა შესდგომოდნენ, ოთახში წვერებიანი აზოველი შევარდა და ავტომატის ჯერით ხუთივე პირუტყვი გადაცხრილა. მადლობის თქმა უნდოდა, მაგარამ უკრაინულად ვერ გაიხსნა, რო-გორ ითქმოდა, რუსულად პრინციპულად არ უნდოდა თქმა და ბოლოს გერმანუ-ლად უთხრა, დანქეო. მერე სასწრაფოდ შვილთან მივარდა და პლედი მოახურა.

„დე, ჩაის დალევ?“ - გაიგო შვი-ლის ხმა და გამოფხიზლდა. კი, დავ-ლევო, უპასუხა და მაგრად ჩაეხუტა. იმ სალამოს ბევრი ითიქრა და დაასკვ-ნა, რომ ყირიმი უკრაინის აფხაზეთია და იმ ნიშნებს კედლებზე საქართვე-ლოს უსაფრთხოების სამსახურის აგენ-ტები, ან რუსეთის ირიბი რეზიდენტები ან რუსეთის პირდაპირი აგენტები, ანუ მოძალადე ტელევიზია-პარტიის მინი-პუტინები, ხატავდნენ. მერე ფეისბუქში წაიკითხა, რომ უკრაინელების გენოციდ-ის მომწყობი რუსი ჯალათები ბუჩაში ადამიანებს რუსეთუმე კოლაბორაციონ-ისტების დახმარებით წინასწარ შედგე-ნილი სიების მხედვით ხოცავდნენ. ისევ დაფიქრდა, აინტერესებდა კოლაბორა-ციონისტები მხოლოდ აშკარად გამოხატ-ული პრორუსული პოზიციების მქონე დაჯგუფებები იყვნენ, თუ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებიც.

დაღამდა, ფანჯრიდან გადაიხედა და დაინახა, როგორ მიადგა ჩაბნელებულ მეტროსადგურს შვიდი ტანკი რომლებ-ზეც სისხლით იყო დაწერილი ლათინური ანბანის ბოლო ასო და რომლებიდანაც კბილებამდე შეიარაღებული რუსი და ჩე-ჩენი მკვლელები გადმოვიდნენ. ჯალათე-ბი მძიმე და ნელი ნაბიჯებით მიუახლო-ვდნენ მეტროსადგურს, რომლის შუშის კარებზეც ის ნიშანი ეხატა. სადგურ-ში იმალებოდნენ მშვიდობიანი მოქა-ლაქეები, რომლებმაც გაიგეს, რომ სან-ქციორებული რუსი ოლიგარქების მეგო-ბარი, წარმომობით ქართველი, მაგრამ სულით რუსი ოლიგარქების ხელისუფლე-ბამ ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსულ რუსულ-ჩეჩინურ-აფხაზურ-ოსურ არმი-ას ქვეყანა უბრძოლველად ჩააბარა. ციხ-ესიმაგრე თოვლში დაცემას და ოკუპან-ტების მიერ დაკავებას ელოდა.

მეორე დილით საქართველოს მოქა-ლაქეებმა ულტიმატუმი მიიღეს, რომლის მიხედვითაც, იმ შემთხვევაში, თუ შვი-დი სამუშაო დღის განმავლობაში ისინი თავიანთ ქონებას რუსეთის ფედერაცი-ის მიერ უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო აგრესის განხორციელებისა და ცივი-ლიზებული სამყაროს მიერ რუსებისთ-ვის სანქციების დაწესების შემდეგ მორ-დორიდან საქართველოში „ლტოლვილე-ბად“ შექრილ რბილ ოკუპანტებს გადაუ-ფრმებდნენ, მათ მიეცემოდათ ქვეყნის უვნებლად დატოვების შესაძლებლობა, სხვა შემთხვევაში კი დაექვემდებარე-ბოდნენ ეთნიკურ წმინდას.

ირანის ისლამურ რესპუბლიკა-ში სომხეთის გავლით სასწრაფოდ ემი-გრირებულმა რეზიდენტმა პრეზიდენტ-მა საგანგებოდ გამოცემული დეკრეტით თბილისში ქართულ ენაზე საუბარი აკრძალა, რუსეთუმე მაკლერები კი მეგა-ფონებით გადაადგილდებოდნენ და სკან-დირებდნენ „აბა ომი გინდათ?!“, იგ-ივეს აკეთებდნენ ჯართის ჩამბარებელი მანქანებიც, თან ამატებდნენ „აბა მიშა გინდათ?!“. ხალხი ისევ დუმდა. სიონიც. ■



## საბჭოთა მოგზაურის ჩანაწერები



გიორგი ანთაძე

# ჩილე-რუსეთის ტერიტორიული კონფლიქტი

ვერცერთ ისტორიულ სახელმძღვანელოში ვერ ამოიკითხავთ ასეთი კონფლიქტის შესახებ რაიმეს, მაგრამ აქ შეთხული არაფერია, ეს კონფლიქტი რეალურია და ახლაც გრძელდება.

ანტარქტიდა ერთადერთი კონტინენტია, სადაც ადამიანი არ დასახლებულა. არის მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე ათეული სამეცნიერო-კვლევი-

თი სადგური. ანტარქტიდის საერთაშორისო პაქტის თანახმად, ეს კონტინენტი არ ეუთვინის არცერთ სახელმწიფოს. სწორედ იმის გამო, რომ ადამიანი არ სახლობს, ანტარქტიდა ყველაზე ლამაზ ადგილად მიმართინა დედამიწაზე.

არგენტინის ქალაქ უშააიადან ანტარქტიდის ნახევარკუნძულამდე მიღწევა - დრეიკის დროიდან მოყოლებული,

დღემდე - ურთულეს საზღვაო მარშრუტად ითვლება. დრეიკის სრუტე ერთ-ერთი ყველაზე შტორმიანი ადგილია პლან-ეტაზე და მის გადაცურვას დღევანდელი ნავიგაციის პირობებშიც კი სირთულეები ახლავს. ორი დღე-დამე რვაბალიანი შტორმის გადატანა კაიუტაში გამოკეტილს მხოლოდ ორმა რამემ: ჩურჩხელამ და რიპარდ ვაგნერმა შემაძლებინა. როდესაც ოკეანე ნაფოტივით ათამაშებს არცთუ ისე დიდი ზომის საკრუიზო გემს, შენ კაიუტიდან გარეთ გასვლა აკრძალული გაქვს (აკრძალული რომც არ გქონდეს, ვერტიკალურ მდგომარეობაში მოძრაობა შეუძლებელია) და საწოლზე ხარ მიჯაჭვული ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რამ შეიძლება გიშველოს, თუარა ყურსასმენებმა, საიდანაც არაამქვეყნიური მუსიკა ჟღერს?

ეს სწორედ ის შტორმია, რომელიც Götterdämmerung-ს შეეფერება. ბოლოს ვალპალა იწვის, ღმერთების დაისი დგება და შენ თვალწინ ახალი სამყარო - აისპერგებით მოჭედილი მშვიდი ოკეანე იბადება.

ადრე აქ ვეშაპებზე ნადირობდნენ. აქვე, ხმელეთზე, დიდი საამქროები ჰქონდათ, სადაც ნანადირევს ამუშავებდნენ ძვირად ღირებული სპერმაცეტის მოპოვების მიზნით. იმდროინდელი ფიცრული ნაგებობები თითქმის ხელუხლებელია. აქა-იქ ვეშაპის უზარმაზარი ჩურჩხის ნაწილებია მიმოფანტული. იქნება, ეს მობი დიკის ძვლებია? აქვე, ახლოს, აპაბის ძვლებიც უნდა იყოს მაშინ...

სუმბურული ფიქრებიდან პინგვინების ყაყანს გამოვყავარ. პინგვინი მხოლოდ ფოტოსა და ტელეეკრანზეა საყვარლად სასაცილო. რეალურად ამ სილამაზეს აუტანელი სუნი ახლავს თან, რომელიც მათ სამფლობელოსთან მიახლოებისთანავე იგრძნობა.

მიუხედავად იმისა, რომ ათასობით ბინადრობენ ერთად, პინგვინი ყველაზე ასოციალური არსებაა. არანაირი ემპატია, „ჯოგური იმსტინქტი“ და აღტრუ-იზმი პინგვინში არ ძევს. ფრინველთა

სამყაროს ეს სახეობა ევოლუციაშ არც კოლექტიური ინტელექტით დააჯილდოვა და არც ინდივიდუალურით. მარტივი მიზეზის გამო: ბრძოლა არსებობისათვის მათვის მხოლოდ ზანტად მოლასლასე სელაპებისგან თავის დაცვით გამოიხატება. გაუმართლათ, რომ თეთრი დათვები სამხრეთ ნახევარსფეროში არ ბინადრობენ. არადა ამ ლამაზ, ეგზოტიკურ არსებებს არაფერს ვერჩი, ასეთი ყოფა მათი არჩევანი არ ყოფილა, ევოლუციამ მიუჩინა ეს ადგილი. რაღაცას (თუ ვიღაცას?) მაგონებს ევოლუციის ეს ჩიხი:

**მშვიდობა - ბრძოლისა და გამარჯვების გარეშე.**

**ნაყროვანება - დაფრჩნილ პირში „ჩატენილი“ ერთფეროვანი საკვებით.**

**რეპროდუქცია - სიყვარულის გარეშე.**

**იქნება ასეთი იყო მათი წინაპრების ოცნება?**

... და ისევ სუნი, აუტანელი სუნი ექსკრემენტების

\*\*\*

ბრიტანულ სამეცნიერო-კვლევით სა-დგურზე ვართ. იქვე, ნაპირზე, სელაპია ნამონოლილი და ალმაცერად მიცემერს. „ნეტაი შენ“ - სახეზე აწერია, მაგრამ ვერ ამბობს. ალბათ ეზარება ლაპარაკი, თორემ ისეთი სახე აქვს, ვერც კი წარმოიდგენ, რომ უტყვია.

მომცრო ბორცვზე დიდი ბრიტანეთის დროშაა აღმართული, პინგვინების ჯგუფით გარშემორტყმული. ფოტო საინტერესო გამოვიდა, ფოტოკონკურსში პრიზიც მერგო, რადგან ამ ფოტოს ბრექსითი მივაწერე. ბრიტანული ტრადიციები ამ ბაზაზეც იგრძნობა: დედოფლის ფოტო, Harrods-ის სუვენირები, ცხელი ჩაი და ბრიტანული ფოსტა. საშობაო მისალოც ბარათს ანტარქტიდის ბრიტანულ საფოსტო ყუთში ვაგდებ და ზუსტად ერთ თვეში თბილისში ჩამომდის. ასეთ დაგვიანებას მხოლოდ საქართველოს ფოსტის გაუმართავ მუშაობას თუ დავაპრალებ, თორემ ბრიტანული ფოსტა საათივითაა აწყობილი. სამეცნიერო-კვ-

ლევითი სადგური თითქმის საუკუნეს ითვლის. ერთ-ერთი შენობის ნაწილში მუზეუმია მონუმენტილი. შემორჩენილია პირველი მკვლევრების მიერ შესრულებული კედლის ნახატები, ძირითადად შიმველი ქალები დაუხატავთ გასაგები მიზეზის გამო. აქვეა სამზარეულოს წიგნი რამდენიმე ადგილობრივი რეცეპტით. ომლეტის რეცეპტია საინტერესო. ინგრედიენტები: 2 სელაპის ტვინი, 4 პინგვინის კვერცხი, 2 ოზ კარაქი. საინტერესოა, კარაქს სად შოულობდნენ?

ძალიან მინდა, სამხრეთ ნახევარს-ფეროს ღამის ცა ვნახო, მაგრამ წელიწადის ამ დროს აქ არ ღამდება. გარეთ ასატანი ტემპერატურაა, გემბაზე გასვლაც შეიძლება. ყველაზე დიდი ყინვა -16 გრადუსია, ცელსიუსით. დეკემბერი აქ ზაფხულია. სწორედ „თბილი“ ზაფხულის წყალობით მიაპოს ჩვენი გემი სიფრიფანა ყინულით დაფარულ წყლის ზედაპირს და აისძერგების გარემოცვაც არ აშინებს. აისძერგს ჩვენთან რა ესაქმება, რომელი „ტიტანიკი“ ჩვენ ვართ?

\*\*\*

ანტარქტიდა დედამიწის ერთადერთი კონტინენტია, სადაც არასდროს ყოფილა ომი. იყო ტიტანთა შერკინება, გმირული ექსპედიციები, ტრაგედიები, დიდ სახელმწიფოთა ამბიციები, მაგრამ ჰომი საპირისის სიბრიყვეთა შორის ყველაზე დიდ სიბრიყვეს - ომს, საპედნიეროდ აქ არ მოულწევია.

საინტერესო და სევდიანია სამხრეთ

პოლუსზე პირველი ექსპედიციის ისტორია. 1911 წელს პატარა ნორვეგია ბრიტანეთის ძლევამოსილ იმპერიას დაუპირისპირდა. რუალ ამუნდსენის ამბიციურმა გეგმამ - პირველს მიეღწია დედამიწის სამხრეთ პოლუსამდე, ბრიტანელი კაპიტან სკოტის გეგმებს სერიოზული საფრთხე შეუქმნა. ორივე ექსპედიციამ დეკემბერში აიღო სტარტი და სამხრეთ პოლუსი პირველად 1912 წლის 17 იანვარს ამუნდსენის ჯგუფმა იხილა. სკოტმა მხოლოდ 35 დღის შემდეგ შეძლო მიზნის მიღწევა და იქ ნორვეგიის დროშასთან ერთად ამუნდსენის მიერ დატოვებული კარავი დახვდა. კარავში ამუნდსენმა სკოტის ექსპედიციის წევრებისთვის საჭირო ნივთები და საკვები დატოვა ნორვეგიის მეფისთვის გადასაცემ წერილთან ერთად.

„საშინელი იმედგაცრუება, მე გული მტკივა ჩემი ერთგული მეგობრების გამო, ოცნება დასრულდა“ - ეს სიტყვები ჩანერა სკოტმა თავის დღიურში.

სამწუხაროდ, რობერტ სკოტი და მისი ჯგუფის ორი დარჩენილი წევრი უკანა გზაზე დაიღუპა, მაშინ, როცა ბოლო ბანაკამდე 20 კილომეტრიდა აშორებდათ. სკოტს უბემი ამუნდსენის წერილი ედო, რომელიც ადრესატამდე ვერ მიიტანა.

ასეთია ჭეშმარიტი გმირობის ისტორია. ჩვენ ვამბობთ, რომ იმედი ბოლოს კვდება, მაგრამ გმირებში ასე არაა, გმირებში ბოლოს ღირსება რჩება ბატიონზე.



\*\*\*

საღამოობით ყველანი გემის პარში ვიკრიბებით. აისბერგის ყინულით მორთმეულ ვისკის სულ სხვა არომატი აქვს და შეპარვით ვაგემოვნებ. მოშორებით, მაგიდასთან, მოსკოველი ტურისტების ჯგუფი უდიერად სვამს. როგორც მარქ-სისა და ენგელსის ჭეშმარიტი მიმდევრებისთვის, მათთვის რაოდენობრიობა ქმნის თვისობრიობას. ხმაურობენ.

მე ამერიკელებთან ვმეგობრობ და მათ მხიარულ ჯგუფს ვუერთდები. ბართან მობრუნებულს, ერთ-ერთი მოსკოველი მომიახლოვდა და პირდაპირ მკითხა: თქვენ ამერიკაში ცხოვრობთ, არაო? ვუპასუხე, რომ არა, თბილისიდან ვარ-მეთქი. გაკვირვება ვერ დამალა: „ქართველი ხარ და ამერიკელებთან რა გინდა აპა? შემოგვიერთდი!“

„კარგი ხალხია ამერიკელები,“ - ცივად მივუგე და ჩემი მეგობრებისკენ გავეშურე, გუნებაში კი ფრაზა ასე დავასრულე: „ერთხელ უკვე შემოგიერთდით და ძალიან ვინანეთ“.

\*\*\*

საინტერესო დღე გველის. ჩილეს სამეცნიერო სადგური უნდა მოვინახულოთ და იქვე, მის გვერდზე - რუსული ბაზაც.

ლამაზი შინდისფერი შენობები ჩილეს ეკუთვნის, იქვე, ბორცვზე, ჰატარა ეკლესიაც აუშენებითა. ყველაფერი მოვლილი და დავარცხნილია. სტუმრებს იშვიათად იღებენ და ოციოდე მკვლევრისთვის ჩვე-

ნი ჩასვლა განსაკუთრებული მოვლენა იყო. ცხელი შოკოლადითა და ორცხობილით გაგვიმასპინძლდნენ, სუვენირების მაღაზია გაადეს და ეკლესიაც დაგვათვალიერებინენ. ეს ეკლესია რამდენიმე წლის წინ ააშენეს ყველაზე შემაღლებულ ადგილას. ამ ადგილისკენ არავინ იყურებოდა ათწლეულები, მაგრამ როგორც კი ჩილეს მხარემ მშენებლობა დაიწყო, მეზობელმა რუსეთის ბაზამ ტერიტორიული პრეტენზიები წამოაყენა: აქაოდა, ეგ ბორცვი ჩვენ გვეკუთვნისო. ტერიტორიული დავა ფიზიკურ შეხლა-შემოხლაშიც გადაიზარდა რამდენჯერმე. განსაკუთრებით ეს იმ დღეებში ხდებოდა, როდესაც რუსულ ბაზაზე სპირტის მარაგებს ივსებდნენ. საბეჭიეროდ, ანტარქტიდის პაქტის თანახმად, სამხედრო ობიექტების განლაგება, ასევე, სამხედრო და შეიარაღებული გემების შესვლა მე-60 განედის სამხრეთით აკრძალულია, თორემ ვნახავდით რუსეთის მიერ ოკუპირებულ კიდევ ერთ ტერიტორიას.

ცოტა ხანში რუსულ ბაზაზე გადავედით. სახლების ნაცვლად, ტერიტორიაზე რკინის დიდი კონტეინერებია მიმოფანტული, კონტეინერებს შორის გზა გადათხრილი და ატალახებულია. ამ კონტეინერებში ცხოვრობენ და მუშაობენ, სასადილოც ასეთ კონტეინერშია და სუვენირების ფარდულიც. სუვენირებად რუსეთის დიდების ამსახველი ნივთები აქვთ, თვით პუტინის პორტრეტიც შეგიძლიათ შეიძინოთ. ნაბახუსევი ქალ-



ბატონი ნელა მუშაობს და სუვერინიტების ფარდულთან საკმაოდ დიდი რიგი დგება. ჩემს ამერიკელ მეგობრებს მივუახლოვ- დი და ვეუბნები:

- აქ ნამდვილად ვატყობ, რომ საბჭო- თა რუსეთში ვარ!

- რითი ატყობ? - ეშმაკური ღიმილით მკითხა წარმოშობით ოდესელმა ამერ- იკელმა, რომელმაც ამ კითხვაზე პასუხ- იც მშვენივრად უწყოდა.

- იმით, რომ ყველა ნაბახუსევია, გზე- ბი ანგრეულია და მაღაზიასთან რიგში გვიწევს დგომა.

ერთადერთი ფხიზელი კაცი, რომე- ლიც შეგვხვდა, იქვე, მეორე ბორცვზე, ჩილეს ჯინაზე აგებული ხის ეკლესიის მოძღვარი იყო. შეთავსებით იყო მოძღ- ვარი, თორემ ისე სამხედრო ფორმა ეც- ვა ანაფორის შიგნით. ეკლესიასთან რი- გი არ დადგა, რადგან მოძღვარმა თავ-

იდანვე გამოაცხადა: აქ მხოლოდ მართლ- მადიდებლებს ვუშვებთო! მგონი ისტო- რიაში პირველი ქართველი ვიყავი, ვინც პლანეტის ყველაზე სამხრეთ წერტილ- ში არსებულ მართლმადიდებლურ ეკლე- სიას ესტუმრა და ერთადერთი ქართვე- ლი, ვისაც რუსეთთან „ერთმორწმუნეო- ბა“ რაღაცაში მაინც გამოადგა.

ამის შემდეგ, ეუთოს დამკვირვე- ბლებივით მალევე დავტოვეთ „კონ- ფლიქტის ზონა“ და ნეიტრალურ წყლებში განვაგრძეთ ცურვა მანამ, სა- ნამ აისბერგების გაუვალმა კლდემ არ


შეაჩერა ჩვენი სვლა სამხრეთისაკენ. არავინ იცის, როგორ დამთავრდე- ბა ჩილე-რუსეთის ტერიტორიული და- ვა ანტარქტიდის უკიდეგანო სივრცეზე. ფაქტია, რომ კლიმატიდან გამომდინარე, დღეს ეს არის ყველაზე უფრო „გაყინუ- ლი“ კონფლიქტი ჩვენს პლანეტაზე. ■











გარეკანზე გამოყენებულია ლაშა გაბელიას ფოტო, 20 ოქტომბერი 2024  
უკანა ყდა - ნინა ალავიძის ფოტოგრაფია  
უურნალში გამოყენებულია გიორგი გაგოშიძის არტეპი

უურნალში გამოქვეყნებულ წერილებში გამოთქმული  
მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შეიძლება,  
არ გამოხატავდეს „ახალი ივერიის“ რედაქციის პოზიციას.



ფინანსურის  
ცენტრი  
მოსაზრებების სხეულის გერიბული  
კვლევებისა და სამრჩელაქო განათლების ცენტრი



FRIEDRICH NAUMANN  
FOUNDATION For Freedom.  
South Caucasus



ახალი ივერია  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური უურნალი  
[www.akhaliiveria.ge](http://www.akhaliiveria.ge)

2024 ოქტომბერი, № 3(7)  
ISSN 2720-8729

ააიპ “ჭავჭავაძის ცენტრი”  
გიორგი ახვლედიანის № 20  
0108, თბილისი, საქართველო

© ქართველი განვითარების სამინისტრო, 2024



ବ୍ୟାଙ୍ଗନ ପଞ୍ଜିହରୀ



ISSN 2720-8729



9 772720 872007